

ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული
და საზოგადოებრივი უყრნალი

არაჰი

უყრნალი გამოდის
2016 წლის იანვრიდან,
გამოსცემს სამეც-
ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

23

2019

რედაქტორი - მერაბ ბერიძე

მოადგილე - მაკა ბერიძე

სარედაქციო საბჭო:

ლალი ბერიძე
ასმათ ევსაია
ლია ზაზაშვილი
ციური ლაფაჩი
მალხაზ ლომსაძე
ლერი ნოზაძე
მაია ქუქჩიშვილი
ნატო ყრუაშვილი
ირინა ჯიშკარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, თბილისი
რეზო შეროზია, ზუგდიდი
ზაირა კელოშვილი, ათენი
ნუგეშა გაგნიძე, ქუთაისი

ნომრის მეოხია ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია

მდივანი: ზაირა გელაძე

მენეჯერი: მანანა ობოლაშვილი

საგამომცემლო ჯგუფი: ლია ზედგინიძე
ლარისა გურგენიძე

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019

ISSN 2346-83

ქართველოლოგიის თავდაღებულნი

ციური ლაფაჩი

ცხოვრების გზაჯვარედინზე

არ შეიძლება, არ დაეთანხმო საქართველოს მეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარეს ბატონ ალი რიზა ალთუნელს, რომელიც ამავე ასოციაციის გენერალური მდივნის, ისტორიკოსისა და მისი მეგობრის, მურად ქასიბის 2012 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის - „ოსმალების ქართველების“ წარდგენის ტექსტში წერს: „ბედისწერა ხალხებს, სახელმწიფოსა და პიროვნებებს ზოგჯერ დიდ შესაძლებლობებს აძლევს, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს, ზოგჯერ კი დიდი პრობლემებისა და უბედურების წინაშე აყენებს. ჟამთა სვლამ ანატოლიას და კავკასიას შესაძლებლობები და ხელსაყრელი პირობებიც ბევრი არგუნა და უბედურებაც. მოვლენათა დინებამ ისინი განუყოფელ ტყუპებად აქცია. ამ მიწაზე მცხოვრებმა ხალხებმა ერთი და იგივე ბედი და უიღბლობა გაიზიარეს.

მშვიდობა და სტაბილურობა, ძმობა და მეგობრობა ძალიან ხშირად აქ მარტივ ანგარებიან გათვლებს ეწირებოდა.“

დიახ, სრული ჭეშმარიტებაა, ცხოვრების ქარიშხალმა, ისტორიულმა რეალობამ მრავალ ქართველს დააკარგვინა სამშობლო და უცხო ტომს მიაკედლა, რაც სრულიადაც არ იყო მათი მიზანი და მისწრაფება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მრავალმა მათგანმა თავისი სიცოცხლე სამშობლოს ერთგულ სამსახურს მიუძღვნა, ხოლო იმ მრავალთა შორის უდაოდ მოიაზრებიან: გერმანიის ქ. ჰაიდელბერგში მცხოვრები ვახტანგ სუდაძე და თურქეთში, ქ. ბურსაში მცხოვრები — აჰმედ ოზგან მელაშვილი.


ამ ორი, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველის ურთიერთობა იმით დაიწყო რომ 1944 წლის ზაფხულიდან ვ. სუდაძე ქ. ბერლინშია და მუშაობას იწყებს ახლად დაარსებული გაზეთის რედაქციაში კორესპოდენტად, სადაც გაიცნო ქართველი საზოგადო მოღვაწეები: გრიგოლ რობაქიძე, ვიქტორ ნოზაძე და

დაუახლოვდა იმ პერიოდში საფრანგეთში მცხოვრებ საქართველოს „მეჭურჭლეთუხუცეს“ - ექვთიმე თაყაიშვილს.

ამასთანავე, 1945 წელს უკვე, იგი მიზნად ისახავს გერმანიაში მცხოვრებ ქართველებთან მეგობრობასა და თანამშრომლობას. სწორედ მათგან გაიგო, რომ თურქეთიდან გერმანიაში სამუშაოდ ჩამოდიდოდნენ ახალგაზრდები, რომელთა შორის მუჰაჯირი ქართველებიც იყვნენ. ასევე, მათთან შეხვედრები დაედო საფუძვლად მის დაინტერესებას თურქეთში მცხოვრები ქართველების მიმართ.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა, გერმანიაში ჩასვლა XX ს-ის 60-იან წლებიდან დაიწყეს, მაგრამ იქ, გერმანული ენის არ ცოდნის გამო, ძალიან უჭირდათ. ამიტომ, ვახტანგ სუდაძეს გადაუნყვეტია, მათთვის საჭირო დახმარება გაენია. სწორედ ამ ახალგაზრდებთან ურთიერთობით გავიგე, - აღნიშნავს იგი, აჰმედ ოზგან-მელაშვილის ქართული, პატრიოტული სულისკვეთების შესახებ და აქედან დაიწყო ჩვენს შორის სერიოზული საქმიანი ურთიერთობები. ამის შემდეგ, აჰმედ მელაშვილის დახმარებითა და ვახტანგ სუდაძის აქტიური საქმიანობით რამდენიმე ათეული მუშახელი იქნა გერმანიაში გადაყვანილი. ამ პროცესს ვ. სუდაძე ასე გადმოგვცემს: აჰმედ მელაშვილი წერილობით მიგზავნიდა 18-დან 40-წლამდე მუშახელის ზუსტ მისამართს, ამ მისამართებით მივდიოდი ამა თუ იმ ფაბრიკაში, ვაფორმებდი ხელშეკრულებებს, რომელსაც შემდეგ აჰმედს ვუგზავნიდი. აჰმედი კი ხელშეკრულების თანახმად, მუშახელს მიგზავნიდა.

ვ. სუდაძე აქვე აღნიშნავდა, რომ ხელშეკრულების საფუძველზე მათ აღარ სჭირდებოდათ სტამბოლის კომისიაში გატარება და უმტიკვენულოდ, მატარებლით, პირდაპირ დასახელებულ ფაბრიკებსა და ქარხნებში ჩადიდოდნენ.



როგორც ჩანს, ფაბრიკებთან მოლაპარაკების დროს მთავარი ის იყო, რომ მუშახელისთვის საცხოვრებელი ბინები თვითონ ბ-ნ ვახტანგს უნდა მოემზადებინა. ასევე საუბრები უნდა ჩაეტარებინა, რადგან ისინი გერმანული ცხოვრების წესებს თავიდანვე გაგებით მოკიდებოდნენ და შეგუებოდნენ. ასევე მოკლე დროში უნდა შეესწავლათ გერმანული ენაც. ამ სირთულეების შესახებ ვ. სუდაძე წერს:... „დამეთანხმებით, ეს არ იყო ადვილი საქმე, მაგრამ მე, ამით, ჩემს ქართველ ძმებს ვეხმარებოდი.“ ამ პერიოდში ვ. სუდაძემ ისიც შეიტყო, თურქეთში რამდენიმე მილიონი ქართველი ცხოვრობდა, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა მისი სურვილი, რაც შეიძლება დროულად შეხვედროდა თავის უცნობ მეგობარს — აჰმედ მელაშვილს, რომელიც ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ თავის ტომს მშობლიური ენა არ დავიწყებოდა და არ გადაგვარებულიყო...

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვ. სუდაძემ საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება, მოეწყო თურქეთში ეთნოგრაფიული ხასიათის მოგზაურობა და ზედმიწევნით შეესწავლა თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ყოფა-ცხოვრება. ამ მიზნით, 1977 წლის შემოდგომით, კინოაპარატითა და რადიომაუნწყებლობით აღჭურვილი, თურქეთში გაემგზავრა... სტამბოლის გავლით ქ. ბურსაში ჩავიდა. იქ დიდი ხნის მონატრებულ მეგობარს — აჰმედ მელაშვილს შეხვდა. აჰმედმა იგი დიდი სიყვარულით მიიღო... დაათვალიერებინა ქ. ბურსის ძველი და ახალი ისტორიული ძეგლები და ღირსშესანიშნავი ადგილები...

ბედის ირონიით უცხო ცის ქვეშ მცხოვრები დედა საქართველოზე მაფიქრალი და უზომოდ შეყვარებული მამულიშვილების — ვახტანგ სუდაძისა და აჰმედ მელაშვილის მიერ ქ. ბურსის ვილაიეთში მოგზაურობისა და საქმიანი შეხვედრების შედეგად მრავალ მნიშვნელოვან საქმეს ჩაეყარა საფუძველი. ახლა კი, მინდა შემოგთავაზოთ ბ-ნ აჰმედ მელაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული მასალები.

აჰმედ მელაშვილი 1922 წელს დაიბადა ქ. ბურსაში. მისი მამა — თეირ-ფირკი და ბაბუა ართვინიდან, მურღულის ხეობიდან, მუჰაჯირობის დროს წამოსულები, ქ. ბურსაში დასახლებულან.

აჰმედს ცხოვრების თანამგზავრად, ბურსის ვილაიეთის, ინე-გოლის რაიონის სოფელ ჰეირიეს მცხოვრები ნური ჯინჭარაძის უმშვენიერესი ქალიშვილი იუქსელი შეყვარებია და ცოლადაც შეურთავს. მათ ორი შვილი შესძენიათ: იბერია და თამარი. იბერიას ყავს მეუღლე — ეკა ირემაძე და ქალ-ვაჟი — უზომოდ მომხიბლავი ნათია და ბექა, ხოლო თამარს — დილა და მერანი, ამით, ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი.

როგორც იბერიამ გვიამბო, იგი მამის კვალს გაჰყვა და არქიტექტორის პროფესია აირჩია, მაგრამ ქართული ცეკვისა და სიმღერის სიყვარულმა, იმთავითვე გაიტაცა და ხელში ქართული ხალხური საკრავები დააჭერინა, ამას თან მოჰყვა ისიც, რომ ქართული ინსტრუმენტალური ანსამბლი ჩამოაყალიბა და დიდ წარმატებასაც მიაღწია. ახლა იბერიას ვაჟიშვილი ბექაც გვერდით უდგას და ამით მამა-შვილი თავისი წინაპრებისა და დიდი პაპის ტრადიციებს აგრძელებენ და წარმატებითაც.

როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, აჰმედს და მის მეგობრებს, როდესაც ისინი ბალიქესირში სწავლობდნენ, ქართული ანბანის არსებობა არ სცოდნიათ... არადა, ისეთი ძლიერი ყოფილა ქართული წერა-კითხვის სწავლის სიყვარული, რომ ლათინური ანბანის გამოყენებით, შეუქმნიათ (როგორც თვითონ ეგონათ) ქართულისათვის გამოსადეგი ანბანი და ასე იწერდნენ ქართული ფოლკლორის ნიმუშებსა და წერილებსაც სწერდნენ ერთმანეთს.

მამა 21 წლის ყოფილა — გადმოგვცემს იბერია, - როცა საქართველოდან გადმოსახლებული კაცისაგან გაუგია, რომ ქართველებს საკუთარი ანბანი გვაქვსო. ამ კაცს უთქვამს, სტამბოლში ქართული ეკლესია არის და იქ ქართული წერა-კითხვის სწავლა შეიძლებაო. აჰმედი და მისი მეგობრები მაშინვე წასულან სტამბოლში და იქ ქართული ეკლესიის მოძღვარს — მამა პავლეს მათთვის ქართული წერა-კითხვა უსწავლებია.

აჰმედ მელაშვილი 1944 წელს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურული ფაკულტეტის სტუდენტი გამხდარა, მაგრამ სტამბოლის ქართველ მამათა სავანის მოძღვრებთან ურთიერთობა

არ გაუნყვეტიათ, პირიქით — უფრო დაახლოებულან და ქართულის სწავლა გაუგრძელებიათ. ეს კავშირი, როგორც საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი — მარადი ანასაშვილი წერდა — ქართულის უდიდესი სიყვარულით იყო ნაკარნახევი და განმტკიცებული.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, აჰმედი და მისი მეგობრები ხშირად იკრიბებოდნენ ნური ჯინჭარაძესთან და ქართულად საუბრობდნენ, მღეროდნენ და საქართველოში წასვლაზე ოცნებობდნენ. შემდეგ პარიზის ქართველებს დაკავშირებიან და მათგან იღებდნენ ქართულ წიგნებს და საქართველოს ამბებსაც იქიდან გეზულობდნენ. ეს ყველაფერი დიდი მალევე ხდებოდა, რადგან იმ დროს თურქეთის სახელმწიფოს კანონმდებლობა მსგავს შემთხვევაში სერიოზულ სასჯელს ითვალისწინებდა, თუ გურჯები თავს ქართველად გამოაცხადებდნენ. აღნიშნულის შესახებ ქალბატონი იუქსელი იგონებს. „მაშინ აჰმედი ბევრ რამეს თავგანწირვის ფასად აკეთებდა, თუნდაც შვილებისთვის ქართული სახელების იბერიასა და თამარის დარქმევა გმირობის ტოლფასი იყო.“

ყოველივე ამის საპასუხოდ აჰმედ მელაშვილი აცხადებდა: „მე, თურქეთის კონსტიტუციის საწინააღმდეგოს არაფერს ვაკეთებ, მარტო ის მინდა, ახალგაზრდობამ იცოდეს ქართული წერა-კითხვა, არ დაივიწყოს ჩვენი ენა, ახსოვდეს, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ.“

- როცა ბურსაში ვცხოვრობდით, - გადმოგვცემს იბერია — მამას საკუთარი სახელოსნო ჰქონდა, რომელიც ყოველთვის სავსე იყო მისი თურქი, ქართველი, ჩერქეზი და აფხაზი მეგობრებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აჰმედ მელაშვილი „ჩრდილოკავკასიური საზოგადოების“ აქტიური წევრი იყო. მაშინ ქართული საზოგადოება ჯერ არ არსებობდა. მამა თურქეთში მცხოვრებ კავკასიელებს ძალიან უყვარდათ და დიდ პატივს სცემდნენ.“

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 1968 წელს გამოვიდა აჰმედ მელაშვილის წიგნი „გურჯისტანი“, რომელიც საინტერესო ინფორმაციას აწვდიდა მკითხველს საქართველოს შესახებ.

თურქეთის ქართველობამ კი სწორედ ამ წიგნით აღმოაჩინა თავისი „მემლექეთი,“ რომლის შესახებ ზოგი რამ მხოლოდ

გადმოცემით იცოდნენ ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ „გურჯისტანი“ გამოსვლისთანავე აიკრძალა, ხოლო მისი ავტორი დააპატიმრეს და ბრალდებაში ჩაუწერეს: „ისლამის საწინააღმდეგო წიგნია, რომელიც რუსებს და კომუნისტებს აქებს“..., მაგრამ, ეს ბრალდება ვერ დაუმტკიცეს და ორი თვის შემდეგ ციხიდან გამოუშვეს.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მდგომარეობისა, დიდი და შეურყეველი იყო აჰმედ მელაშვილის საზოგადოებრივი ასპარეზი და შემოქმედებითი საქმიანობის პოტენციალი. მან კვლავ უწყევად გააგრძელა ყველა დაწყებული საქმე — თურქულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (სამწუხაროდ გამოცემა ვერ მოასწრო), ასევე, თარგმნა ალ. ყაზბეგის „ელგუჯა“ და გამოსცა ახალი სათაურით: „ქართველი ვაჟკაცი და ჩერქეზი გოგონა „მზალო“. როგორც ჩვენთვის ცნობილია, დასახელებული გმირების სახელს თურქეთში მცხოვრები გურჯები დიდი ხნის განმავლობაში მასიურად არქმევდნენ ახალდაბადებულ ბავშვებს. ასევე, მისი რედაქტორობით გამოიცა სიმონ ქვარიანის „გიორგი სააკაძე“ და იუსუფ ფალავას - „ჩაუმქრალი კერა.“ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აჰმედ მელაშვილი გამოსცემდა ჟურნალს „ჩვენებურები,“ რომელიც გამოდიოდა გრიფით „კავკასიოლოგიური კრებული,“ რადგან ქართველოლოგიურს ვერ დაანერდა..., როგორც ჩვენთვის ცნობილია, დასახელებული ჟურნალის I-III ნომერი სტოკჰოლმში დაიბეჭდა, ხოლო მომდევნო — IV-VIII ნომერი — სტამბოლში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აჰმედის მკვლევლობის შემდეგ ჟურნალის გამოცემა შეწყდა.

ეს ის დროა, როცა თურქეთში ტერორი მძვინვარებს და აჰმედ მელაშვილის პატრიოტული საქმიანობის მიზეზები შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა... სწორედ ამიტომ, 1980 წლის 5 ივლისს ქ. ბურსაში საკუთარი სახლის წინ ჩაცხრილეს აჰმედ მელაშვილი და მძიმედ დაჭრეს მისი ვაჟი იბერია. ლოგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ოფიციალური ვერსიით მკვლევლობაში ბრალი ედებოდა ფაშისტური ორგანიზაციის „ულქუ იოლუ დერნის“ ბურსის განყოფილებას.

მიუხედავად იმისა, რომ აჰმედი ქალაქ ბურსაში ცხოვრობდა, იგი მისთვის ძალზედ საყვარელ სოფელ ჰაირიეში (ხეირია) დაკრძალეს და მისმა მეგობრებმა საფლავის ქვაზე დაანერეს: „აჰმედმა მინას გართხმული ჩვენი ეროვნული თვითშეგნება ასწია, აგვამალდა. ჩვენც ავეყვით, მაგრამ ვერ გავუტოლდით.“

აჰმედ მელაშვილის გარდაცვალების შესახებ თურქეთში გამო-
მავალი ჟურნალი „ჩრდილოეთ კავკასია“ წერდა: „აჰმედ ოზგანი, მთელი სიცოცხლის მანძილზე არცერთი იდეოლოგიის იარაღი არ ყოფილა, მას უნდოდა თურქეთში მცხოვრებ ქართველებს ერთ-
მანეთი სცოდნოდათ, ჰყვარებოდათ და ურთიერთდახმარებით თა-
ვიანთი მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ. მისი მიზანი მშობლიურ საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობა და თურქეთის ქართველებისათვის იქ მიღწეული კულტურული წარმატების გაცნობა იყო.“

სამწუხაროდ, წინაპართა ფესვებზე უზომოდ შეყვარებული აჰმედ მელაშვილის ბევრი საქმე და ოცნება დარჩა დაუმთავ-
რებელი. მათ შორის: ბაშექალეთ არქივში მოძიებული ქართული დოკუმენტების გამოცემა და ოცნება იმისა, რომ ერთი-ორი ქართველი ახალგაზრდა მაინც წასულიყო საქართველოში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაემთავრებინა... თუმცა, ეს ოცნება განხორციელდა, მაგრამ, უიმისოდ... სხვებთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა წარმა-
ტებით დაამთავრა აჰმედ მელაშვილის რძალმა, იბერიას მეუღლემ — ეკა ირემაძემ, გეოგრაფიის განხრით, რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. ვაჟა გუჯაბიძე გახლდათ.

ქართველთა მოჭირნახულე აჰმედ მელაშვილს იმაში მაინც გაუმართლა, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში ორჯერ შეძლო დაკარგული სამშობლოს მონახულება. ამასთან დაკავშირებით აი, რა გვიამბო მისმა მეუღლემ ქალბატონმა იუქსელმა: „ოთარ გიგინეიშვილის კეთილი ნებით და მოპატიჟებით გადავწყვიტეთ საქართველოში წამოსვლა. პირველი მოგზაურობის დროს ჩვენი მარშრუტი იყო: სტამბოლი-სოფია-მოსკოვი-თბილისი. ზღაპარში მოვედით, - იხსენებს ქალბატონი იუქსელ ჯინჭარაძე, - კიდევ უფ-
რო შეგვიყვარდა იქაურობა...“

საქართველოს მონატრებულები მეორედ — ყარსი-ლენინგრადით ჩამოვედით, სიყვარულით გამოგვეგება გურამ გალოგრე, მაშინ უკვე მთელი საქართველო შემოგვატარეს... ისე მოგვეწონა, ჭკუა არ დამრჩა“...

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აჰმედ მელაშვილი, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული, არც ერთ წუთს უქმად არ კარგავდა, რათა „თურქეთელი ქართველების“ ცხოვრების ყველა სფერო შეესწავლა და მათთვის საქართველოსა და ქართველი კაცის პატივისცემა და სიყვარული ჩაენერგა. ამიტომაც იყო, რომ თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა მას „ჩვენებურების“ ილია ჭავჭავაძე შეარქვეს.

დროის ცვლილებებმა და თურქეთის სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებმა, ხელი შეუწყო თურქეთ-საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას, რამაც გარკვეულწილად, ხელი შეუწყო აჰმედ მელაშვილის წამოწყებული საქმის გაგრძელებას, რისი თვალსაჩინო მაგალითია მის მიერ დაარსებული ჟურნალის „ჩვენებურების“ გამოცემის განახლება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა აჰმედ მელაშვილის მოწაფე და მისი დიდი პატივისმცემელი პიროვნება — ოთარ იმედაშვილი. ასევე, დღემდე გამოდის ქართულ-თურქულენოვანი ჟურნალი „ფიროსმანიც“. გააქტიურებულია თურქეთ-საქართველოს შორის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაც რის ნათელ მაგალითს წარმოადგენს პროფ. შუშანა ფუტკარაძის მიერ სტამბოლის ქართველ მამათა სავანეში განეული დიდი სამკლიშვილო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და ასევე ხდება სტუდენტების გაცვლა, რისი ნათელი მაგალითია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მერაბ ბერიძის საქმიანი ურთიერთობა ყარსის უნივერსიტეტთან. ამ ურთიერთობებს დღეს აგრძელებენ: ჩვენი უნივერსიტეტის ახალი რექტორი, პროფესორი მაკა ბერიძე და პროფესორები: როინ ყავრელიშვილი და მაია მესხიძე. დარწმუნებული ვართ ეს ურთიერთობები კვლავ გაგრძელდება და კეთილ ნაყოფს გამოიღებს.

ემიგრანტული პროზა

ირინა იოსებაშვილი - ათენი

დავიბადე 1981 წელს ქ. ქუთაისში. ცხრა კლასი იქ დავამთავრე და მერე სასწავლებლად სოფელში გადავედი, ბაღდათის რაიონში. სკოლის დამთავრების მერე მალევე დავექორწინდი. წერაც ბავშვობიდან დავიწყე, ვწერდი მხოლოდ ჩემთვის. წერის დროს რატომღაც უფრო შვებას ვგრძნობდი, ვიდრე ადამიანებთან... ბავშვი არასოდეს ვყოფილვარ უბრალოდ, ასე „ქალად“ დავიბადე.

რატომ ვწერ? წარსულში ერთი პატარა გოგონა „დამეკარგა“ და იმის ხმა მინდა მივანვდინო ადამიანებს, ადამიანებს, ვისაც არასოდეს ესმოდათ მისი (საკუთარ თავს ვგულისხმობ).

მყავს სამი შვილი. მათთვის ნამდვილად ღირს ცხოვრება. 8 წელია უკვე ემიგრაციაში ვიმყოფები. სხვის შვილებს ვზრდი და ჩემი შვილების სუნიც დამავიწყდა. ბედის ირონიაა ყველაფერი და ცხოვრება მე დამცინის, მე კი - მას. არ მინდა დავეცე! ამიტომ მივდივარ წინ და წინ იქ, სადაც ნამდვილად მელოდება „ბედნიერება“.



ემიგრანტი ქალის წერილი

გამარჯობა, ქალბატონო.. მე ჩემს თავს ამ სახელს ველარ ვუწოდებ, რადგან სხვის სახლში ერთი მოსამსახურე მქვია, ვისაც უბრალოდ ყველა უფლება წართმეული აქვს და მხოლოდ...

- დიახ, ქალბატონო! - დიახ, ბატონო! - გმადლობთ!... და მეტი არაფერი შეუძლია.

მე, ჩემს ქვეყანაში დაბადებული ქალბატონი სხვის მინაზე არავინ ვარ. მეტყვი, გული არ გაქვს, როგორ დატოვე შვილები ამდენ ხანს და მათ გარეშე ძლებო, მაგრამ, უგულოდ როგორ უნდა მეარსება, ესეც არ ვიცი. შენსა და ჩემს შორის განსხვავება ისაა, შენ ღამით შენს შვილებს შუბლზე კოცნი, მე კიდევ - სხვის შვილებს ვეუბნები - ძილინებისა...

მე ჩემი გული იქ დავტოვე, სადაც საქართველოს საზღვარი დამთავრდა. ჩემი შვილის ფოტოებს სულ „ნაეშალა“ სახე, ყოველ საღამოს სახესთან მივიტან და ვკოცნი, მის პატარა თვალებს, სევდიან თვალებს, რომელსაც დედა ენატრებათ.

ქალბატონო, როგორ მწარედ წამოისვრი ხოლმე - „წავლენ და აღარ ბრუნდებიანო“. რა ვქნა, ვერ დავბრუნდი. დღემ დღე შეცვალა, ლამემ - ლამე და მეც შევრჩი ამ ქაობს. ყელამდე ვეფლობი და ველარ ამოვედი.

შენ, მანდ, ჩემი ცრემლით დატოვებულ მიწაზე ქალბატონობ, გზისკენ იხედები, როდის დაგიბრუნდებიან შვილები სკოლიდან და მე ისიც არ ვიცი, დილას რა ჩაიცვებს. არ გსაყვედურობ და არც ვეგოისტობ, უბრალოდ, სულში ხელებს ნუ მიფათურებ, ისედაც მტკივა!

„არ იკლებენ კარგად ჩაცმასო“, ისე იტყვი, ვითომ შენი ნაშრომით ვარსებობდე. ბევრჯერ ვცადე თავის მოკვლა, მაგრამ გადავრჩი....

მაკიაჟს იმ ტკივილის დასამალავად ვიყენებ, რომელიც უამრავი დამიგროვდა..

ხანდახან მემღერება და ვლიღინებ. ხო, რა ვქნა, მეც ადამიანი ვარ.

ქალბატონო, ნუ გაიკვირვებ ჩემს გადარჩენას.

იცი, რისთვის ვიბრძვი? - გადარჩენისთვის...

ჩემს მიწას მინდა ვეამბორო, როცა დავბრუნდები და მუხლებზე მოვეხვიო ჩემს შვილებს. ისე როგორ უნდა მოგვკდე?! ..

ეს ... გამარჯობა ადამიანო! მე შენს თვალში ერთი მომღიმარი ქალი ვარ. ამ ქალმა დღეს შენი მწარე ენის გამო იტირა.. გამარჯობა, კარგო ადამიანებო,... მაღლობა, რომ ყოველ დღეს თავს ადამიანად მაგრძნობინებთ. მინდა, ბედნიერები იყოთ. გამარჯობა, უფალო.

მაღლობა სიცოცხლისათვის...

ემიგრანტი ქალის წერილი საქართველოს!!

გამარჯობა, საქართველოვ! მე შენი მიწის შვილი ვარ, იმ მიწის, სადაც დავიბადე და პირველად „დედა“ დავიძახე; მე ის ქართველი ვარ, ვინც ქართულად შენს მიწაზე ისწავლა „აი ია“; მე შენს მიწაზე ქალბატონად დაბადებული, ქართველი ქალი ვარ, დედა და შვილი; -ახლა სხვის მიწაზე სხვისი შვილების გამზრდელი ძიძა მქვია.

იცო, საქართველოვ, მანდ, შენთან 7 წლის წინ სამი შვილი თვალცრემლიანი დავტოვე და აქ სხვის შვილებს ვზრდი... მე სხვის შვილებს ვეუბნები „დილამშვიდობისას“.

უმცროსი შვილი 4 წლის დავტოვე, ახლა უკვე 11 წლისაა. ერთხელ ვკითხე: - გახსოვარ დედი? - არა... მე მხოლოდ შენი წასვლა მახსოვსო, — მითხრა.

იცო, ეს რას ნიშნავს, საქართველოვ? იმას, რომ შვილებს დედები დაავიწყდათ... იციან, რომ ჰყავთ დედა, სადღაც ძალიან შორს და იციან, რომ მალე დაუბრუნდებათ ის... ეს მალე არ გადის, წლებს წლები ემატება, თვეებს — თვეები და მე აქ, სხვის მიწაზე ჭალარა მემატება.

ჩემო საქართველოვ, ვინ მოგცა შვილი სხვა მიწაზე დასაკარგი? რა დაგიტოვე და რას მახვედრებ? სევდა დაგიტოვე, სამი პატარა სევდა და ახლა უკვე გაზრდილები, მაგრამ სევდიანები დააბიჯებენ შენს მიწაზე...

ჩემო საქართველოვ! რატომ დადის ჩემს მიწაზე ამდენი ძაძებით შემოსილი ქართველი ქალი? დაიღალე, სამშობლოვ, ჩემო, არარაობების ბოგინით არა? მეც დავიღალე, სხვის მიწაზე მოსამსახურე რომ მქვია... შვილები მენატრება, შენი სუნი მენატრება, ჩემო მიწავ...

იცო, აქ ისე არ ამოდის მზე როგორც მანდ. არც ისეთი ლამაზია დილა, როგორც ჩემს მიწაზე...

გამარჯობა, საქართველოვ, ბევრი მაქვს მოსაყოლი და უბრალოდ მომისმინე, მე შენი მიწიდან იძულებით წასული ერთი ემიგრანტი ვარ, რომელსაც ძალიან ენატრები!

რამდენჯერ დამიპუტია საბრალო გვირილაზე ის თეთრი ფურცლები..

- ვუყვარვარ?!
- არ ვუყვარვარ.
- ვუყვარვარ?
- არა!

მერე გაბრაზებულს მომისროლია და ვინც კი შემხვდებოდა ყველა ქალზე მიეჭვიანია..

ყველა ჩემზე ლამაზი და ჭკვიანი მეგონა.

გზაში ვბრაზობდი, უგულოს, მეტიჩარას ვეძახდი და ოდნავაც არ ვფიქრობდი, უბრალო ყვავილი იყო.

- იცით, როგორ ვენდობოდი გვირილებს?

ვარდებზე მეტად. ყოველთვის ვცდილობდი, ვარდი არ მომეწყვიტა, ეკლიანი „მეტიჩარა“.

უსუნო ყვავილი სულ სხვაგვარი სილამაზისა და სითბოს მატარებელია..

ვარდი ლამაზია. მაგრამ მაინც არის რაღაც... „გილალატებს!“ ამაყია ძალიან.

ეს ორი ყვავილი ქალს ჰგავს, ერთი უსუნოა, მაგრამ ძალიან ლამაზი, მეორეს სურნელიც აქვს, ლამაზიცაა, მაგრამ ვერ ენდობი, არ იცი, რა დროს „გიკბენს“

და მაინც, წყენამ გამიარა, გვირილავ!

შენ კი არა, არავინ არ იცის, ამ ქვეყანაზე ვის უყვარხარ და ვის არა...

-საბერძნეთში უნდა წვეიდე! - კატეგორიული ტონით განუცხადა ნაზიკომ ოჯახს.. ჯერ ქმარმა გამოხედა სათვალის ქვემოდან და მერე შვილებმა შეხედეს ალმაცერად.

- ხო, რას მიყურებთ? მთელი ქვეყანა წასულია და მე ვერ მოვუვლი მოხუცებს?! მთელი კვირის მანძილზე, საკუთარ შესაძლებლობებში ღრმად დარწმუნებული დააბიჯებდა ნაზიკო კარ-

მიდამოში ... ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ, როგორც იქნა, გადაწყდა - აუცილებლად უნდა წასულიყო.

დაიწყო სამზადისი. ჯერ კბილები გაიკეთა, მერე თმები შეიჭრა და შეიღება..

- რავარი გალამაზდი, ნაზიკო! შეიცხადეს მეზობლებმა.

- რა ვქნა, მათხოვარივით ხომ არ წავალ ევროპაში?!

ნაზიკოს, გულზე მწარედ მოხვდა ქალების რეპლიკა.. იუკადრისა კიდევც.. ხმამაღლა არაფერი უთქვამს, ისე კი გაიფიქრა: - მეიცათ, მალე დაგანახებთ ჩემს ეზოში სასახლეს! ნახეთ აბა, რავარი „სტენკა“ დავდგა ზალაში და გავატკიცინო სახლი.. ჩემს ბიჭსაც კაი მანქანას ვუყიდი და კი ჩამოვალ მერე..

ასეთი ფიქრით დაადგა ევროპის გზას. გზაში, ქართველი ქალები ისე უბოლებდნენ სიგარეტს, სულ ლოყაზე ირტყა ხელი..

- დედაა, ჩემი სიკვდილი, ქალები ჰქვიათ ამგენს?!

დიდი წვალუბის შემდეგ, როგორც იქნა, შედგა ფეხი ევროპაში. ახალჩამოსულმა ენა არ იცოდა.. ძლივს იშოვა სამსახური და ასე დაიწყო ახალი ცხოვრება..... რამდენჯერ გზა აებნა და ტაქსით გადაწყვიტა მისამართზე მისვლა..

- რა გქვია?! ჩაეძია ტაქსის შოფერი. - ვინ გკითხავს, მე რა მქვია, წინ იხედე! ტონი არ შეცვალა ნაზიკომ.. გულში გაიფიქრა: - აქანე ამისთვის კი არ ჩამოვსულვარ, ჩემი ოჯახის ფეხზე დასადგომად ვარ ჩამოსული!

მანქანის მინის იქეთ მდგომ ადამიანებს სიამაყით გახედა და გაელიმა... უშნო ქალი არ ეთქმოდა ნაზიკოს. ლამაზი ცისფერი თვალები ჰქონდა. არც სიმაღლე აკლდა და არც ქალური შარმი. თავიდან ძალიან გაუჭირდა. ლამით ხშირად ტიროდა, მაგრამ ყველაფერს გაუძლო და ოჯახი ფეხზე დააყენა. უდიდესი სიხარულით ფუთავდა შვილებისთვის გასაგზავნ აშანათებს..

- ლამაზი ქალი ხარ, გავიცნოთ ერთმანეთი? - დახვდა წერილი მესენჯერში.

- დედაა!.. შეყვირა და ლოყაზე ხელი მიირტყა. - მინა დაგაყარე მაგ ხელებზე შენო! ამ სასიკვდილეს „იმნარი“ ვეგონეო!

ასე ნელა გადიოდა წლები. გავიდა 10 წელი.. ბოლოს გადაწყვიტა მის ოჯახს დაბრუნებოდა, სიურპრიზი მოეწყო ოჯახის

წვერებისათვის. ეზოს ჭიშკარი შეალო.. გულმა რეჩხი უყო... რალაც ისე აღარ დახვდა, როგორც დატოვა. არ იდგა მისი პატარა სახლი. სამაგიეროდ, ის სასახლე იდგა, რითაც მეზობლები უნდა გაეოცებინა... კარი შეალო... როგორ ელოდა, ვინმე გამოიქცეოდა და კისერზე მოეხვეოდა. ცივი სახეების მეტი ვერაფერი დაინახა. ცრემლი მოერია ნაზიკოს.

- რა გავაკეთე?! გაიფიქრა და...

ხელით მიასწავლეს.. - იქ დანეჯი, შენი ოთახი ის იქნება(ო)...

ოთახიც შეუცვლიათ..... ლოგინზე გულაღმა დაემხო და ტირილი დაიწყო.. როგორ ელოდა, სიყვარულით სავსე სახეებს. მონატრების ცრემლებს, მაგრამ, ამოდ... „სასახლის“ ერთ ოთახში, ერთი უბრალო ქალი იწვა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა შვილებისათვის და ამ დროს ისინიც დაკარგა!

გრძნობათა ზეიმი

უკრავს როიალზე **ბედისწერა** შავთეთრი კლავიშებით სევდიან მუსიკას.... **ანგარება** სუფრის თავში „რჩეულს“ ეძებს, ზუსტად იცოდა, რომ მისთვის სასურველი „ქალბატონი“ სადმე იქნებოდა. ასე სჩვევია ხოლმე, ზედმეტი სიყვარულის მათხოვრობა - მერე რომ ადგეს და მწარედ დასცინოს... **ზიზლი** თვალებდანვრილებული ყველა გრძნობას ათვალეერებდა. სძულდა ყველა და ყველაფერი.. თამადად აიჩიეს ყეყეჩი „**ღალატი**“ და დაულოცეს სუფრა. ამ უკანასკნელმა არ დააყოვნა და, აქაო და მე ყველას ვჯობივარო, სასმისი სასმისზე შესვა. ყველა გრძნობა დალოცა, **სიყვარულს კი ერთგულება** დაუწუნა..

- უტვინოდ იქცევი, ამოიჩემებ ერთს და მთელი ცხოვრება ებლაუჭები! - მერე უგემურად გადაიხარხარა და ხელზე „ამბიციას“ ეამბორა..

ბედისწერა კი უკრავდა განუწყვეტლივ, ნაზად ლამაზად და ცდილობდა ყველა გრძნობაში სიყვარული აღედრა...

სიყვარული კი იჯდა თავისთვის მშვიდად, ღიმილით უცქერდა ყველას და ცდილობდა, ვინმეს გულში შეეღწია.. ერთ დროს ვითომ

მასზე შეყვარებულ „ღალატს“ კი სევდიანად გახედა, როგორ ეპატიჟებოდა „ამბიციას“ საცეკვაოდ..

- შეიძლება ვიცეკვოთ? უცებ მოესმა ყურთან ხმა.. ზემოთ აიხედა და მის წინ ლამაზად „თმადავარცხნილი“ ერთგულება იდგა..

- კარგი, ვიცეკვოთ... გაუღიმა ისე, თითქოს და მთელი სამყარო განათდა. და ასე ბედისწერისგან მიძღვნილი ჰანგებით ცეკვაავდა ორი ულამაზესი გრძნობა ერთგულება და სიყვარული. ღალატი კი იდგა და შურით შესცქეროდა დანაკარგს...

პ. ს. ასეა, როდესაც კარგავ ფასს, მერე გებულობ, მაგრამ, სამწუხაროდ, ნატკენ იარებს დრო ვერ კურნავს ხოლმე.

იცეკვე, ქალბატონო, იცეკვე. დაე, გიყურონ შორიდან, როგორი სიყვარული შეგძლება. უკრავს როიალზე ბედისწერა შავთეთრი კლავიშებით სევდიან მუსიკას....

სიყვარულმა ბანკეტის გადახდა გადაწყვიტა. ყველა გრძნობა მოიწვია.. დიდხანს იტრიალა სარკის წინ, როგორც სჩვევია, წითელი კაბა „ჩაიცვა“ და კიბეებზე დაემვა. ბოლმამ როგორც კი თვალი მოჰკრა, უფრო გაიბერა და დაუნვრილდა თვალები, შურს სახეზე მკვდრის ფერი დაედო. ეჭვმა გაიფიქრა: - ეტყობა უზომოდაა შეყვარებული, თვალები როგორ უბრწყინავს! ღალატმა არ დააყოვნა, სხვა გრძნობებს ახედ-დახედა და იმ წამსვე თვალი მოკლე კაბაში გამოიწყობილ ანგარებაზე შეაჩერა.

ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას. სიყვარული სულ ილიმოდა. დადგა ფეხზე და ბოროტებას სასამისის შევსება სთხოვა.. ზუსტად იცოდა ჭიქაში „შხამს“ გაურევდა, მაგრამ, მაინც არჩევანი მასზე შეაჩერა..

- მოგესალმებით ყველა გრძნობის მატარებელნო. დღეს მომინდა, ყველანი ერთად შემეკრიბეთ და ჩამეხედა თქვენთვის თვალებში.. თვალები სულის სარკეა. ხოდა, მე თქვენს თვალებში ბოლმას, შურს, ანგარებას, სიძულვილს და ყველაფერს ერთად ვხედავ. ღალატმა პაემანზე დამიბარა და უცებ ანგარებასთან

მიღალატა. (გაელიმა). რატომ არასოდეს მარჩენთ ჩემს გრძნობას, რატომ თელავთ ყველაფერს? ნუთუ არ შეიძლება თქვენც ჩემსავით სიყვარულით იცხოვროთ?!

ირგვლივ სიჩუმე იდგა. ღალატი ყველა გრძნობასთან გადავიდა ალავერდით სიყვარულის გარდა.

- მე ყოველთვის ასეთ გზას ვირჩევ. მიყვარს ატირებული, მიგდებული გრძნობების ყურება.! განაცხადა და უგულოდ გადაიხარხარა....

სხვა გრძნობებმა ტაში დაუკრეს ღალატს და თავდახრილ სიყვარულს ცრემლებზე დასცინეს.

გარეთ საშინლად წვიმდა. სიყვარულმა ველარ აიტანა ამდენი დაცინვის ყურება და გარეთ გაიქცა. გარბოდა უსასრულოდ, გზადაგზა იგლეჯდა წითელი კაბის ნაკერებს და გულამომჯდარი უსმენდა, როგორ გამოდიოდა მისივე სახლიდან სტუმრების საშინელი ხარხარი.

-ასეა, სადაც ამდენი შურია, ბოლმაა, სიძულვილია, ანგარებაა, ღალატია, იქ სიყვარულის ადგილი არაა.. გაიქეცი, „ქალბატონო“, გაიქეცი, თორემ სულ დაგისველდა წითელი.... კაბა. იქნებ და გზაში შენისთანა „დაკარგული“ ნახო.... ცხოვრებაა ასეთი, სადაც შენს წასვლას დანაკარგად არ თვლიან, იქ არასოდეს არ უნდა გაჩერდე.

ტალახიანი „კალოშები“ ბალახზე დაინმინდა და სახლის კარები შეაღო. ჭრიალით გაიღო კარი, სევდით მოავლო თვალი სამზარეულოს, სამზარეულოს, რომელიც ბოსელს უფრო ჰგავდა.

- რა გავაკეთო საჭმელი? - გაიფიქრა და დაღონდა. ვერაფერი ნახა ისეთი და ხახვი მოწვა, მჭადი გააფიცხა და „გემრიელად“ დანაყრდა..

სმირად ხედავდა მისი ფანჯრიდან მეზობლის ფანჯრებს.. - რა ლამაზია. ნეტა მე როდის მექნება ასეთი? მექნება კი? ეჰჰჰ ... ამოიხვნეშებდა და ისევ მიიბრუნებდა სახეს უკან..

ნკაპ, ნკაპ, ნკაპ.. ნვიმს. ვაიმე, სულ დასველდა ქვეშაგებელი, სასწრაფოდ შეუყუდა ჯამი ნვიმის გამშაგებულ წვეთებს, რომელთაც სახლის სახურავიდან სახლში შემოედინათ.

- დე, მშია. - ხოო, შვილო და ორაზროვნად გახედა ხახვის სავსე ჯამს. - ახლავე გაგიმზადებ.

ეზოში მეზობლის მსხლის ტოტები იყო გადმოსული, რამდენჯერ დაუკრეფია მასზე მსხალი, ნაულია და შვილისთვის ტკბილეული უყიდა. პატარა თვალების სიხარულს რა დაავიწყებს.. - უნდა ნავიდე! გადავარჩინო შვილების მომავალი... და ასე დაადგა გზას.

უცხოეთში თავი მარტო იგრძნო. ტიროდა, ხშირად ესმოდა დამცინავად უფროსების ხმა.. - შენ საიდან ხარ? იქედან, სადაც ადმიანები მშიერნი არიან? ცრემლები ახრჩობდა, მაგრამ მაინც მიიწვედა წინ.

- იბრძოლე! ნააქეზებდა თავს და წარმოიდგენდა მის ეზოში ლამაზად დადგმულ სახლს, რომელიც მეზობლის ფანჯრიდან უფრო ლამაზი იქნებოდა, ვიდრე მაშინ, როდესაც სირცხვილით თვალებს ხრიდა. ყველაფერი გააკეთა, შეძლო, გაიმარჯვა და ახლა.. ახლა ხშირად ესმის: - რა იშოვა ამდენი, რომ გააკეთა? ემიგრანტმა რა იშოვა ამდენი?

იმ ტალახიანმა კალოშებმა შრომის ფასი ასწავლა, მის ქვეყანაში ერთ დროს დაბადებული ქალბატონები მოსამსახურეებად იქცნენ. გამონაკლისებიც არიან, აქაც არ იკლებენ ქალბატონობას. ასეთები უბრალო მოსამსახურეებს ზემოდან დაჰყურებენ, ტრაბახი სჩვევიათ და ზოგს „სოფლელებს“ ეძახიან. რაც არ უნდა თავი ვიქოთ, ეს ასეა. - სოფლელი! წაისისინებენ, არადა ის ავიწყდებათ, რომ ის სოფლელი ფეხზე დადგა თავისივე შრომით. რამდენი რამე ავიწყდებათ ემიგრაციაში ხოლმე. რამდენი ცრემლად გათენებული ლამე. რამდენი მეგობარი აღარ ახსოვთ. ავიწყდებათ მთავარი! უცხო მიწაზე ყველანი საქართველოდან რომ ვართ. ადამიანის მორალურ დაბალ დონეს მაღალი ქუსლები ვერ აამაღლებს!

ხანდახან სხვისი „ტუალეტის“ კარებს რომ შეაღებთ გასანმენდად, გაიხსენეთ „სოფლელებს“ რომ დასცინე. შენნაირად

შრომობს ისიც. თუ ფეხზე დადექი იმ ტალახიანი „კალოშებით“, გიხაროდეს, რადგან შენში გაიმარჯვა ქალმა. ქუსლებზე შემდგარი „ანგელოზები“ ბევრი მინახავს ემიგრაციაში, მაგრამ ამავედროულად, დავარდნილი და ღირსებაწარმეული. ხოო! მე ჩემი ტალახიანი კალოშები ბალახზე დავინმინდე და გადავრჩი! არ დაგავინწყდეს, ჩემი სოფლიდან ქალაქი ჩანს და თქვენზე მაღლა ვდგავარ, რადგან ტაფაზე მომწვარი ხახვი მიჭამია და მაინც გადავრჩი!

- ასე აღარავის მოექცე! უთხრა ქალმა კაცს და კიბეებზე სირბილით დაეშვა.

ყელში მოძალებული ცრემლები ერთიადან ამოუშვა და გზას ბარბაცით გაუდგა.. იქვე კუთხეში კაცი კედელს მიყრდნობოდა და არყით სავსე ბოთლს წრუპავდა.

- ლოთია! გაიფიქრა.

- ეი, გოგონი, რა დალიე? როგორ მიბარბაცებ მთვრალივით. აკი, ქალები არ სვამენო?... მოესმა ზურგიდან და შეჩერდა...

- ვინ თქვა, რომ არ სვამენ? უკან მიბრუნდა, სულ არ აჯავრებდა, რას იტყოდა ხალხი. მამაკაცს ბოთლი გამოართვა და პირზე მიიყუდა. იგრძნო, როგორ გაუთბა სხეული..

- მეტს ნულარ დალევ! უთხრა კაცმა. აი, ასე შენსავით მოვდიოდი მეც გზაზე, ცოლმა მილალატა, გზაში ერთი კაცი სვამდა, დავჯექი მასთან და მეც დავლიე, იმ დალევამ ყველაფერი დამავინწყა. ამის მერე ვზივარ ასე ქუჩის ბოლოს, ვსვამ და სიკვდილს ველი.

- ეხ, ბიძაჩემო, ხედავ იმ ფანჯარაში სინათლეს? ხედავ, როგორ ანათებს ფანჯრებს? სადაცაა ჩაქრება და ამით დამთავრდება დილა მდე შუქის სხივების კიაფი.. ზუსტად ასე დამემართა.. ერთი ბიჭი შემიყვარდა. მას თურმე არ ვყვარებივარ. ხოდა დავცილდი. თვალწინ მღალატობდა ირონიით იცონოდა ჩემს ცრემლიან თვალებზე.. ავდექი და წამოვედი. ..

- ასეც სჯობს. ახლა რას აპირებ? ჩემსავით სიკვდილს?!

- არაა! დაუშვებელია სიკვდილის მოლოდინი, რაც იყო, იყო, არ მინდა ცუდზე ვიფიქრო. უთხრა ქალმა კაცს. ფეხზე წამოდგა, ღამენებისა უსურვა და წავიდა. აღარც ბარბაცებდა. უფრო გაიმართა მხრებში...

ამის მერე გავიდა ერთი წელი. გოგონამ უკვე სამი წიგნი დაწერა, მის ნაწერებში ხშირად ნახავდით მისი „მუზის“ ნამდვილ სახეს. ხშირად ფიქრობდა იმ „ლოთზეც“, ნეტა როგორაა? გაიფიქრებდა... არადა, იმ ქუჩაზე გავლა აღარ უნდოდა... სულ მალე მისი წიგნის პრეზენტაცია დაინიშნა. აფიშებით აივსო ქუჩები.

და, აი, ის დღეც.. თეთრი კაბა ჩაიცვა, მისი საყვარელი ფერია... გაიფიქრა და გაეღიმა.. აუარებელი ხალხი მოვიდა. იდგა დიდ სცენაზე ცხოვრებანართმეული ქალი და ხალხში ეძებდა „იმედს“.

უცებ სცენაზე ერთი მხრებში მოხრილი კაცი ამოვიდა დიდი ვარდებით. ქალისკენ გაეშურა და ხელზე ეამბორა. მერე კი მიკროფონთან მივიდა და დაიწყო:

- იცით, ვინაა ეს ქალი, ეს ქალი ღირსებაა, იმედია, მომავალია. ქალმა, რომელმაც შეცვალა ჩემი ცხოვრება. ქალმა, რომელმაც მასწავლა, რას ნიშნავს სიცოცხლის წყურვილი. მე ერთი წლის წინ ლოთი მერქვა და სიკვდილს ველოდი. დღეს კი კაცი მქვია და სხვებს ვასწავლი, როგორ უნდა იბრძოლო გადარჩენისთვის.. ქალმა მერე ამოიცნო მისი „გადამრჩენელი“, დარბაზს გახედა. აი, ის, მისი „მუზა“, თურმე ესეც აქ ყოფილა.

გული გაეყინა. თავი ძირს დახარა და ბოლო სიტყვები წაიკითხა წიგნიდან...

- ქალბატონებო და ბატონებო! თუ ვინმემ გული გატკინათ, არასდროს მისცეთ თავს სასოწარკვეთის უფლება. იყავით ამაყი, იმდენად ამაყი, რომ შენგან წასულმა ადამიანებმა შენთან ყოფნა ინატრონ.. ხო, კიდევ, ღირსებას გაუფრთხილდით. არავის გაათელინოთ. უღირსი არავის ენდომებით მერე.. დაამთავრა სიტყვები და მას გახედა.. ტაში არ წყდებოდა. იდგა სცენაზე ცხოვრებანართმეული ქალი, თავი მალლა ჰქონდა ანეული და თვალებში ჩასცქეროდა ცხოვრებას...

მე, ის „ნიგნი“ ვარ, უგულოდ რომ მოისროლე სანაგვეზე..

მერე, სულ ფურცელ-ფურცელ ავიკინძე და შენს ცხვირწინ დავდექი, ისევ...

ავიკინძე, რადგან მსურდა წაგეკითხე..

დავიკარგე... დღეს ხომ აღარავინ კითხულობს უპატრონოდ დარჩენილ ნაგლეჯებს, მაგრამ შენ, შენ აუცილებლად უნდა წამიკითხო! უნდა შემისწავლო! და მერე, თუ გადამაგდებ, გული მაინც აღარ დამწყდება.. მერე მაინც, აღარ ვიდარდებ, უჩემოდ დარჩენილი ბიბლიოთეკის თაროებზე..

ისევ გადამაგდებ, აბა რას იზამ... შენ ხომ ისედაც ბევრი წიგნი გაქვს წაუკითხავი..

ნეტავ, ქარს მაინც გადავეფურცლე, ან მტვერი დამდებოდა..

იცი, ყველაზე მეტად რა მტკივა?!

აბზაცად დარჩენილი ასოები, სიტყვებმიტოვებული წინადადებები..

ვერაფერს გეტყვი ახლა... უბრალოდ, უნდა წაგეკითხე....

პოეზია

ივლო ოტობარი

მოდი, დანეკი გულადმა და ვუყუროთ ღრუბლებს,
უნდა იცოდე ბუტიაა ეს მზეც ჩემსავით,
იგი სხივების მოტანილ ჭორს გულდასმით უსმენს,
როცა მე ველარ ვეგუები ვილაც მესამეს,
ვინც უნდა იყოს,რა განზრახვაც არ უნდა ჰქონდეს
ჩარევა ზოგჯერ ტკივილივით მეტისმეტია.
შენ, საყვარელო მარტოობავ, სიტყვაზე მენდე
და სხვას ჩემ გარდა არასოდეს არ შეეჩვიო,
რადგანაც უნდა გიერთგულო, მიწის კანონით
ხომ იცი, სტუმარს მორიდება მასპინძლის მართებს,
ვარ მატარებლის დაჟანგული ძველი ვაგონი,
ზოგჯერ უბრალოდ უფუნქციო სურათის ჩარჩო.
შეთავსებით კი უფლის თიხას ვასახიერებ
ცრემლების შემდეგ რჩება მხოლოდ სიცარიელე.

ღმერთო, სახლამდე რა შორია, ალბათ შენამდეც
და როცა ჩემთვის ველარ იცლი ცრემლებს გიმაღავ,
მე ერთი ურჩი ლერწამი ვარ შენი ვენახის
და ქარს ვაჩერებ თავის გზაზე ოხვრით მიმავალს,
ანუ არასწორ ნაბიჯებს ვდგამ, არც თუ შემთხვევით
თუმცა ირგვლივაც, დამიჯერე, მრუდე გზებია,
იმედის კურსი ზოგჯერ ისე მკვეთრად ეცემა,
ვერ გავექეცი თეთრ ღამეებს, ჭინკებს ვნებიანს.

-23-

სამაგიეროდ, არ უარვყოფ მამლის ყვილზე
მიწიერ ღმერთებს, ფრთებდაღენილ ადამიანებს,
გთხოვ, დამანახე მათ სახეზე ბევრი ღიმილი,
ნაჩვევ ტკივილებს მხოლოდ ესლა თუ დამიამებს.
ერთხელ ჩამოდი, გადანიე ღრუბლების ფარდა,
ჩუმაღ ვიქნები და თვალებით ვილაპარაკებ:
მასზე, ღიმილზე ან მზეებზე, რომლებიც მწვავდა
ნუ მიპასუხებ, გააგრძელე ჩემი ზღაპარი...

ღმერთო, ჩემ შემდეგ რა დარჩება, მტვერი მარტოდენ?
კითხვაზე პასუხს თავისთავად წლები მოიტანს,
მაგრამ ოდესმე, რომ შეგხვდები ზეცის ტატნობზე,
ვილაპარაკოთ რწმენას თუ აქვს რამე ლოგიკა,
გარდა სიბრმავის, რიტუალის, ძველი კერპების
და მრევლი-ფარა იზეპირებს რჯულის კანონებს,
მე კი მიწაზე დარჩენილი, ისიც შემთხვევით,
მინდა უბრალოდ ტკივილისთვის რომ გიმაღლოდე.
გზა თუა მრუდე, ეს უბრალოდ ასეთი დამხვდა
ამიტომ მიზეზს აღარ ვეძებ: ვეცემი-ვდგები,
სულ ასე იყო ეს წესი და სადამდეც გასტანს,
გავუძლებ, ვიდრე მომირჩება ნატკენი ფრთები.
ფრენას ვისწავლი და სამოთხეს ჩემით მივაგნებ
რა ცოტა დარჩა უღიმღამო მორიგ დილამდე.
ღმერთო, ჩემ შემდეგ რა დარჩება, მტვერი მარტოდენ?
თვითონ ვისწავლი, როგორ უნდა მოგიახლოვდე.

ილაპარაკე, მეგობარო, ენა უძვლოა,
რომ ვერ ვერგები ნახატისთვის განკუთვნილ ჩარჩოს,
ბრბოსთვის ხომ ვიცი, ქრისტეს მსგავსად, შორი, უცხო ვარ,
რადგანაც მიყვარს შეცდომებზე როდესაც ვსწავლობ.
სხვა ვერ გაიგებს, რომელია სწორი ან მრუდე,
სხვის მაგალითზე ვერ ავაგებ, რასაც ვაშენებ,
ოქროს გალიას მირჩევნია პატარა ბუდე,
თუნდ დღენიადაგ ქარს გაჰქონდეს, უშნოდ წენავდეს.
თუნდაც მეტკინოს, ამერიოს საერთოდ თავგზა,
ვადაც დაკარგონ ცრემლებმა და ეულად დავრჩე,
ცხოვრებას მაინც დავამსგავსებ ჩემებურ ზღაპარს,
დასაწყისში რომ გეშინია, ბოლოს კი ამჩნევ:
დედინაცვალიც მოიტოვე, დევიც გალახე,
ხახვის ფურცლებიც ადგილზეა, ყველა უკლებლივ,
თუმცა ორჭოფობ, აღიარებ საკუთარ თავთან
უკან არ წახვალ და წარსულში არ დაბრუნდები,
რადგან ბრძოლისთვის დაიბადე, ცეცხლშიც გაივლი,
იმ შემთხვევაში თუ მეზღაპრე განსაცდელს გიწყობს,
არაფერია ცხოვრებაზე უფრო ადვილი
და მასზე რთულიც მეექვსეა რაიმე იყოს.

წელს ალბათ ვერა, გაისად მოვალ,
დავპირდი ფუძის ერთგულ მურიას,
დამელოდება დაბერდა თორემ,
დღეები დღეებს ფერხულს უვლიან,
ანუ მესამე წელი სრულდება,
რაც ყურმილს მიღმა მონყენით მიყეფს
და ქართველობას არ აქვს უფლება,
მტკაველი მინაც რომ უცხოს მისცეს.
ზეცა წვიმისგან არ გახუნდება,
თუმცა ღრუბლები ცაზე რჩებიან,
ასე შორიდან მელაციცება ჩემი ბებია...
და ძილის წინაც მოსაყოლ ზღაპრებს
ბაბუა გულში დარდად ინახავს,
ბავშვობა, როგორც უეკლო ვარდი,
გონებამ მაინც შემოინახა.
ცხოვრების სკოლა მავიწყებს ღიმილს,
მონატრებისგან ცრემლით ვმარხულობ,
არ მინდა მერქვას ოდესმე დიდი,
თუკი დავრჩები უგაზაფხულოდ.

ჩემი ოძროს საათი

ბევრს ვნერ ჩემი თავგადასავლების შესახებ. მინდა ერთიც გავიხსენო. ჩემი სამუშაო კარიერა დაიწყო სკოლის დამთავრებისთანავე 17 წლის ასაკიდან, დამტარებლის (კურიერი) თანამდებობით. მას მერე გავიარე უამრავი საფეხური და ეტაპი ცხოვრებისა. კარიერისათვის არამარტო განათლება, ქუა-გონება, მეგობრები, მოხერხებულობა, სიტყვა-პასუხია... საჭირო, ამასთან ერთად ვიზუალური სახეც აუცილებელი ატრიბუტია ჩინოვნიკისათვის. გემოვნებით ჩაცმა მარტო იმას არ ნიშნავს, რომ რაიმე ძვირფასი გაცვია (რაც დღევანდელი ცხოვრებისათვის ძალიან დამახასიათებელია). ხშირად არ აქცევენ ყურადღებას, უხდებათ თუ არა, ჩაცმულობის სტილში ჯდება თუ ფერში მიდის, კონკრეტული ადგილისათვის მისაღებია ესა თუ ის ჩასაცმელად და ა.შ... მათ შორის ჩინოვნიკისთვის ერთ-ერთი საჭირო ატრიბუტი საათია. ოოო! საათი უნდა იყოს საჭირო ფირმის. აუცილებლად ფასიც სოლიდური უნდა ჰქონდეს, მაშინ სხვაგვარად გიყურებენ უკვე. დღევანდელ დღეს, მობილური ტელეფონების ეპოქაში, საათი თავისი დანიშნულებით სულაც აღარ გამოიყენება. აღარავინ კითხულობს „რომელი საათია?“ უბრალოდ გეკითხებიან: „რა ფირმისაა?“ ან „შვეიცარული იქნება, ძმაო, ნაღდად“, ანდა „რა მიეცი?“ მე კი ჩემი საათი იმ დროს ვიყიდე, როდესაც ზუსტად „რომელი საათია“- ს, რომ გეკითხებოდნენ, მეც სიამაყით დავხედავდი საათს და უშეცდომოდ ვეტყოდი დროს. დიახ, ჩემი ნაგროვები ფულიდან, ზოგიც მორჩენილი ქორწილიდან, ზოგიც დაბადების დღიდან და ბოლოს დედაჩემის დიდი წვლილი მაგ საქმისთვის არ დამავიწყდება. ამ შეგროვებული თანხით წავედი სპორტის სასახლესთან, სადაც პატარა ბაზრობასავით იყო „მორკინალი“, უფრო ზუსტად ფოთლიანი ბიჭის გასწვრივ. იმხელა ფასები ედო - „250 დოლარი, ძმაო, ნაღდი შვეიცარულია... აგერ

ყუთი, პასპორტი...“ არადა ციგნის გოგო იმავეს 20 ლარად ყიდდა ბაზრის შესასვლელში, ოღონდ უყუთოდ (თან ხმამაღლა გამო-
მიცხადა „მოპარულია ძმაო“). შემდეგ წავედი დეზერტირების
ბაზარზე, იქაც ვარჩიე, მოკლედ იგივე სიტუაცია დამხვდა. ამდენი
ხნის ნაგროვები ფულის გადაყრა არ მინდოდა სისულელეში,
გადავწყვიტე დავბრუნებულისკენი უკან, მომეძებნა ის ციგნის
გოგო და მეყიდა 20 ლარიანი საათი, მაგრამ მანამდე კი ვიფიქრე
– „მარიკასთვის შევარჩევ რაიმე სამკაულს“ და შევედი ოქროს
ბირჟაზე. ვათვალიერებდი გულსაკიდებს და ერთ-ერთ დახლზე
გამოანათა ოქროს საათმა. მივხვდი, რომ ჩემი უნდა გამხდარიყო
და ამიტომაც დიდი ხნის ვაჭრობის შემდეგ ვიყიდე. მოკლედ,
საბჭოთა მექანიკური ოქროს საათი „ლუჩი“ ახლა უკვე ახალ-
გაზრდა ჩინოვნიკის მაჯას ამშვენებდა (მარიკას კი ბოდში
მოვუხადე გულში). დიახ, მარტო დროს კი არ აჩვენებდა, არამედ
მიმზიდველი და ლამაზიც იყო. გავიდა სადღაც 10 წელიწადი.
შვილები წამომეზარდნენ, მესამეც შემეძინა. ოჯახს სულ უფრო
მეტი და მეტი სჭირდებოდა, ამიტომაც ჩემი სანაქებო საათი
მოხვდა ლომბარდში, ისევე, როგორ საქართველოს მოსახლეობის
90%- ის ოქროს საათებიც. მას შემდეგ ბევრჯერ გამოვიტანე და
ისევ უკან მივაბრუნე, „დიახ, მეც ქართველი ვარ!“

სახელმწიფო მოხელეს, რომელსაც ფორმა აცვია ყოველ დღე
და მუშაობს დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე, ესე იგი
უყვარს თავისი სამუშაოც და ფორმაც, თუმცა მობეზრებულიც
აქვს. ყოველდღიურად ერთი და იმავეს ჩაცმა იოლი საქმე არ არის.
დილით გამოდიხარ ფორმით, მიდიხარ სამსახურში, საღამოს
ბრუნდები სახლში, ჭამ საჭმელს, იხდი ფორმას და იძინებ. დილით
ისევ ფორმით მიდიხარ სამსახურში და ასე გრძელდება უკვე 10
წელიწადზე მეტია. გამომდინარე აქედან, კვირამი დარჩენილი
ერთი თავისუფალი დღე გინდა, რომ მაქსიმალურად თავისუფლად
გაატარო, არ იყო შეზღუდული სამსახურეობრივი მოვალეობე-
ბიდან, ქცევის ეტიკეტიდან თუ სპეციფიკური ურთიერთობებიდან.
ექვსი საათი მგზავრობის შემდეგ ჩადიხარ სახლში. შაბათ-კვირას
თავისუფალი დრო თუ დაგრჩა ოჯახში, რომელსაც საერთოდ ვერ
ხედავ, მაგარი საქმეა. იმ დროს განსაკუთრებულად თავისუფლად

იქცევი, თავისუფლად გაცვია, უფრო მეტიც, უაზროდ შეიძლება ჩაიცვა ტანსაცმელი.

ეს შაბათი ჩემთვის განსაკუთრებული თავისუფლების დღე იყო, თავისუფალი ვიყავი ყველანაირი ვალდებულებებისაგან და, რაც მთავარია, გადავიხადე ლომბარდის ფულის ბოლო შესატანი და გასატანად მზად არის ჩემი ოქროს საათი! ვარ ბედნიერი, ლომბარდის ვალებიდან ამოვედი! (ბანკის ვალებს არ ვთვლი). ის საათი, რომელზედაც ვოცნებობდი, ვიყიდე და მას შემდეგ რაც საქართველოს ლომბარდები მოიარა, უნდა გამოვიტანო! მივდივარ!. ვარ ამაყი და ზედმეტად კმაყოფილი.

შაბათი დილა მზიანი გამოდგა, ჩავიცვი პალმებიანი ცისფერი საზღვაო „საროჩკა“ რომელსაც აქა-იქ გემის წითელი იალქანიც ერია. შევიხსენი ზედა ორი ღილი, საყულო წამოვინიე, სათვალე „მატრიცას“ სტილში, დახეული ჯინსის შარვალი, ცისფერი კეტები, თმები ოდნავ მოშვებული და ბლანჟე ამშვენებდა ჩემს სახეს. მოკლედ, ჩავჯექი ჩემს მანქანაში და გავემურე კოლმეურნეობის მოედანზე. 2015 წლის 17 მაისი, მზიანი დღე, გაღიმებული მივდივარ, მანქანიდან ბედნიერი ვიყურები, დავურეკე ჩემს თანამშრომელს კარლო ჩხარჩხალიას და დაბადების დღე მივულოცე, დავლოცე... კიდევ უფრო მესიამოვნა დილა. სანაპიროდან დავაპირე კოლმეურნეობის მოედანზე მოხვედრა, მაგრამ გადაკეტილი დამხვდა. სადაც კი ვნახე გასაჩერებელი ადგილი გავაჩერე და ფეხით დავიძარი ვაჩნაძის ქუჩისკენ, ვიკასთან ლომბარდში ასვლა დავაპირე, მაგრამ ყვავილების ბაზარს გავცდი თუ არა ძალიან დიდი ქაოსი დამხვდა. უცნაური ხალხის ჯგუფები დადიოდა მანქანებით, ზოგი დროშებით, ზოგიც დროშის ტარებით. ეს აურზაური არ მომეწონა. გავაგრძელე გზა. არც ხასიათის გაუფუჭება მინდა, მივდივარ და ვილიმები. ამ დროს ჩემს გვერდზე ნელა მოძრავი ერთ-ერთი მანქანიდან მესმის: „შეხედე ბიჭო, რამხელააა, ბოზიშვილი ვიყო“. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. კვლავ გავილიმე და გავაგრძელე გზა. კიდევ ერთი მანქანიდან - „ამას რა ცემს, ჩემი დედა მ...ნ“. განწყობა გამიფუჭდა, ნერვები ისედაც დაგლეჯვაზეა, ერთი დღე რომელიც მაქვს, ჩამოვედი სახლში, ოჯახის ნახვასაც ვერ ვასწრებ, თან ჩემი ოქროს საათი უნდა

გამოვიტანო, მთელი წელი ვიხდიდი ამ დანყველილ პროცენტებს და ამ დროს ვილაცა ცემას მიპირებს?! ვერ ვხვდები, ერთი სული მაქვს წრე დაარტყან და ჩემამდე მოვიდნენ, რომ ვნახო შეძლებენ ჩემს ცემას თუ არა. სიბრაზე მახელებს და მაქეზებს, ველოდები იმ მანქანას, იქნებ უკან დაბრუნდეს, რომ მთელი ჯავრები მაგათზე ვიყარო. ამ დროს კიდე უფრო უცნაური რამ ხდება ჩემს თავს. ჩემს გვერდით მომავალი მანქანის ფანჯრიდან გადმოინია (კინალამ გადმოვარდა, ხელი რომ არ შეეშველებინათ შიგნიდან) ახალგაზრდა მამაო, ამოილო დიდი ჯვარი უბიდან და ნელა მიმავალი მანქანიდან გადამსახა პირჯვარი, თან მომაცახა, „ღმერთმა გიშველოსო“. გავჩერდი, ახლა კი სულ დავიბენი. რა ხდება ჩემს თავს, ვერ ვხვდები. „რა დავამავე“, ვფიქრობ. ვფიქრობ, ხომ არ გააფრინეს ან მე ხომ არ გავაფრინე. ვიჩქმიტე ფეხზე - არ მძინავს, ფარულ კამერაში ხომ არ მოვხვდი? მე მგონი არა. ეტყობა დამლოცა მამაომ, გამეხარდა. ყველაფერი შემთხვევითობას დავაბრალებ და ეჭვით გავაგრძელებ გზა. ისევ გავიღიმე. თაბუკაშვილის და ვაჩნაძის ასასვლელში პოლიციის კორდონი დამხვდა. პოლიციელმა აღმაცერად ამხედა-დამხედა, თვალები გაუფარდოვდა და დაიჯღანა - „არ შეიძლება შესვლა, აკრძალულია!“

- რას ამბობ, რატომ, უფროსო?

ისევ შეწუხებული სახით შემომხედა და:

- რა, არ იცი ვითომ?

- რა უნდა ვიცოდე?

- რა და მიტინგი რომ არის, არ იცი?

- რა მიტინგი? აქვე ლომბარდში მივდივარ საათის გამოსატანად.

პატრულებმა ერთმანეთს გადახედეს და ერთ-ერთს ღიმილი მაინც გაეპარა სახეზე. მაშინ ამოვიღე ჩემი გასაღები, ზედ ჯიდიპასი მაქვს გაკეთებული, სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე დაგვირიგეს, რომელიც მხოლოდ ძალოვან სტრუქტურებს და ჩვენი სამსახურის შეზღუდული რაოდენობის თანამშრომლებს გააჩნიათ. ღიმილით გავაგრძელებ:

- ბატონო უმცროსო ლეიტენანტო, თითქმის ერთ სისტემაში ვმუშაობთ, მართლა საქმე მაქვს, მიტინგებზე სიარული კანონით გვეკრძალება, სულ ათი წუთის საქმე მაქვს და დავბრუნდები. თან კიდევ გავუღიმე.

ერთმა მეორეს ყურში ჩასჩურჩულა.

- მიდი უფროსს დაუბახე, იმან გადწყვიტოს, ეტყობა, გადაცემულია.

ასმეთაური მოვიდა, მე კვლავ გავაგრძელე:

- ჩვენი ვარ, ბიჭებო, საქმე მაქვს 10 წუთის, მალე მოვალ.

ასმეთაურმა ამხედ-დამხედა, ხელები გაასავსავა და ბრძანება გასცა:

- გაუშვით! გამატარეს.

მივდივარ და ვფიქრობ, ეტყობა ოპოზიციის მიტინგია, ყოჩაღ როგორ მოუჭირეს, ეგრე, წესრიგი უნდა იყოს ქვეყანაში!, არავის არ უნდა მიეცეს ჩვენი ქვეყნის არევის უფლება, არც ოპოზიციას და არც სხვა ქვეყნებს. ჩვენი ქვეყნის ძალოვნები აუცილებლად უნდა გაძლიერდნენ, საჭირო სამხედრო ტექნიკა, მომზადება თუ ხელფასი საუკეთესო უნდა ჰქონდეთ. სიმართლე და სიმკაცრე უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის განვითარების კრედი!, რომ დამნაშავეს დანაშაულის ჩადენის სურვილი კი არა, აზრიც კი არ უნდა გაუჩნდეს თავში!, სამართალდამცავი სტრუქტურები, საზოგადოება, მთელი საქართველო ერთ მუშტად უნდა შევიკრათ ყველანი, გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყანა!, გავიმარჯვოთ მტერზე! და გავაერთიანოთ საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდის! აღმართი ამ ფიქრებით ავიარე და საჯარო ბიბლიოთეკის კუთხესთან ვიკას ლომბარდში ჩავედი (სარდაფში ჰქონდა გაკეთებული), კარი გავაღე და მაგიდის წინ სკამზე მჯდარი უცხო ქალბატონი შეცბა. ვიკამ სიტუაცია გამოიყვანა

- მოდი ვასიკო, როგორა ხარ? პოჩემუ ოპოზდალ?

- რა ვქნა ვიკა, ხომ იცი, როდის ჩამოვალ, არ ვიცი, იზვინი პოჟალუისტა, შენ კი არა ბავშვებს ვერ ვხედავ. ვიკამ გააგრძელა

- მთელი დილაა უსაქმოდა ვარ, არავის არ უშვებენ, შენ როგორ გამოგიშვებს?

- მე, ხომ იცი, თუ მოვინდომე ყველაფერი შემოძლია, ისე, რა მიტინგია ზემოთ, ხომ არ იცი? რა უნდათ?

- რა ვიცი ზოგს მიტინგის ჩატარება უნდა, ზოგს არ უნდა, ვერ გაიგებ.

- და ვინ არიან?

- რა ვიცი, ვილაცა პიდარასტები არიან.

ამიტყდა სიცილი - ვიკა, არ ვიცოდი თუ ახლა ოპოზიციას ეგრე ეძახდნენ. გულიანად ვიცინეთ. დამიბრუნეს ჩემი ოქროს საათი, დავიმშვენე მაჯა, კმაყოფილი და ბედნიერი წამოვედი, გავიღიმე კვლავ. პატრულის თანამშრომლებმა გამიღიმეს, ერთმანეთს გადაულაპარაკეს - ჩვენთანია! მეც მადლობა მოვუხადე და კმაყოფილი მივედი სახლში. ბევრი საქმე იყო სახლში გასაკეთებელი. საღამოს მარიკამ გემრიელი ნამცხვარი გამოაცხო, ჩაიც მოგვიტანა, მე ბაშვებს გამოვართვი ტელევიზორის პულტი, ვუთხარი - გეყოფათ, მთელი დღეა მულტფილმებს უყურებთ მეთქი, გადავრთე საინფორმაციო არხზე და თვალეებს ვერ დავუჯერე, მერე კი მივხვდი რაც ხდებოდა, გეიპარადის დარბევას აშუქებდა ტელევიზია - მარიკამ გაოგნებულმა გადმომხედა

- მარიკა, საათზე ვიყავი გასული. სასწრაფოდ გამოვიტანე და ვანახე, მერე ერთად დიდხანს ვიცინეთ, თუმცა მე უკვე აღარ მეცინებოდა.

Ps. დღეს ჩემი საათი ისევ ლომბარდშია ოღონდ ფოთში.

Pss. სხვა დროს საათის გამოტანის თარიღს აუცილებლად დავაკვირდები.

მაღლიერ შვილთა თვალით დანახული საქართველო ...

ოცდაექვსი საუკუნის წინ ცეცხლითა და მახვილით გაფანტეს ებრაელები დედამიწის ზურგზე – ასორ ქვეყანაში. საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ სხვადასხვა ხალხთა განსხვავებულ ზნესა და კულტურულ გარემოცვაში, ელოდებოდნენ სამშობლოში, ალთქმულ მიწაზე დაბრუნებას. ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ტანჯვაც და ლოდინიც XX საუკუნის შუა ხანებში დასრულდა, როცა იერუსალიმ მსოფლიოში მიმოფანტულ შვილებს მოუხმო.

ასორი ქვეყნიდან, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ, ერთ-ერთი საქართველო იყო. ქართული მატიანე საქართველოში ებრაელთა რამდენიმე შემოსვლას აფიქსირებს. მათი პირველი შემოსვლა ძვ.წ. აღ-ის VI საუკუნით თარიღდება, როცა ისინი მიიღო მცხეთის მამაახლისმა და არაგვის ნაპირზე – ზანავს დაასახალა. მეორე შემოსვლა მოხდა ქრისტესწინა პერიოდში. ამჯერად ისინი დასახლებულან ლაზისტანს, სამცხეს, ჯავახეთს, ქართლს, იმერეთს, გურიას, ქიზიყს. ქართველნი იმთავითვე კეთილი მასპინძლობით შეხვედრიან ებრაელთ. მემატიანის ცნობით, საქართველოში ებრაელები ისე ყოფილან მოფენილნი და მათი ენაც ისე იხმარებოდა, რომ თვით ქართველთაც ისე სცოდნიათ ებრაული, როგორც ქართული. მესამე შემოსვლა ძვ. წ-აღ-ის I საუკუნეში მოხდა, ხოლო შემდეგი ქრისტეს ცხოვრების დროს.

ქართველმა ებრაელებმა საქართველოში ოცდაექვსსაუკუნოვანი ცხოვრების განმავლობაში გაითავისეს ყოველივე ქართული: ენა, ტრადიციები, ხელოვნება, სიმღერა, ცეკვა, სუფრის ემხი და წეს-ჩვეულება. და, ამასთან ერთად, შეინარჩუნეს საკუთარი ეროვნულობა, სარწმუნეობა და ადათი. ეს იმიტომ, რომ ქართულ მიწაზე სინაგოგა ედგათ, ლოცვას არავინ უშლიდა და რჯულს არავინ უგინებდა. პირიქით, საკუთარი რელიგიის ღრმად პატივისმცემელი ქართველი კაცი უდიდესი გაგებითა და მოწინებით ექცეოდა ებრაელთა რწმენას.

საქართველოში ებრაელი სრული უფლებებით სარგებლობდა. სასულიერო წოდება თავისუფალი იყო ყოველგვარი შევიწროებისაგან. ის არ განირჩეოდა ქართველთაგან და ხშირად მეტი უფლებებითაც სარგებლობდა. ებრაელი იყო ვაჭარიც და მეურნეც, ხშირად დიპლომატიც. ძველთაგანვე, თუმცა თავისუფალნი იყვნენ სამხედრო ბეგარისგან, მაგრამ ქვეყნის დაცვაზე არასოდეს უთქვამთ უარი. ხოლო ურიათა საქმე მოსეს რჯულისდებით განირჩეოდა და, რაც მთავარია, საქართველოს ისტორიას არ ახსოვს თუნდაც სამაგალითოდ, რომ ქართველ ებრაელს რაიმე დაეშავებინოს, ქურდობა ჩაედინოს, როგორც მევახშეს ქართველის ოჯახი გაენიავებინოს. ეს იმიტომ, რომ რამდენადაც ვაჭარი იყო, იმდენადვე იყო მეურნეც და მხვნელ-მთესველი.

უნდა ითქვას ისიც, რომ საუკუნეების განმავლობაში, ევროპის ქვეყნებში, არ შეწყვეტილა მსოფლიოში მიმოფანტულ ებრაელთა დევნა. ე.წ. ანტისემიტური მოძრაობა. თვით XIX საუკუნეში, როცა ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ე.წ. ებრაელთა საკითხს, ქართველი ინტელიგენცია ქომაგად მოველინა ქართველ ებრაელთ. მათი გულშემატკივარი ილია ჭავჭავაძე გულისტკივილით წერდა: „არცერთ ერს არ გამოსჩენია იმდენი სატანჯველი და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადახდომია. ამ ოდესლაც დიდებულს და სახელგანთქმულ ერს ბედმა ხელიდან გამოსხლიტა სამშობლო და თვითმართველობა და განაბნია იგი მთელს დედამიწის ზურგზე“.

ილია სასტიკად ილაშქრებდა ანტისემიტისმის წინააღმდეგ. იგი შეეცადა აეხსნა თუ რატომ იდევნებოდნენ ებრაელები: „სდევნიდნენ ებრაელებს – ვითარცა ერს, სდევნიდნენ ვითარცა თავისებურის და განსაკუთრებულის რჯულის მფლობელთ, სდევნიდნენ ვითარცა უსამართლო ეკონომიურის წესწყობილებების და სხვა ერთა ეკონომიკურ მჩაგვრელებს“. იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ მხოლოდ საქართველოში არ ჰქონია ადგილი ებრაელთა დევნას, არც ერთი მაგალითი არ არსებობს ისტორიაში მათი შემოსვლიდან დღემდე. მაშინ, როცა ანტისემიტური მოძრაობა მძვინვარებდა ყველა ქვეყანაში, სადაც კი ფეხი მოიკიდა ამ

„უსამშობლო“ ხალხმა. საქართველოში ებრაელები ისე გრძნობდნენ თავს როგორც სამშობლოში. ისინი „დედა ენით“ იზრდებოდნენ, მათი მშობლიური ენა ქართულია, მათი გვარებიც ქართულია, მათი სუფრაც ქართულია. ეს იმიტომ, რომ ებრაელისათვის საქართველო არასოდეს ყოიფილა მათი ეროვნული მეობის დამთრგუნველი ისევე, როგორც ქართველების თვალში ებრაელი კაცი – შემშუსვრელი და რალაცის წართმევა-წაგლეჯვის მდომი.

ებრაელები საქართველოში რომ მუდამ კარგად და თავისუფლად გრძნობდნენ თავს, ამის მაჩვენებელია ისიც, რომ ისრაელში ჩასული ქართველი ებრაელები გამოირჩეოდნენ თავიანთი რელიგიურობით.

... და, როცა ოცდაექვსი საუკუნის შემდეგ, XX საუკუნის 70-იან წლებში ეროვნულმა და სარწმუნეობრივმა ზარმა უხმო და დააბრუნა თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, მათ თან გაიყოლეს ჩვენდამი დიდი სიყვარული, რაც მრავალგზის გამოხატეს. დიდი ალიას დანებებამდე საქართველოში ასი ათასამდე ებრაელი ცხოვრობდა. უმრავლესობამ ისტორიულ სამშობლოს მიაშურა. სასიხარულო და იმავე დროს სევდიანიც იყო მათთვის გამგზავრება. რადგანაც სამუდამოდ ტოვებდნენ გამზრდელს და ბრუნდებოდნენ მშობელ დედასთან. ნავიდნენ და თან გაიყოლეს ქართული ზეცისა და მიწის უსაზღვრო სითბო და სიყვარული. სიყვარული, რომელიც მათ არასოდეს არ მისცემს საქართველოს დავიწყების უფლებას.

განშორებულ ქართველთ და ქართველ ებრაელთ მხსნელად გაზეთი „სამშობლო“ მოველინათ. სხვადასხვა გარემოებათა გამო გაზეთის ფურცლებით შეეძლოთ თავიანთი შთაბეჭდილებების, სიხარულისა და მწუხარების გაზიარება. გაზეთი უანგაროდ ემახურებოდა მათ და უმსუბუქებდა განშორების ტკივილს. არ მეგულებათ თუნდაც ერთი ქართველი ან ქართველი ებრაელი გულგრილად რომ შეძლებდეს გაზეთის სტრიქონების ჩაკითხვას. ყველა წერილში ჩანს დიდი სურვილი მადლობის თქმისა იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც ოცდაექვსი საუკუნე უმასპინძლა და თანაც თავი სტუმრად არ აგრძნობინა. და ამიტომაც, მათ თავიანთ ძირითად მიზნად ქართული კულტურის ფართო პროპაგანდა დაისახეს ისრაელსა და მის ფარგლებს გარეთ. სწორედ ეს მიზანი და

ქართული მიწის სიყვარული ედო საფუძვლად მათ მიერ ისრაელში სამი საზოგადოების: „გზის“, „ხიდის“ და „რუსთველის“ დაარსებას. ასევე, სამი ქართულენოვანი თეატრის დაფუძნებას, ქართული სკოლების აღმოცენებას, ქორეოგრაფიული ანსამბლების ჩამოყალიბებას და ა.შ.

ენანებოდათ ებრაელთ საქართველოს დათმობა, მაგრამ მაინც წავიდნენ... ეს სინანული და მონატრება წერილებით გვამცნეს: „ძვირფასო ქართველებო, ძვირფასო ძიძავ – საქართველოვ! არ დაგვემდუროთ, რომ ღვიძლ დედას მივუბრუნდით. ვერც ერთი ქართველი ებრაელი ვერ დაივინყებს საქართველოს. შეუძლებელია თქვენი გულისა და ადამიანობის დავინყება. „დასტოვო ძიძა, რა თქმ უნდა ძნელზე ძნელია, მაგრამ დედა ხომ უფრო მეტად საყვარელია“ – წერდა იამზე წვენიაშვილი.

ელიზერ კრიხელი თელ-ავივში ქართულ ენაზე გამოცემულ თავისი წიგნის შესავალში წერდა: „საქართველოში შემოსულ ებრაელებს ბედმა გაგვიღიმა. აგერ თითქმის 2600 წელია, რაც შემოვეხიზნეთ საქართველოს და როგორც ძმები, ისე ვიყავით ერთად, ერთად ვქმნიდით ისტორიას. ძალიან მინდოდა წამოვსულიყავი სამშობლოში, შევერთებულიყავი ჩემს ერს, მაგრამ მენანებოდა საქართველოს, თბილისის დატოვება, რადგან ძალიან მიყვარდა იგი. მენანებოდა სტუმართმოყვარე, დიდი კულტურისა და საუკეთესო ზნე-ჩვეულებების მქონე ქართველი ხალხის დატოვება. მენანებოდა ამ საყვარელი ლამაზი ქვეყნისა და საყვარელი ხალხის დათმობა. ის ხომ ჩემი სამშობლო იყო, სადაც დავიბადე, სადაც დავიმღერე პირველი სიყვარულის ლექსი“.

დრო გადიოდა და ისრაელში გადასახლებულ ქართველ ებრაელებს უფრო და უფრო მეტად ენატრებოდათ საქართველო. სიზმარშიც საქართველოს ხედავდნენ. მათ უკვე აღარ აკმაყოფილებდათ მარტო გაზეთ „სამშობლოს“ ფურცლებზე თავიანთი გრძნობების გამოხატვა. ამიტომაც, მოშე ფიჩხაძემ, თანამემამულეთა სახელით, საქართველოს ახალ მთავრობას მორიდებით სთხოვა: „იქნებ თუნდაც ერთი რეისი დაინიშნოს თბილისიდან თელავივში, რაც მოგვცემს საშუალებას ჩვენც მოხუცებმაც კვლავ

ვინახულოთ ჩვენი სამშობლო. გნამდეთ ჩვენი ძმობა და მეგობრობა ურყევი იქნება მომავალშიც...” თბილისი – თელ-ავივის რეისი დაინიშნა, რომელმაც მრავალ ებრაელს საქართველოს მონახულების საშუალება მისცა. ამასთანავე, ყოველი რეისი იყო გულსატკეპნიც, რადგან თანამგზავრთა შორის იყვნენ სამშობლოში მიმავალი ებრაელთა ახალი ოჯახები.

ისრაელში გადასახლებულ ებრაელთ არ გაუწყვეტიათ კავშირი საქართველოსთან. აქ მომხდარ ყველა მოვლენას შესაბამისად ეხმაურებოდნენ. რადგან, როგორც იოსებ თარონაშვილი შენიშნავს მათ არ შეეძლოთ იმ ხალხის დავიწყება, რომელიც თბილისის გულს ცხრა ნაწილად ჰყოფს და რომელსაც არასოდეს დაუჩაგრავს ვინმე, პირიქით:

„ძმობაც იცის და ნდობის გატანაც,
ლხინიც უებარი,
მტერიც რომ იყოს,
სტუმრისთვის მუდამ
ღია აქვს სახლის კარი.
ყველა ქართველი გაჭირვების დროს
ჩვენ გვედგა როგორც ფარი,
მიტომაც ჩვენთვის საყვარელი ხართ, –
ძმასავით საფიცარი.

ქართული მიწის სიყვარულმა საქართველოდან ისრაელში გადასახლებულ ებრაელებს ლექსების წერა დააწყებინა. ლექსებით ეალერსებოდნენ შორეთში დარჩენილ საქართველოს, ლექსში პოულობდნენ შვებას.

ისრაელში ჩასული არკადი წინუაშვილი მაშინვე შეუდგა ქართული თეატრის შექმნას. „ამის საჭიროება ნამდვილად იყო, – წერს იგი. აქედან წასულ ებრაელთა პირველი ნაკადი საზოგადოებასთან ურთიერთობას მოკლებული გახლდათ. ებრაული ენაც არ ვიცოდით ხეირიანად. თანაც თეატრს უნდა შეეკავშირებინა, დაეახლოებინა გაფანტული ქართველი ებრაელები“. თეატრის რეპერტუარში აქვთ როგორც ებრაული, ისე ქართული წარმოდგენები.

ისრაელში ჩასულმა ქართველმა ებრაელებმა, განშორების შემდეგ კიდევ უფრო ნათლად იგრძნეს თუ რა დიდი ვალი ჰქონიათ საქართველოსთან. ამიტომაც მთელი მონდომებით ცდილობენ მის გადახდას. შალომ დავიდი (დავითაშვილი) წერს: „ჩემი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენად ვთვლი ბიბლიის ქართულად თარგმნას. ძველი აღთმის ოცდაოთხივე წიგნი ვთარგმნე. ამ საქმეს ათი წელი შევალე... ეს იყო ჩემი სულიერი ამაღლება, დიდი ვალის მოხდა ქართველი ერისა და ქართული ენის მიმართ“. ბატონ შალომის მოღვაწეობა მარტო ბიბლიის თარგმანით როდი ამოიწურება. იგი იყო ქართველ ებრაელ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. მისი რედაქტორობით გამოიცა ქართული ჟურნალი „იუდეიზმის ხმა“ და გაზეთი „მოამბე“.

ისრაელში მიმავალ ქართველ ებრაელს თან ქართული წიგნი მიჰქონდა საქართველოსთან მუდმივი კავშირის სიმბოლოდ და ეს იყო მისთვის დიდი ბედნიერება. „წამოღებული მაქვს სამოცი ცალი ქართული წიგნი. განუწყვეტლივ ვკითხულობთ ხოლმე. თუ გამომიგზავნით ქართულ წიგნებს ეს ჩემთვის იქნება ბედნიერება“, – გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციას წერდა ისრაელში მცხოვრები ფილხაზ რიჟინაშვილი.

ისრაელში ჩასული ქართველი ებრაელი იმთავითვე ცდილობდა, რომ მის შთამომავალს სცოდნოდა ივრითიც და ქართულიც, რომ არ დავიწყოდა წინაპართა ენა. ამ სურვილს ხორცი შეასხა თინა შიმშილაშვილმა, ქალმა რომელმაც საქართველოს სიყვარულის გამოსათქმელად დაიწყო ლექსების წერა. „კეთილი სული“ შეარქვეს ზედმეტ სახელად და საგანგებო პრიზიც მიაკუთვნეს – კეთილ საქმეთა ქმნისათვის. და რაც მთავარია ის ნაჰარიაში ერთი სახლის პატარა, მყუდრო, ქართულად მორთულ ბინაში, ისრაელში დაბადებულ ქართველ ებრაელ ბავშვებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა. და, ამით თუ რაოდენ დიდ საქმეს აკეთებდა კარგად ჩანს მისი ერთ-ერთი მოსწავლის წერილში: „ბებო, თინა მასწავლებელს მიმაბარა დედაჩემმა, რომ შორეულ ქუთაისში მქონდეს შენთან მიმოწერა.“ ასეთივე თბილი და ამაღლებველია თვით შიმშილაშვილის წერილიც: „მართალია, ჩვენ დავტოვეთ საქართველო, მაგრამ განა ყველაფერი დასრულდა? საუკუნეთა მანძილზე

მოპოვებული სიყვარული დიდი და უძლეველი ყოფილა. ჩვენ გვიყვარს საქართველო და დიდებული ქართველი ხალხი, გვიყვარს და გვეყვარება მუდამ. თუკი რამ კარგი და ლამაზი გაგვაჩნია, ჩვენ აქ, ისრაელში თქვენგან ჩამოვიტანეთ. ბარაქალა თქვენ და ბარაქალა იმ გრძნობებსაც. ასე ფაქიზად რომ შემოვინახეთ საოცრად კეთილი ქართველი ხალხისადმი. გკოცნით და გეხვევით თბილგულა და ერთგულ გემრიელ ხალხს“.

წლების განმავლობაში დიდ საქმეს აკეთებდა შოთა წვენიაშვილის მიერ დაარსებული ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, – იგი ისრაელში დაბადებულ ბავშვებს აზიარებდა ქართულ კულტურას. თანამემამულეებს არ ჩამორჩა ილია ელიშაყაშვილი. მან 1975 წელს ქალაქ აშკელონში ჩამოაყალიბა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელმაც მოხიბლა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოსახლეობა და სამართლიანად მის ხელმძღვანელს „ცეკვის აშკელონელი ჯადოქრი“ უწოდეს.

როცა ისრაელში ქართველ ებრაელთა მოღვაწეობას ეცნობი, არ შეიძლება რომ არ დაეთანხმო პოეტ ქალს – ნორა სეფიაშვილს:

„იქ ამ ჰაერით სუნთქავენ კვლავ,
ვერ დაიჯერებთ რის ვარ მნახველი:

აქ იყვნენ როგორც ებრაელები,

იქ კი ცხოვრობენ როგორც ქართველნი.“

არც საქართველოსთვის ყოფილა თავის შვილობილთა მკერდიდან მოშორება. ქართველთაც ძალზედ გაუჭირდათ განშორება საუკუნეობით ერთად ნაცხოვრებ ებრაელებთან. ხალხთან, რომელმაც ჩვენს მიწაზე ოცდაექვსი საუკუნე იცხოვრა და მაინც სტუმრად გრძნობდა თავს. მასპინძლობა არ მოუწოდებია სხვებსავით. ებრაელებთან განშორების ტკივილმა ასევე მრავალ ქართველს დაადინა თვალთაგან ცრემლი და დაანერინა გრძნობებით ლექსები. მათ შორის უნდა აღინიშნოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის – ნათელა გეგეშიძის ლექსი, რომელიც უძღვნა ისრაელში გარდაცვლილი მეგობრის ბელა ზონენაშვილის ხსოვნას:

„ქართველი ებრაელი ისრაელს წასულა და
დიდი ხნის დაკარგული სამშობლო უპოვია,

სიზმარში უნახავს თავისი ქუთაისი

ბავშვივით უტირია...

სევდით დაშთენილა ისრაელს ებრაელი

და მაინც ქუთათურად, ქართულად უტირიათ,

ქართული ნიჭით და ქართული ვარდებით

ბოლო გზა უფენიათ, საფლავი შეუმკიათ.“

ქართველ ებრაელთა სიყვარული და მადლიერება, რომელსაც ყოველდღიურობაში აღვიქვამთ, აიხსნება ქართველთა და ებრელთა საუკუნოვანი მშვიდობიანი თანაარსებობით. მათი ურთიერთდამოკიდებულება დღესდღეობით თანამოძმეობის იდიალური მაგალითია საერთაშორისო მაშტაბით. ამ ორ ხალხს მრავალი რამ აახლოებს ერთმანეთთან. ორივე ერი მრავალგანსაცდელ გამოვლილია ისტორიის გრძელ გზაზე. ორივე ერი მსოფლიო მნიშვნელობის კულტურის მქონეა. ყოველივე ამან სამუდამოდ დაამოყვრა ეს ორი ხალხი. და ბოლოს, ახალციხელი და საერთოდ ქართველი ებრაელებისადმი თავისი კეთილგანწყობა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმმა არაერთგზის გამოხატა სამეცნიერო კონფერენციებით. კერძოდ, 1995 წელს აღინიშნა ცნობილი მწერლისა და დრამატურგის გერცელ ბააზოვის ოთხმოცდაათი წლისთავი, 1996 წელს – იერუსალიმის 3000 წლისთავი, და 1998 წელს – ქართველთა და ებრელთა ოცდაექვსსაუკუნოვანი თანაცხოვრება.

თამარ მამუკაშვილი

თამუნა მამუკაშვილი დაიბადა ქალაქ ახალციხეში 1998 წელს, ადრეული ასაკიდანვე აქტიურად იყო ჩართული მშობლიურ ქალაქში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციებში.



45 წელი ტელევიზიის სამსახურში

წარმატებული ადამიანები ყველგან და ყოველთვის განსხვავებულები არიან. საქმე სულაც არ ეხება მანქანას, სამოსს ან საბანკო ანგარიშის ოდენობას. ისინი თავისთავად ჩანან. სწორედ ასეთ ადამიანზე – გურამ ხითარიშვილზე, გვინდა გიამბოთ. გურამ ხითარიშვილი დაიბადა 1947 წლის 19 თებერვალს, ქალაქ ვალეში. ის 45 წელია, რაც სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ტელევიზიის სამსახურში დგას. ამ სფეროთი ბატონი გურამის დაინტერესება ჯერ კიდევ მეშვიდე კლასში ყოფნის დროს დაიწყო.

ქალაქ ახალციხეში მდებარე აბის (აკუთას) მთაზე კლასთან ერთად სალაშქროდ წასულმა სატელევიზიო ანძა მოინახულა. გაუჩნდა ინტერესი თავისი პროფესიული ცხოვრება ტელევიზიისა და სატელევიზიო ანძის საქმის შესწავლისთვის დაეთმო. სახლში დაბრუნებულმა, სურვილი ოჯახის წევრებს გაუმხილა. იმავე წელს, გურამი სკოლიდან გამოვიდა და სწავლა განაგრძო ქალაქ ვალის N29-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში, ელექტრომანქანების მგრაგვენელის სპეციალობით. აღნიშნული სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, წარმატებული სტუდენტის სტატუსით, იგი გააგზავნეს თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში,

საწარმო ოსტატის კვალიფიკაციის მისაღებად, სპეციალობაზე „რადიოაპარატურის მშენებლობა“. ამავე ტექნიკუმის წარმატებით დამთავრების შემდეგ, განაწილებით დაიწყო მუშაობა კავშირ-გაბმულობის სამინისტროში რადიოტექნიკოსის თანამდებობაზე, კომკავშირის ხეივანში, რადიოსადგურ N7-ში. ამავე წელს, ჩააბარა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რადიოტექნიკის ფაკულტეტზე „ავტომატიკა და გამოთვლითი ტექნიკა“. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1973 წლის 4 სექტემბერს, ბატონი გურამი განაწილებით დაინიშნა საქართველოს ტელერადიოცენტრის ახალციხის სატელევიზიო ცენტრის ხელმძღვანელად. მას შემდეგ, 45 წელია, თავისი პროფესიის სიყვარულით, დღემდე ამ პოზიციაზე მუშაობს. ასევე, 1978-80 წლებში ბატონი გურამი მინვერულ პედაგოგად მუშაობდა პროფტექნიკურ სასწავლებელში, რადიოტექნიკის საგნის მასწავლებლად. გურამ ხითარიშვილმა პროფესიულ სამსახურთან ერთად, ახალციხეში, იმდროინდელ პიონერთა სახლში, შექმნა რადიომოყვარულთა წრე, სადაც თავის ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდა რაიონის მოსწავლეებს.

„ყველამ იცის, რომ საქართველოში ტელევიზია 1957 წელს გაიხსნა, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ პირველად რეგიონულ სივრცეში, სატელევიზიო ანძა დაიდგა ქალაქ ახალციხეში, კერძოდ, აბის (აკუთას) მთაზე, 1959 წელს. დამონტაჟდა 100 ვატიანი „TRCA- 56“ ტიპის ანძა, რომელიც სატელევიზიო სიგნალს იღებდა თბილისის ფუნქიკულიორიდან მე-4 სატელევიზიო ეთერის საშუალებით“, - გვიამბობს ბატონი გურამი.

1973 წლიდან დღემდე, ბატონი გურამი ზრუნავს ამ სფეროს განვითარებისთვის. სურს, მისი ცოდნა და გამოცდილება რეგიონის სასიკეთოდ გამოიყენოს. ახლა, ჩვენ მოგიტხრობთ, თუ როგორ განვითარდა ტელერადიოსიგნალების გადაცემა და სატელევიზიო სფერო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და აღვნიშნავთ, რომ ყველა წინგადადგმულ ნაბიჯთან, ბატონი გურამის სახელია დაკავშირებული.

აბის (აკუთას) მთაზე, 1959 წელს გახსნილ ანძაზე მომსახურება რთული იყო. ზამთარში, მორიგე ოპერატორებს ახალციხიდან

ანძამდე 20 კილომეტრის გავლა ტრაქტორით უხდებოდათ. ისინი ანძის სადგურზე მთელი თვის განმავლობაში რჩებოდნენ. მას შემდეგ, რაც 1963 წელ ქუთაისში დამონტაჟდა სატელევიზიო ანძა, ქუთაისიდან არეკლილი სიგნალი აბასთუმნის ობსერვატორიაში მიიღეს. შედგა პროექტი, რომელიც გულისხმობდა აბასთუმნის ობსერვატორიიდან სატელევიზიო სიგნალის მიწოდებას ქალაქ ახალციხეში, ახალციხის ციხის ტერიტორიაზე და ამის გამო, სატელევიზიო ანძა, აბის მთიდან ახალციხის ციხის ტერიტორიაზე იქნა გადატანილი. სატელევიზიო სიგნალის მიწოდება მოხდა ბიმეტალური ხაზით, საშუალოდ სიხშირით, 38 მეგაჰერციტით. შემდეგ, ხდებოდა რეტრასელირება ხმისა და გამოსახულებისა და სიგნალი ანტენაში ჯამდებოდა. აღნიშნული სიგნალის მეშვეობით, ხალხი ტელეგადაცემებს უყურებდა. ბატონი გურამი გვიყვება, რომ ეს სიგნალი არამდგრადი იყო. ანძამ ახალციხის ციხის ტერიტორიაზე 7 წელი იფუნქციონირა.

როგორც კი შემოვიდა რადიოსიგნალების გადაცემა რადიოსარელო ხაზებით თბილისი-დუშეთი-გორი-ბექამი-ბორჯომი-ახალციხე, ანძა გადატანილი იქნა საძელის გორაზე, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1337 მეტრზე და დამონტაჟდა რადიოსარელო ხაზი ღ-600. დღეს, ამ სადგურზე იგეგმება სასკოლო ექსკურსიები და მოსწავლეები ადგილზე ეცნობიან სატელევიზიო



აღჭურვილობას. მათ რადიოსიგნალებისა და რეგიონში სატელევიზიო ანძის გახსნის ისტორიას ბატონი გურამი უყვება. ამასთან, ბატონი გურამი ხელს უწყობს მოსწავლეებს აღმოაჩინონ თავიანთი თავი ამ სფეროში და გახდნენ წარმატებულები.

აღსანიშნავია, რომ მაშინ, რადიოსარელეო ხაზით სიგნალი ახალციხიდან პასიური სადგურით გაგრძელდა აბასთუმანსა და ახალქალაქში. სანამ სადგური გადავიდოდა საძელის გორაზე, ადიგენის რაიონი ტელერადიო სიგნალს იღებდა აბასთუმანი - კახარეთის და სოფელ წრის ტელეტრანსლიატორით.

ანძის საძელის გორაზე გადატანის შემდგომ, სატელევიზიო სიგნალის დაფარვის ზონის ნაკლებობის გამო, საჭირო გახდა სოფლებში დამდგარიყო მიკროტელერეტრასლიატორები, რომლის გეგმის შემუშავებაც გურამ ხითარიშვილს დაავალეს. ამ გეგმის მეშვეობით, სამცხე-ჯავახეთის 90% ტელეფიცირებული გახდა და მოსახლეობა უყურებდა საქართველოს პირველ და მეორე არხს. რადიოსიგნალი გადაეცა სოფლებს ზიკილიას, დვირს, კეხოვანს, ვარხანს, მუსხს, ტოლოშს, ასპინძას, ორგორას, ოთას, ნაქალაქევს, მირაშხანს და სხვა სოფლებს.

ბატონი გურამის სახელს უკავშირდება რეგიონში პირველი ადგილობრივი ტელეკომპანიის შექმნა. ადგილობრივი ტელევიზია „ლომსია“ თანადადამფუძნებლებთან ერთად გაიხსნა. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას ჰქონდა საშუალება სხვა არხებთან ერთად ადგილობრივი ტელეგადაცემებისთვისაც ეყურებინათ.

ბატონმა გურამმა სამცხე-ჯავახეთში გახსნა პირველი ინტერნეტკაფე, სადაც მოსახლეობა სარგებლობდა ინტერნეტით და წვდომა ჰქონდათ მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში. ასევე, დაასაქმა ახალგაზრდები, რომლებსაც ჰქონდათ ინტერესი ამ სფეროს მიმართ და დღეს ისინი სამცხე-ჯავახეთის წამყვანი სპეციალისტები არიან.

ბატონი გურამის თაოსნობით, 1995 წელს, ვალის საბაჟოს გახსნასთან დაკავშირებით, დამყარდა პირველი რადიოსატელეფონო კავშირი ახალციხეს, თბილისსა და ვალის საბაჟოს შორის. ასე გრძელდებოდა კავშირის დამყარება, მაგთიკომის ქსელის

შემოსვლამდე. სატელევიზიო ანძის კარგი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ანძის ტერიტორიაზე განთავსდა მობილური კავშირგაბმულობის - მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის ანძებიც, რომლებსაც ბატონი გურამი ხელმძღვანელობს.

ბატონი გურამის სახელი ფიგურირებს ახალციხიდან პირველი პირდაპირი ტრანსლაციის განხორციელებასთან. როდესაც 1998 წელს, ახალციხეში, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა თამარ მეფის ძეგლი, ახალციხიდან პირდაპირი ეთერით გახსნის ცერემონია მთელს საქართველოს მიენოდა. მაშინ არ იყო თანამგზავრული აპარატურა, არც ინტერნეტი და ბატონი გურამის მიერ ტექნიკური უზრუნველყოფით, მოძრავი სატელევიზიო სადგურიდან, სიგნალი მიენოდა ახალციხის ანძას, საიდანაც სიგნალი გადაეცემოდა თბილისის ანძას. 2015 წლის შემდეგ, ანძაზე დამონტაჟდა ციფრული ტელევიზიის აპარატურა, რომელიც დღემდე მუშაობს.

ბატონმა გურამმა კარიერულ ცხოვრებასთან ერთად, შექმნა ოჯახი. ჰყავს 5 შვილი, 5 სიძე, 12 შვილიშვილი და 3 შვილთაშვილი. პირველ ვაჟ შვილიშვილს, რომან მამუკაშვილს პაპის წარმატებულობამ ინტერესი გაუჩინა მოცემული სფეროს მიმართ. გურამ ხითარიშვილმა გაუზიარა თავისი ცოდნა რომას და ახალგაზრდამ მომავალი პროფესიაც სწორედ ამით განსაზღვრა. დღეს, იგი წარმატებული ინჟინერია. გურამ ხითარიშვილის საინტერესო ცხოვრებამ ყველა ვაჟი შვილიშვილი დააფიქრა.

დავით ლომსაძეს პაპისაგან მიღებულმა ცოდნამ უბიძგა ინჟინერიის მიმართულებით გაეგრძელებინა განათლების მიღება. დღეს იგი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტია. გიორგი ნადირაძე ადრეული ასაკიდანვე გაეცნო პაპის პროფესიას, მუდმივად ცდილობს მასთან გაატაროს დრო და ისწავლოს უფრო მეტი. გიორგი, 16 წლიდან დაეუფლა სხვადასხვა პროგრამირების ენებს, გრაფიკული დიზაინის საფუძვლებს, მიკროკონტროლერის და დამხმარე აღჭურვილობების გამოყენებას. გიორგიმ, პაპასთან ერთად, შექმნა სხვადასხვა პროექტი.

გურამის შესანიშნავი მეუღლე მზია ჩიტაშვილი შესანიშნავი დედაა, რომელმაც 5 შვილი სამაგალითოდ აღზარდა. მზრუნველი დედა მუდამ ცდილობდა შვილებისთვის ესწავლებინა ადამიანური

ღირებულებები, რომ თითოეული მათგანი გამხდარიყო ღირსეული მანდილოსანი და დედა. მზია და გურამი არ იშურებენ ძალისხმევას და მუდამ გვერდში უდგანან ხუთივე შვილის მრავალრიცხოვან ოჯახს. მათ თავიანთ შვილებს ჩაუნერგეს მესხური ტრადიციებისა და ადათ-წესების სიყვარული.

ხუთივე ქალიშვილმა განათლება ადგილზე, სამცხე-ჯავახეთში არსებულ ერთადერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში — სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მაშინდელ მესხეთის ფილიალში) მიიღო. ყველა მათგანი თავიანთ სფეროში წარმატებული პროფესიონალია.

გურამ ხითარიშვილი აღნიშნავს: „**45 წელი გავატარე ჩემი პროფესიისა და სამსახურის სიყვარულში, დღეს კი ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა შვილიშვილებმაც გაიზიარეს ჩემი ცოდნა და იპოვეს საკუთარი თავი ცხოვრებაში. ნამდვილად სჭირდება ჩვენს ქვეყანას წარმატებული ადამიანები და ინჟინრები. მე კი მინდა ჩემი პატარა წვლილი შევიტანო მათ მომავალში“.**

ჯანმრთელობას და წარმატებებს ვუსურვებთ ბატონ გურამს.

**მცხეთა, 41°50' 38" ჩრდილოეთით — 44°42' 59"
აღმოსავლეთით**

ყველაფერი ძველი ნელთალრიცხვის მეექვსე საუკუნეში დაიწყო, როდესაც მილეტოს (Μίλητος) მკვიდრმა (დიოსკურია (Διοσκουριάς) /სოხუმის მეტროპოლი) ბერძენმა ბრძენმა ანაქსიმანდროსმა (Αναξίμανδρος) დედამიწის პირველი რუკა შექმნა. აღნიშნული რუკა ხელახლა გამოსცა მისმა მოსწავლემ ჰეკატეოსმა (Εκαταίος), ხოლო მეხუთე საუკუნეში ძვ. წ. აღ. შემდეგ საბერძნეთის ქალაქ ჰალიკარნასოსის (Αλικαρνασσός) მკვიდრმა ჰეროდოტემ (Ηρόδοτος) (დღევანდელი ბოდრუმი, თურქეთის რესპუბლიკა).

პითეასმა (Πυθαίας), რომელიც ბერძნულ ქალაქ მასალიადან (Μασσαλία) იყო (დღევანდელი მარსელი, საფრანგეთი), ძველი ნელთალრიცხვის მეოთხე საუკუნეში ანაქსიმანდროსის სისტემა დახვეწა, რათა სხვადასხვა ადგილის გეოგრაფიული განედის გამომანგარიშება ყოფილიყო შესაძლებელი. იმავე საუკუნეში ბერძენი გეოგრაფები და კარტოგრაფები, ალექსანდრე დიდის (Μέγας Αλέξανδρος) ბრძანებით მოგზაურობდნენ საბერძნეთიდან ინდოეთამდე და რუკაზე აღნუსხავდნენ აზიის მნიშვნელოვან გეოგრაფიულ ობიექტებს.

თანამედროვე იტალიაში მდებარე ბერძნული ქალაქის მესინის (Μεσσήνη) (დღევანდელი მესინა) მცხოვრებმა დიკეარქოსმა (Δικαιάρχος) ძველი ნელთალრიცხვის მეოთხე—მესამე საუკუნეებში რუკის შედგენის ინოვაციური მეთოდი გამოიგონა: შექმნა რუკები ორთოგონალური კოორდინაციის, ანუ ორთოგონალური პროექციის სისტემაზე დაყრდნობით. საუბარია სივრცის ვიზუალიზაციისთვის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ღერძების გამოყენების პრაქტიკისთვის საფუძვლის ჩაყრაზე. ეს იყო

რევოლუციური გამოგონება, რომელმაც ადამიანის ცხოვრება შეცვალა. მართლაც, აღნიშნულმა სისტემამ ანალიტიკური გეოგრაფიის წარმოშობა და გეოგრაფიული მეცნიერების სწრაფი განვითარება განაპირობა.

ძველი წელთაღრიცხვის მესამე—მეორე საუკუნეებში პერგელმა (Πέργη) აპოლონიოსმა (Απολλώνιος) დახვეწა კოორდინატების სისტემა ორდინატებისა და აბსცისას გამოყენებით.

მცირეაზიულ ბერძნული ქალაქის ნიკეას (Νίκαια) (რომელიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს) მკვიდრმა იპარქოსმა (Ιππαρχος), ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში წრე 360 გრადუსად დაყო და ამ გზით ზედაპირის გაზომვას ახალი „ინსტრუმენტი“ დაუმატა.

ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში, ერატოსთენე (Ερατοσθένης) კირინელმა ბერძნული ქალაქი კირენედან (Κυρήνη) რომელიც ლიბიაში მდებარეობდა, პითეასისა და დიკეარხოსის სისტემა გეოგრაფიული გრძედისა და განედის ცნებების აღმოჩენით გაამდიდრა. ასეთი სახის დაანგარიშებას ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში ანტიკითირას (Αντικίθιρα) მექანიზმიც ახდენდა. აღნიშნული სისტემა დახვეწა სტრაბონმა (Στράβων) ამასეადან (Αμάσεια) (ძვ. წ. აღ—ის პირველი—ახალი წ. აღ—ის პირველი ს.ს.).

ბერძენი კარტოგრაფი მარინოსი (Μαρίνος), პირველ საუკუნეში ლიბანის მდებარე ქალაქ ტიროსში (Τύρος) (დღევანდელი ქალაქი სური ლიბანის ტერიტორიაზე) დაიბადა. მოგვიანებით ის კუნძულ როდოსზე (Ρόδος) გადავიდა. მან რუკების შედგენისას ცილინდრული პროექტირების ტექნიკის შემოტანით კარტოგრაფიაში რევოლუციური ცვლილება განახორციელა. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მან ბრტყელ ზადაპირზე დედამიწის სფეროსებური ფორმის გადატანა მოახერხა. მარინოსმა დედამიწა მერიდიანებად დაყო. პირველი მერიდიანი კანარის კუნძულებზე (Κανάριας Νήσος) (დღევანდელი ესპანეთი) გადიოდა.

ზემოთაღნიშნული ბერძნული კარტოგრაფიული სისტემები, მეორე საუკუნეში მოღვაწე კლავდიოს პტოლემეოსმა (Κλαύδιος

Πτολεμαίος) (დღევანდელ ეგვიპტეში მდებარე ბერძნულ ქალაქ პტოლემაიდადან (Πτολεμαΐδα)) დახვეწა. იპარქოსის აღმოჩენაზე დაყრდნობით (წრე 360 გრადუსით) ეკვატორი 360 გრადუსად დაყო. ჩვ.წ.აღ.მდე მესამე საუკუნეში არქიმედე (Αρχιμήδης) სირაკუზიდან (Συρακούσες) (დღევანდელ იტალიაში) და აპოლონიოს პერგამოელმა დიკეარქოსის სისტემა თეორიული მესამე განზომილებით გაამდიდრეს. ჩვენს ეპოქაში ამან სამგანზომილებიანი (3D) — სივრცის გამოსახვამდე მიგვიყვანა.

მეოთხე საუკუნეში ეგვიპტის ბერძნულ ალექსანდრიაში (Αλεξάνδρεια) მოღვაწე პაპოსი (Πάππος) უფრო წინ წავიდა: წინამორბედების სამგანზომილებიანი სივრცე დაამუშავა და ახალი განზომილებების შემოღების იდეით გამოვიდა.

ამრიგად, მერიდიანებისა და განედების ქსელის გამოყენებით ბერძნებმა რუკაზე გადაიტანეს სამყაროს დიდი ნაწილი და ადამიანებს ყველგან მოგზაურობის შესაძლებლობა მისცეს. მათი მეშვეობით დღეს ვიცით, რომ, მაგალითად მცხეთას კოორდინატებია: 41°50'38" ჩრდილოეთით — 44°42'59" აღმოსავლეთით, ხოლო ვოლოსის (Βόλις) 39°22'22" ჩრდილოეთით — 22°56'33" აღმოსავლეთით. მეთვრამეტე საუკუნეში ინგლისის საადმირალო ირწმუნებოდა, რომ აღმოაჩინა „ახალი“, „რევოლუციური“ კარტოგრაფიის სისტემა, რომელიც მერიდიანებსა და პარალელებს ეყრდნობა და პირველი მერიდიანი ქალაქ გრინვიჩზე (Greenwich) გაატარეს, ანუ კანარის კუნძულებიდან არც ისე შორს!!!

ბიზანტიურ და შემდგომ ეპოქებში ბერძნებმა კარტოგრაფია არაბებს, ჩინელებსა და დასავლეთევროპელებს ასწავლეს. ეს უკანასკნელნი დაკავდნენ გადაწერითა და მიბაძვით. თავიდან წარმატების გარეშე, როგორც მაგალითად პოიტინგერის (Peutinger) ცხრილისა და „კარტა პიზანას“ (Carta Pisana) შემთხვევაში. მოგვიანებით ბერძნული იდეები საკუთარ იდეებად გამოაცხადეს. ასეთები იყვნენ ფრანგი კარდინალი პიერ დელი (καρδινάλιος Pierre D' Ailly), გერმანელი მარტინ ვალდზეემილერი (Martin Waldseemüller), ფლამანდიელი მერკატორი (Mercator) იგივე


გერჰარდ კრემერი (Gerhard Kremer), ფრანგი კარტესიუსი იგივე რენე დეკარტი (René Descartes), თურქი ადმირალი პირი რეისი (Piri Reis) და სხვები. მათ ბერძნული რუკები გადაწერეს და ნელნელა განავითარეს კარტოგრაფია. კერძოდ, კარტესიუსმა მეჩვიდმეტე საუკუნეში შეისწავლა ბერძნული აღმოჩენები და საკუთარ შრომად გაასალა. დიკეარქოსისა და სხვა ბერძნების აღმოჩენები მან საკუთარ „კარტესიანულ სისტემად“ გაასალა და ასეთი სახით საერთაშორისო აღიარებას ითხოვდა. მეთექვსმეტე საუკუნეში მერკატორმა მარინოსის ცილინდრული პროექციის სისტემა მიისაკუთრა! იტალიელმა პაოლო ტოსკანელიმ (Paolo Toscanelli) მეთხუთმეტე საუკუნეში გადაიწერა მარინოსის მიღწევები, მაგრამ ეყო კეთილსინდისიერება წყარო დაესახელებინა. ფლამანდიელმა კარტოგრაფმა აბრაჰამ ორტელიუსმა (Abraham Ortelius), „ორტელსი“ (Ortels) ანუ „ვორტელსი“ (Wortels) ფლამანდიურად, მეთექვსმეტე საუკუნეში თანამედროვეობის პირველი ატლასი გამოსცა.

უძველეს დროში კარტოგრაფიის მცდელობები ქონდათ ბაბილონელებსა და ეგვიპტელებს, მაგრამ მხოლოდ საკუთარი მფლობელობის ფარგლებში. ბერძნებთან კონტაქტების წყალობით რომაელებიც დაინტერესდნენ კარტოგრაფიით, მაგრამ რაიმე ხელშესახებ წარმატებას ვერ მიაღწიეს.


ფოტოები:

- 1) მერკატორის რუკა—მარინოსის რუკის ზუსტი ასლი
- 2) კლავდიოს პტოლემეოსის დედამიწის რუკა
- 3) ერასტოთენეს რუკა
- 4) ორტელიუსი გვიჩვენებს ალექსანდრეს გადაადგილებას საბერძნეთის ქალაქ პელადან (Πέλλα) ინდოეთამდე
- 5) ჰეროდოტეს რუკა
- 6) ანაქსიმანდროსის რუკა


1. მერკატორის რუკა-მარინოსის რუკის ზუსტი ასლი



2. კლავდიოს პტოლემეოსის დედამინის რუკა




3. ერასტოვენეს რუკა



4. ორტელიუსი გვიჩვენებს ალექსანდრეს გადაადგილებას საბერძნეთის ქალაქ პელადან ინდოეთამდე



5. ჰეროდოტეს რუკა



6. ანაქსიმანდროსის რუკა



ანონიმი მთარგმნელი



იგავები „ბუსთანიდან“

თაფლს ყიდდა ერთხელ ბაზარში კაცი თაფლივით ტკბილი და მის სიტკბოს იზიარებდა, ვინც ახლოს ჩამოივლიდა.

ხალხს მომლიმარი ხვდებოდა, განა კუშტი და გულმკვდარი, და ეხვეოდა მუშტარაც, როგორც ბუზი და ფუტკარი.

მას შხამიც რომ გაეყიდა (ვთქვათ, წონით ანდა ცალობით), არ მოიკლებდა მყიდველებს ის ტკბილ ენის წყალობით.

იმ ვაჭარს ვილაც უმზერდა თურმე ბოლმით და შურით და წარბშეკრული და მრისხანე სახით გარშემო უვლიდა

და მოისურვა ვაჭრობა მანაც... გავიდა სახლიდან, თაფლს ყიდდა, მაგრამ ძმარს იგი ვერ იშორებდა სახიდან.

ბევრი იყვირა - „თაფლიო“, იარა, სადაც გზებია,
მაგრამ მას, კაცი კი არა, ბუზიც არ მიჰკარებია.

წვეთი თაფლიც ვერ გაყიდა - ხან ისე სცადა, ხან ასე
და სალამოხანს ჩამოჯდა ფიქრით და დარდით აღსავსე.

თაფლის თაბახიც მიაგდო, იქით ის ეგდო, აქეთ - ეს
და სწუხდა, თითქოს ზეიმზე იგი ციხეში ჩაკეტეს.

მას ცოლმა უთხრა სიავით (მტრისას, ქალი რომ ავდება!):
„ვინც მჟავე სახით თაფლს ყიდის, მის ხელში თაფლიც მჟავდება“.

ჯოჯოხეთს არქმევს ცხოვრებას, ვინც ვერ თმობს უჟმურ ხასიათს
და თუ ხალისით იცხოვრებს, ყოფნას სამოთხის ფასი აქვს.

ამოდ მჩქეფარე წყაროდან სვი წყალი, თუნდ სააუგო,
ვიდრე ავყიას ხელიდან ცივ შარბათს გემო გაუგო.

ანჩხლი ხაბაზის გამომცხვარ პურს ნურსად დაეხარბები,
მადლი არა აქვს იქ ჭამას, სადაც შეჭმუხნეს წარბები.

სულ პირქუშობის ჩვენებით შენს თავს ავი არ დამართო,
უგვან ხასიათს სდევს ბედი უგზო და უმისამართო.

ვთქვათ, საადივით სიმდიდრე არვისგან არ დაგრჩენია,
ტკბილი სიტყვა ხომ თან გახლავს, ის ხომ ყოველთვის შენია?

* * *

მსმენია: ვილაც ლატაკმა დაკარგა ერთი დინარი,
ძებნა და ვერსად იპოვა... და ასე, გაუცინარი

და დარდიანი სახლისკენ წავიდა აცა-ბაცა და
სხვამ სულ შემთხვევით იპოვა ისე, რომ ძებნა არც სცადა.

უბედოდ ცხოვრებაა თუ ბედის ქონა და შეწევნა,
დედის მუცელში ყოფნისას ჩვენ უკვე შუბლზე გვეწერა.

ბედისწერასთან ჭიდილი ვერსად ვერავინ გამართოს,
გინდ ძალისხმევა მრავალი სხვას ან თავის თავს დამართოს.

ბედს ბევრი ბრძენი ებრძოდა და სულ უიღბლოდ იარეს,
ხოლო ბრწყვებმა ბედისგან სიკეთე გაიზიარეს.

* * *

მეფის ძე ერთი ცხენიდან ძირს ჩამოვარდა უცებ და
კისერი მთლად დაეგრიხა, ტკივილებს ველარ უძლებდა.

მხრებში ჩარგული კისერი მართლაც რომ სპილოს უგავდა
და თავის მოსაბრუნებლად მთელი სხეულით ბრუნავდა.

ამაოდ დაშვრა მკურნალი, მეფეს ვინც ჰყავდა ყველა და
ბოლოს საშველად მოიხმეს ბერძენთა მხარე - ელადა.

ერთმა ბერძენმა მეფის ძე, არცთუ ტანჯვით და წვალებით,
განკურნა და გაუსწორა კისერი მისი მალეებით.

გავიდა დრო და მკურნალმა თვით სთხოვა შველა შაჰის ძეს,
მაგრამ მას ზედ არ შეხედეს, არათუ შველა აღირსეს.

შერცხვა ბრძენ მკურნალს, ასეთი უმადურობა ნახა რა,
ორიოდ სიტყვა ჩუმად თქვა და თავი დაბლა დახარა:

„ეჰ, ჩემგან რომ არ მიელო შვება მას, კისერდაგრეხილს,
ჩემს დანახვაზე გულგრილად ვერ მიიგრეხდა სახეს ის“.

ჰოდა, შაჰს ძღვნად შეუგზავნა, ვით აბი, რალაც მარცვალი და შეუთვალა - „დანვითო, მიიღეთ მისგან ნაცარი“...

დანვეს და კვამლმა იქ ყველას „აფცი-აფცი“ რომ დამართა, კვლავ მოეგრიხა კისერი შაჰის ძეს... ველარ გამართა.

კვლავ უხმეს ბერძენს - „გვინდაო, მკურნალო, შენი შველა“ - და ველარსად ნახეს... ამაოდ აანრიალეს ელადა.

ისმინე ეს შეგონება და გულზე ამოიკვეთე:
მადლიერების გრძნობაა ამქვეყნად დიდი სიკეთე.

* * *

ნიშაბურელმა მოხუცმა ეს უთხრა თავის ვაჟს, როცა ნახა, დაღლილმა შვილმა რომ ძილის წინ არც-კი ილოცა:

„გაუძელ, შვილო, ცხოვრებას, ნუ გლლის ეს განამანია – უწვალებლად ხომ მიზნამდე ვერავინ ვერ მიაღწია.“

აუზში ნარჩენ წყლისთვის თუ გადინების გზა იკვრება, მის ყოფნას სულ რომ არ იყოს, ხომ უკეთესი იქნება. (155)

თავს ნუ დაზოგავ შრომაში, თუნდ გქონდეს მისგან ზიანი, უშრომლად სარგებლის მძებნელს არ ჰქვია ადამიანი“.

* * *

ერთ გლეხკაცს ვირი მოუკვდა, სნეული იყო რაკი და პატრონმა თავი მოსჭრა და ბოსტნის კარებთან დაკიდა.

ჩამოიარა იქ მგზავრმა, კაცმა მნახველმა მრავლისა, მოჭრილი თავის ხილვისას მან ერთობ გაიხალისა

და თქვა: „თავი რომ დაკიდე, განა ენდობა კაცი მას?
ნუ ფიქრობ, ავი თვალისგან შენი ბოსტანი დაიცვას.

ის თავის თავს ვერ იცავდა, ვინმე რომ სახრეს ურტყამდა,
სიკვდილმაც უმაღლ მოაშთო... აბა, სხვას რაღას უზამდა?“

მკურნალი სხვას ვერ უშველის, აშკარაა და ცხადია,
როცა საკუთარ ტკივილთა საშველი არ აბადია.

ირანულიდან თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა

სკოლის პრობლემები

თამარ ლობჯანიძე

ახალციხის N6 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი. მონაწილეა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაციების სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებისა. მათ შორის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტში-ექსპერტ/მონიტორი (დანყებით საფეხურზე/ქართული ენა და ლიტერატურა). ქემონიქსის საქართველოს დანყებითი განათლების პროექტში (ჩპრაიდ) ტრენერი კითხვის მიმართულებით; საზოგადოების ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივ პროექტებში ტრენერი/მედაგოგი; იუსტიციის სასწავლო ცენტრისთვის არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის შემუშავებული 24 საათიანი სასწავლო მოდულის თანაავტორი. წლების განმავლობაში თანამშრომლობს გამოცდების ეროვნულ ცენტრთან. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.



ბამოცდილების გაზიარება გარედაკვირვებისათვის

პედაგოგებისთვის წამყვანის სტატუსის მოსაპოვენლად ერთ-ერთი გზა გარე დაკვირვების გავლაა. გასულ წელს ახალციხის რაიონში მე მომინია გამეფლო ეს პროცესი. მართალია, ჩემ გარშემო მრავალ პედაგოგს გარკვეული მეგზურობა გავუწიე, მაინც, ვფიქრობ, შემოთავაზებული წერილი კვლავ დაეხმარება უფრო ბევრ პედაგოგს, გაკვეთილის სარეფლექსიოდ.

გარე დაკვირვების გავლისათვის სასწავლო თემად შევარჩიე რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „არდადეგები“. დავგეგმე ხუთი გაკვეთილი, რომლებიც თემით გავაერთიანე, ხოლო მოსწავლეთა უნარების განვითარების კუთხით განვასხვავე ერთმანეთისაგან.

გაკვეთილის მიზნებად დავისახე მოთხრობა „არდადეგების“ საკვანძო ლექსიკური ერთეულის, სიტყვა არდადეგების, სულხან-საბასეული განმარტების გაგებისა და მისი დღევანდელ მნიშვნელობასთან დაკავშირების; სათაურის ტექსტის შინაარსთან დაკავშირების; ავტორისა და პერსონაჟის მეტყველების გარჩევის, ტექსტიდან დასაბუთების უნარების განვითარება. გაკვეთილზე ყველა დასახულ მიზანს, ვფიქრობთ, მივაღწიე იმ მეთოდებითა და აქტივობებით, რომლებიც გამოვიყენე. ამას ხელი შეუწყო მოსწავლეთა მაქსიმალურმა მონაწილეობამ საგაკვეთილო პროცესში, სხვადასხვა ფორმით ტექსტთან მიბრუნებამ, თვალსაჩინოებებმა, (შეჯამების სქემამ, რომელიც მოიცავდა დეტალურად გაკვეთილს, განმავითარებელმა შეფასებამ (რომლესაც მივმართავდი ნამახალისებელი კომენტარებით და ყოველწამიერად ვცდილობდი, შემეფასებინა არსებული ვითარება და შემდეგ სკაფოლდინგისთვის მიმემართა. მაგალითად, ჩუმი კითხვის პროცესში ინდივიდუალურად ვეშველებოდი მოსწავლეებს, რათა გაუგებარი არ დარჩენოდათ სიტყვები, ფრაზები, შეძახილი, ისინიც თავისუფლად მიხმობდნენ მისაშველებლად) და იმ, ჩემი აზრით, თავისუფალმა გარემომ, რომელიც შეიქმნა აზრისა და გამოცდილების გამოხატვის კუთხით.

მიმაჩნია, ყველა აქტივობა მნიშვნელოვნად საჭირო, გამოსადეგი, შედეგიანი იყო. მოტივაციის აღძვრის, ცხოვრებისეული გამოცდილების გააქტიურების მიზნით გაკრულმა ფოტოებმა პროვოცირება ნამდვილად მოახდინა მოსწავლეებში და მეტი ინტერესით ისაუბრეს მათ საკუთარ საზაფხულო თამაშებზე. ამ აქტივობამ საშუალება მომცა სიტყვა არდადეგების ეტიმოლოგიაზე სამუშაოდ უმტკივნეულოდ გადავსულიყავით. სულხან-საბასეული განმარტებისა და სიტყვის თანამედროვე გაგების დასაკავშირებლად რუბრიკაზე მუშაობა ნაყოფიერიც და შრომატევადიც აღმოჩნდა. მოსწავლეებს სწორედ ამ აქტივობის შესრულებისას ინდივიდუალური მხარდაჭერა დასჭირდათ ჩემი მხრიდან, რადგან სულხან-საბას ეპოქის სალიტერატურო ენის გაგება უწევდათ, მიუხედავად იქვე მოცემული თანამედროვე განმარტებისა. ტექსტში ავტორისა და პერსონაჟის მეტყველების

გარჩევის მიზნით განხორციელებულმა აქტივობამ, რომელიც მოსწავლეებმა წყვილში შეასრულეს, ტექსტში მონიშნეს და იქვე პერსონაჟებიც განასხვავეს ერთმანეთისაგან, მოსწავლეებს არა მარტო დამოუკიდებლად მისცა საშუალება ტექსტის შინაარსი გაეგოთ, არამედ კითხვის მარტივი სტრატეგიების გამოყენების უნარიც განიმტკიცეს. თავისი ფუნქცია ტექსტის გაგების მიზნით დასმულმა შეკითხვებმაც შეასრულა. კითხვა-პასუხით მოსწავლეები რამდენჯერმე მივაბრუნე ტექსტთან არგუმენტირების მიზნით და ამით ტექსტის ლექსიკის, შინაარსის გააზრებაც შევამოწმე. აქტივობა, ვფიქრობ, კარგად დაეხმარა მოსწავლეებს დაკვირვებოდნენ, რამდენად ყურადღებით ჰქონდათ ტექსტი წაკითხული. განსაკუთრებულად ნაყოფიერი აღმოჩნდა შემაჯამებელი აქტივობა, რომელმაც განმავითრებელი შეფასების ფუნქცია შეასრულა, გარდა იმისა, რომ გაკვეთილი თავისი აქტივობებითა და მეთოდებით შეჯამდა. ჩემი აზრით, ეს აქტივობა მნიშვნელოვნად დამეხმარა პროცესი მოსწავლეებს ნათლად დაენახათ და ეპასუხათ ისეთ მნიშვნელოვან კითხვებზე, როგორებიცაა: რა გააკეთეს? რატომ გააკეთეს? და როგორ გააკეთეს? ბოლო აქტივობამ ნათლად დამანახა მეც, აითვისეს თუ არა მასალა, მივალწიე თუ არა მიზანს.

გაკვეთილი ორი ცვლილებით იქნა წარმოდგენილი. პირველი, მოტივაციის აღძვრის მიზნით დაგეგმილი აქტივობა კითხვა-პასუხით წარმოვადგინე, ნაცვლად ბრეისთორმინგისა და შემდგომ დახარისხებისა. ეს ცვლილება გაკვეთილის ჩატარებამდე განხორციელდა, რადგან დასახარისხებელი ნაკლებად შეიძლება აღმოჩენილიყო და ჩავთვალე, რომ მოსწავლეთათვის დამაბნეველი და უინტერესოც იქნებოდა. არ შევმცდარვარ, რადგან ბავშვებმა ზუსტად ამ მეთოდით უფრო მეტად და თავისუფლად გამოავლინეს ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება. მეორე ცვლილება შეეხო კლასის ორგანიზების ფორმას. ტექსტის წაკითხვას ვვარაუდობდი ინდივიდუალურად, თუმცა გავითვალისწინე მოსწავლეთა თხოვნა და მათ წყვილში შეასრულეს დავალება. ეს იყო სპონტანური ცვლილება, რომელმაც დადებითი როლი შეასრულა, მოსწავლეებს არჩევანის საშუალება მიეცა (მათ მეტი ინტერესით

ნაიკითხეს ტექსტი) და კლასის ორგანიზებას მრავალფეროვნებაც შემატა. ამდენად, ორივე განხორციელებული ცვლილება საჭირო და შედეგის მომტანი აღმოჩნდა.

ხარვეზი, რომელზეც შემოიძლია ვისაუბრო, არის ის, რომ ტექსტის პირველი ნაწილის კითხვებით გამთლიანებისას ბუნებრივად წარმოიქმნა გაგრძელებისადმი ვარაუდების გამოთქმის აუცილებლობა, თუმცა მზაობა გათვალსაჩინოებისა არ აღმოჩნდა და შემოვიფარგლე ზეპირი ინტერაქციით. ვფიქრობ, ერთი მარტივი სქემა ვარაუდების გამოთქმისათვის თვალსაჩინოს გახდოდა მოსწავლეთა მიერ გამოთქმულს და მომდევნო გაკვეთილებზე გადამონშების საშუალებაც უკეთ მოგვეცემოდა.

დასკვნის სახით, შემოიძლია, ვთქვა, დაგვემიღმა და ჩატარებულმა გაკვეთილმა თავისი ფუნქცია შეასრულა.

ენობრივი პრაქტიკის მეთოდის მნიშვნელობა პირველ კლასში

სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია, პირველივე კლასიდან უზრუნველვყოთ მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლება. ბუნებრივია, საჭიროა, მასწავლებელმა საკლასო ოთახში გამოიყენოს ისეთი მეთოდები და აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს მოცემულ გამჭოლ უნარს პირველივე კლასიდან დააუფლებს. მუშაობის პროცესში მასწავლებელს მოუწევს შეარჩიოს და აქტიურად დაამუშავოს სწორედ ის მეთოდი, რომელიც მისცემს მას საშუალებას ეფექტურად და ერთდროულად იმუშაოს ყველა ენობრივ უნარზე: ზეპირმეტყველებაზე, კითხვასა და წერაზე.

ენობრივი პრაქტიკის მეთოდი მიჩნეულია წიგნიერების უნარჩვევების ჩამოყალიბების ეფექტურ საშუალებად, რომელიც ზემოხსენებულ ყველა უნარს ერთდროულად ავითარებს. მეთოდის მიხედვით მასწავლებელი დაფაზე წერს თვალსაჩინოდ მოსწავლეების მიერ მოფიქრებულ ტექსტს. მას ერთობლივად ამუშავებენ. ეს მეთოდი ოთხი საბაზისო მეთოდის (საჩვენებელი კითხვა,

საჩვენებელი წერა, ერთობლივი კითხვა, ერთობლივი წერა) ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს.

მოსწავლეებისთვის სასარგებლო შედეგებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი ნაფიქრსა და დანერილს შორის კავშირის გაბმავა, ასევე, ტექსტის ძირითადი მახასიათებლების გააზრებაა, რაც მოსწავლეს ეხმარება, გააცნობიეროს კომუნიკაციის საკვანძო ასპექტები. კერძოდ:

რასაც ვფიქრობთ, შეიძლება გამოითქვას.

რასაც ვამბობთ, შეიძლება დაინეროს.

რაც დანერილია, შეიძლება წავიკითხოთ..

მე შემიძლია, წავიკითხო ის, რაც თვითონ დავწერე და, აგრეთვე, ისიც, რაც სხვამ დაწერა ჩემთვის.

მოსწავლეები თანაავტორის როლს ირგებენ და შესაბამისად, ტექსტი ნაცნობი ლექსიკური ერთეულებით იგება. იზრდება მათი მოტივაცია. დამწყები მკითხველები კიდევ ერთხელ ეხებიან და ეცნობიან ტექსტის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა, მაგ., სათაური, აბზაცი, სტრიქონი. უვითარდებათ ფანტაზიის, თხზვის უნარი.

გაკვეთილის ყველა ეტაპი: თემის შერჩევა, მიმოხილვა; ტექსტის შექმნა; ნაკითხვა; ილუსტრირება თანმიმდევრულად და სრულყოფილად მიმდინარეობს. ამასთან, შესაძლოა დარჩეს დრო ილუსტრაციების პრეზენტაციებისთვისაც. თუმცა ეს უკანასკნელი აქტივობა, როგორც წესი, ემოციების გაზიარების თვალსაზრისით, ხმაურიანია. ვფიქრობ, ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით, ესეც მნიშვნელოვანია, რათა მოსწავლეები მეტად გაიხსნან და გააქტიურდნენ.

პირველი კლასისთვის, რომელთაც ჯერ ქცევის წესები და მოსმენის უნარები კარგად განვითარებული არა აქვთ, მსგავსი გაკვეთილი სირთულეს წარმოადგენს, თუმცა ეს სირთულე გარკვეული მათემატიკური ნიშნებით დაძლევადა და კოლეგებს ვურჩევთ სწორედ მათით აღიჭურვონ.

ენობრივი პრაქტიკის მეთოდი აქტიურად შეუძლიათ გამოიყენონ პედაგოგებმა მეორე ენისა და უცხო ენის სწავლებისას და

იქვე დანერგონ ე.წ. გამოგონილი მართლწერა თავისი წინა-საკომუნიკაციო, სემიოტიკური, ფონეტიკური, გარდამავალი და სწორად წერის ეტაპებით.

ლიტერატურა:

1. „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფესურზე“; USAID G-PRID: 2015
2. კითხვის ეფექტური მეთოდები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2013
3. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის. ქართული ენა და ლიტერატურა, I-IV კლასები, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი. 2011
4. Reutzel, D.R., Cooter, R.B., (2013). The Essentials of Teaching Children to Read, The Teacher Makes the Difference. Pearson Education, Inc.

მზევინარ მჟავანაძე

მზევინარ მჟავანაძე – ფილოლოგიის დოქტორი, წამყვანი მასწავლებელი. მუშაობს ახალციხის მეექვსე და პირველ საჯარო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. არის განათლების, სპორტის, კულტურისა და მეცნიერების სამინისტროს რამდენიმე პროექტის მონაწილე. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.



გამონკვეთი პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვისას დაწყებით საზნეუროზე

სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები მასწავლებელს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა ტიპისა და კონტექსტის მქონე სამოდელო გაკვეთილი დაგეგმოს და ჩაატაროს. სამოდელო გაკვეთილის ერთ-ერთი ტიპია პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი, რომლის უპირველესი მიზანი მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერია. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეს ასწავლის პრობლემის იდენტიფიცირებას, ცოდნის სისტემატიზაციის საფუძველზე მისი გადაჭრის გზების ძიებას და მიღებული გამოცდილების რეალურ ცხოვრებაში გამოყენებას. როგორც მიუთითებენ: „განათლების სისტემის მთავარი საზრუნავია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სკოლაში შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად გამოყენება. სწორედ ამიტომაა მეტად მნიშვნელოვანი, რომ სკოლამ საგნობრივ ცოდნასთან და უნარ-ჩვევებთან ერთად მოსწავლეებს განუვითაროს პრობლემების გადაჭრის უნარი. იგი მოსწავლეებს არა მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრებისეული მოთხოვნების

მოგვარებაში გამოადგებათ, არამედ ფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში სწავლის გასაგრძელებლად და პროფესიულ კარიერაში წარმატების მისაღწევად.“ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს სწავლება ეყრდნობა ღიად დასმულ პრობლემურ შეკითხვებს; მოსწავლეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში, რადგან პრობლემის გადაჭრის გზების ძიებისას მნიშვნელოვანია იდეათა მრავალფეროვნება და ურთიერთგაზიარება; მასწავლებელი არის მხოლოდ გეზის მიმცემი, რის შედეგადაც მოსწავლე იღებს მეტ პიროვნულ პასუხისმგებლობას საკუთარ ქმედებაზე და ხდება აქტიური შემმეცნებელი. ეს კი თავისთავად მის დამოუკიდებელ შემსწავლელად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად მასწავლებელმა სასურველია, პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი რამდენჯერმე დაგეგმოს და ჩაატაროს წლის განმავლობაში. ეს ცხადია ეხება დაწყებითი საფეხურის სწავლებასაც, თუმცა აქ ეს არცთუ ისე მარტივია. გარდა იმისა, რომ სხვა ტიპის გაკვეთილების დაგეგმვა-ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები სრულად გაითვალისწინოს, მასწავლებელი ამ ტიპის გაკვეთილისთვის სპეციფიკური სირთულეების შესახებაც უნდა იყოს ინფორმირებული. კონკრეტულად რა უნდა იცოდეს და რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა, რომელიც დაწყებით კლასში ამგვარი გაკვეთილის ჩატარებას გადანყვეტს?

1. უპირველეს ყოვლისა, სწორად, მოსწავლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა შეირჩეს პრობლემა და ისე მიზანმიმართულად ჩატარდეს, რომ ნამდვილად ჩაითვალოს პრობლემაზე ორიენტირებულ გაკვეთილად, როგორც წარმოდგენილი საკითხის მიხედვით, ისე გაკვეთილის აქტივობების მიხედვით - თემატიკაც პრობლემატური იყოს შეთავაზებული და გაკვეთილის მსვლელობაც ითვალისწინებდეს პრობლემის გამოკვეთასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას.

2. პრობლემა, რომლის გააზრება-გადაჭრასაც უნდა ემსახურებოდეს მოცემული გაკვეთილი, ისეთი უნდა იყოს, რომ ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს.

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების გამოყენება შესაძლებელია როგორც მაღალ, ისე დაწყებით კლასებშიც, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში აუცილებელია ადეკვატური მოდელის შერჩევა დასამული პრობლემის უკეთ წარმოსაჩინად.

3. აქტივობები ისე უნდა დაიგეგმოს, რომ მოსწავლეთათვის ადვილად გასაგები და გასათავისებელი აღმოჩნდეს შეთავაზებული პრობლემაც და ის გზები და აქტივობებიც, რომელსაც მასწავლებელი დაუსახავს. ზოგადად ამ ტიპის გაკვეთილზე მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ჯერ გამოავლენენ პრობლემას, შემდეგ გაიაზრებენ მას, რის შემდეგაც მოიძიებენ, ახარისხებენ და აანალიზებენ საჭირო ინფორმაციას. შემდეგ კვლავ უბრუნდებიან გადასაჭრელ პრობლემას და უკვე დამუშავებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ახერხებენ მის გადაჭრას. თუმცა დაწყებით საფეხურზე მოდელირება, მოსალოდნელი სცენარის შემუშავება თუ მსავსი აბსტრაქტული დავალებები ვერ იქნება მიზანშეწონილი. აქ უმჯობესია, მაგალითად, დაწყებითი კლასის მოსწავლეებს პრობლემების დამოუკიდებლად მოძიების, იდენტიფიცირების ნაცვლად შევთავაზოთ მასწავლებლის დახმარებით, მთელი კლასის ჩართულობით გამოკვეთილი პრობლემები შეუსაბამონ კონკრეტულ მასალას.

4. აქტივობების დაგეგმვისას გავითვალისწინოთ, რომ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან რამდენიმესაფეხურიანი დავალების ერთდროულად მიცემას თავი ავარიდოთ. სასურველია, რომ ამგვარი დავალების აუცილებლობის შემთხვევაში, ჯერ დავალების ერთი საფეხური შევთავაზოთ, შემდეგ მეორე და ასე შემდეგ, რადგან ამ ასაკში მოსწავლეებს უჭირთ გონებაში სტრუქტურის, სქემის აგება.

5. სასურველია, საფეხურებს შორის მოსწავლეებს ერთგვარი პაუზა (ვთქვათ, პრეზენტაციის გაკეთება) შევთავაზოთ, რომ რამდენიმეეტაპიანმა დავალებამ მათში დაბნეულობა არ გამოიწვიოს.

მაგალითისთვის წარმოვადგენთ დაწყებით მეოთხე კლასში ჩატარებულ გაკვეთილს. გაკვეთილი წარმოადგენდა საყოველ-

თაოდ გავრცელებული პრობლემის - უნარშეზღუდული ადამიანების სტიგმატიზაციისა და მათთან ურთიერთობის განხილვასა და შესაბამისი პრევენციის ზომების დასახვას კონკრეტული მხატვრული ნაწარმოების („გაბზარული ქოთანი“) გააზრებით. პრობლემად წარმოჩენილი საკითხი აქტუალური იყო და შეესაბამებოდა მეოთხეკლასელთა ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესს.

გაკვეთილის მიზანი იყო მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება უნარშეზღუდული ადამიანებისა და მათდამი გამოვლენილი არასწორი დამოკიდებულებებისადმი (მათ შორის არასწორი ლექსიკის გამოყენებაც) კონკრეტული მხატვრული ნაწარმოების მაგალითზე. მოსწავლეები მოტივირებულად და ინტერესით მონაწილეობდნენ აქტივობებში და ნაბიჯ-ნაბიჯ აღწევდნენ საგაკვეთილო მიზნებს. მათ კონკრეტული ტექსტის გააზრებით შეძლეს და პრობლემა შეუსაბამეს ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთს - სად ჩანდა ეს პრობლემა. იპოვეს ტექსტში პრობლემის მოგვარების მოცემული გზა, იმსჯელეს ამ პრობლემის პირად გამოცდილებასთან კავშირსა და ახლებური გადაწყვეტის გზაზე, შეიმუშავეს შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებთან სწორი ურთიერთობის შესატყვისი ლექსიკა. გაკვეთილზე ყველა მოსწავლე ემოციურ თუ კოგნიტურ დონეზე სრულად იყო ჩართული. ამას განაპირობებდა, ერთი მხრივ, თემატიკის ასაკთან შესაბამისობა და მიმზიდველობა, მეორე მხრივ, აქტივობათა ლოგიკურად გამართული თანმიმდევრობა.

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები წარმოაჩინდნენ უფრო მეტ ცოდნას საკითხის ირგვლივ და მსჯელობდნენ საჭირო შემთხვევაში პრევენციის საშუალებებზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პრობლემაზე ორიენტირებული სამოდულო გაკვეთილი, სასარგებლო იქნება როგორც იმ მოსწავლეებისთვის, რომელიც ატარებს ასეთ გაკვეთილს, ისე მისი კოლეგებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მასწავლებლის საქმიანობის დანყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, ნაწილი II. თბილისი, 2016.

2. მეოთხე კლასის სახელმძღვანელო, მოსწავლის წიგნი, ნაწილი I. გამომცემლობა „ტრიასი“, თბილისი, 2018.

ნანა ლომინაშვილი

ნანა ლომინაშვილი, დაიბადა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, დაამთავრა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მუშაობს ქ. ახალციხის №6 საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის უფროს მასწავლებლად.



კონფლიქტების მოგვარება მოზარდებში

ხშირად გვინახავს კონფლიქტური სიტუაცია სასწავლო დაწესებულებებში სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს შორის. სკოლა არის ის ადგილი, სადაც თავს იჩენს ყველაზე მეტად ასეთი შემთხვევები. ეს გარდაუვალი ნაწილია ადამიანის ინტერაქციისა, ზრდისა და განვითარებისათვის. მოგვარებული კონფლიქტი სკოლის პრესტიჟის და კულტურის ნაწილი ხდება და განსაზღვრავს ჯანსაღ გარემოს. სკოლის თანამშრომლებს ხშირად ერევან კონფლიქტურ სიტუაციაში, რომლის სწორად გადაჭრა, სწორი სტრატეგიის შერჩევა არც ისე ადვილია. სკოლა ის ადგილია, სადაც მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქცევის სტრატეგიების თეორიულ შესწავლას და მათ დაკავშირებას პრაქტიკასთან. კონფლიქტის სწორად მოგვარება ხელს უწყობს: მოსწავლეებში მოლაპარაკების, პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის, სტრესთან გამკლავების, სიტუაციის მრავალი კუთხით დანახვა-შეფასებისა და გადანყვეტილების მიღების უნარების ჩამოყალიბებას, ამ კუთხით სკოლის ადმინისტრაციის პროფესიულ განვითარებასაც განაპირობებს.

კონფლიქტების დაძლევის სტრატეგიების გამოყენება და კონსტრუქციული დიალოგი პიროვნებაზე პოზიტიურ გავლენას ახდენს. ხშირად კონფლიქტი არ არღვევს წესრიგს, არ იწვევს სტრესს, არამედ დადებით ცვლილებებს განაპირობებს. მთავარი ის კი არ არის, როგორ ავიცილოთ კონფლიქტი, არამედ ის თუ როგორ გამოვიყენოთ ის პოზიტიური ცვლილებისთვის, გავზარდოთ ინტერპერსონალური, სოციალური უნარები, შევამციროთ სტრესი. როდესაც კონფლიქტი აღმოცენდება, ის სწორედ კომუნიკაციის პროცესზე აისახება, ადამიანები კომუნიკაციით გამოხატავენ პროტესტს თუ განსხვავებულ აზრს. პრობლემურ სიტუაციაში ადამიანს ძირითადად ორი ინტერესი აქვს: საქმესთან დაკავშირებული მიზანი და ურთიერთობა, რომელიც მეორე მხარესთან აკავშირებს, ამ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით ირჩევს ის კონფლიქტის მოგვარების სტილს. ამის შესაბამისად განისაზღვრება მათი საპასუხო ქცევა ციკლასთან მიმართებით.

ქცევა ადამიანის შინაგანი განწყობის გამოხატულებაა, ქცევით ვაფასებთ ადამიანის შესაძლებლობებს, მის აკადემიურობას. მნიშვნელოვანია ადამიანის ქცევა კონფლიქტურ სიტუაციაში, ამ დროს მნიშვნელოვანია სტრატეგიების ცოდნა, რაც კონფლიქტის წარმართვის თუ მოგვარების აუცილებელი პირობაა.

ს. სკიმი მიუთითებს სამი სახის ქცევით სტრატეგიაზე: 1. შეტევა; 2. პრობლემის გადაჭრა და 3. დათმობა.

კ. ტომასმა შეიმუშავა ქცევის ხუთი სტრატეგია, რომელიც უფრო სწორად და მიზნობრივად განსაზღვრავს მას: 1. განრიდება, 2. კონკურენცია 3. თანამშრომლობა; 4. შეგუება; 5. კომპრომისი. მათი გააზრება მასწავლებელს დაეხმარება კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებაში.

მნიშვნელოვანია სწორი სტრატეგიის შერჩევა კონფლიქტის დროს, რათა არ მოხდეს გამწვავება და ურთიერთობები წარმართოს შეთანხმების მისაღწევად. ხუთივე მხარე ახასიათებს კონფლიქტში ჩართულ პიროვნებას. მათი გამოყენება სიტუაციაზე დამოკიდებული, რადგან ამ სტრატეგიებს დადებითთან ერთად უარყოფითიც ახლავს თან.

განრიდების სტრატეგია პრობლემისგან გაქცევის სტრატეგიაა. ამ დროს ერთ-ერთი მხარე მოქმედებას წარმართავს იქითკენ, რომ კონფლიქტს გაექცეს. ასეთი სტრატეგია მთავარი არ არის კონფლიქტის გადანწყვეტაში, ეს არის ისეთი სტრატეგია, როდესაც ადამიანი ხუმრობაში ატარებს სადავო საკითხს. ცდილობს, შეცვალოს თემა ან გაერიდოს კონფლიქტურ გარემოს. ამიტომ უკან იხევის. ამ სტრატეგიას თავიდან აცილების სტრატეგიასაც უწოდებენ.

ამ სტრატეგიის გამოყენება ეფექტურია კონფლიქტის განმუხტვის და დროებითი მოგვარებისთვის, როდესაც დაპირისპირებულ მხარეებს დრო სჭირდებათ დასამშვიდებლად და საუკეთესო გამოსავლის საპოვნელად.

კონკურენციის სტრატეგიას ინტეგრირებულს უწოდებენ, მასში შედის შეჯიბრი, ბრძოლა, თამაში და სხვა. ასეთ შემთხვევაში ერთი მხარე დომინირებს, ხოლო მეორე უმეტეს შემთხვევაში მარცხდება, ამ დროს ყურადღება ექცევა საკუთარ მიზანს და იგნორირებულია ურთიერთობები. ერთ მხარეს უჩნდება სურვილი, რომ გაიმარჯვოს.

ამ სტრატეგიის გამოყენებას საფუძვლად უდევს პრინციპი „მე უნდა გავიმარჯვო“. ასეთ დროს ძირითადი არსი ბრძოლაა და ეს უმეტესად ამწვავებს დაპირისპირებას. თუმცა კონკურენტული მიდგომა მაინც უფრო უეფექტოა, შედეგი ვერ მიიღწევა, გულისხმობს ერთი მხარის ინტერესების აღიარებას და უგულუბელყოფს დანარჩენ სხვას. მას კი ხშირად არასტაბილურ მდგომარეობამდე მიყვავართ.

თანმშრომლობით სტრატეგიას უწოდებენ ინტეგრირებულს. აქ ყურადღება ექცევა მიზნებს და კოოპერაციას. თანამშრომლობა კონფლიქტის მოგვარების ყველაზე ეფექტური გზაა, ის აღიარებს ადამიანებს შორის კონფლიქტის გარდაუვლობას და მას კონსტრუქციული შედეგის მისაღებად იყენებს.

ამ სტრატეგიით მხარეები მოლაპარაკების საფუძველზე, თანხმდებიან გადანწყვეტილებებზე, რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებს. ასეთი მიდგომა მოითხოვს ხანგრძლივ დროს, რათა ყველა ინტერესის ინტეგრაცია მოხდეს. დასაშვებია

ალტერნატიული გადაწყვეტილებები და ერთობლივი მოქმედებები. ასეთ შემთხვევაში ოპონენტები შეიძლება პარტნიორებად იქცნენ.

ეს სტრატეგია პოზიტიურია, რადგან ამ დროს ორივე მხარე გამარჯვებულია. მაგრამ ძნელია შედეგის მიღწევა, რომელიც ყველა მხარისთვის მისაღები იქნება. საჭიროა შრომა, მოლაპარაკების წარმართვა, ახალი ალტერნატივების მიღება, რაც დიდ დროს მოითხოვს.

შეგუების სტრატეგიას უნოდებენ დათმობას. შეგუება სხვების ინტერესების დაკმაყოფილებისკენ მიღებული სტილია და ურთიერთობის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული. ამ შემთხვევაში მიზანზე ორიენტაცია ნაკლებია, ხოლო ურთიერთობებზე ორიენტაცია მაქსიმუმს აღწევს. ერთი მხარე თმობს თავის ინტერესებს, რომ კოოპერირება და მეორე მხარის კეთილგანწყობა შეინარჩუნოს. რისთვისაც მიმართავს ყველა სახის ხერხს. გამოიყენება ფრაზები „შენ ხარ მართალი“, „მე გეთანხმები“ და ა. შ.

ეს სტრატეგია საშუალებას აძლევს ადამიანს სწრაფად მოაგვაროს კონფლიქტი, თავი დააღწიოს შინაგან დისკომფორტს, მაგრამ დათრგუნოს საკუთარი სურვილები, მიზნები და ინტერესები, რაც ხშირად შიდაპიროვნული კონფლიქტის საფუძველი ხდება.

კომპრომისის სტრატეგია გულისხმობს რესურსების 50/50 განაწილებას, ანუ დავის მიზეზი ერთნაირი დონით იყოფა, ამ დროს შედეგი ორივე მხრიდან დათმობის ხარჯზე მიიღწევა.

კომპრომისი თანამშრომლობასა და კომუნიკაციას ემყარება. ეს სტრატეგია ყველაზე ეფექტურია, ვიდრე სხვა დანარჩენი. კომპრომისი მხარეებს საშუალებას აძლევს, შეძლონ ძალების გადანაწილება-დაბალანსება, მაგრამ სრულყოფილად არც ერთი მხარის ინტერესების დაკმაყოფილება არ ხდება.

კონფლიქტის დროს ეს ხუთი სტრატეგია შეიძლება სიტუაციის მიხედვით გამოვიყენოთ, მაგრამ ვიდრე რომელიმე მათგანს მივანიჭებდეთ უპირატესობას, მნიშვნელოვანია, კარგად გავიაზროთ პრობლემის არსი და მისი გადაჭრის ალტერნატიული გზები, რათა თავიდან ავიცილოთ არასწორი არჩევანი და ხელი შევუწყოთ კონფლიქტის დროებით, ნაწილობრივ ან სრულად მოგვარებას.



ქართული ენის სწავლების პრობლემები ჯავახეთში

1990 წლის ზაფხულში, კოსტავას სახელობის ფონდთან ერთად, მომიწია ჯავახეთში წასვლა. იმ დროისათვის ჯავახეთიდან, კერძოდ, ნინოწმინდის რაიონიდან დუხობორები რუსეთში მიდიოდნენ, ხოლო მათ სახლებს ფონდი ყიდულობდა სტიქიით დაზარალებული აჭარის მაღალმთიანი სოფლებიდან ჩამოსახლებული ოჯახებისთვის.

ერთი შეხედვით ეს პროცესი არც ისე რთული ჩანდა, მაგრამ ცოტა ღრმად თუ ჩაიხედავდი, აუცილებლად ათას უბედულებას ჩახედავდი თვალებში. 90-იან წლებში ჯერ კიდევ არსებობდა კომუნისტური პარტია, რომელიც ფარულად თუ აშკარად, ებრძოდა ეროვნულ მოძრაობას, ორთაბრძოლაში იჭყლიტებოდა და ზარალდებოდა უბრალო, კარგი ცხოვრების იმედით წამოსული მოსახლეობა. ამ ხალხისათვის აუცილებელი იყო ელემენტარული პირობების შექმნა, დასაქმება, მიწის ნაკვეთები და ქართული სკოლების გახსნა, რაც იმ დროისათვის ძალიან დიდი პრობლემა იყო.

მაგრამ მთავარი სირთულე, რაც ჯავახეთში დაგვხვდა, ეს იყო ადგილობრივი მოსახლეობის გაუცხოება ქართველებისა და

ქართულის ენის მიმართ. სწორედ ამის შესახებ მინდა გიამბოთ, თუ რა გზა გაიარა ქართული ენის სწავლებამ ჯავახეთში, ქვემო ქართლში და ყველგან, სადაც ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა ცხოვრობს. თავდაპირველად, ერთი შეხედვით, მეგონა, რომ თავად მოსახლეობას არ ჰქონდა ქართული ენის შესწავლის სურვილი, მაგრამ, როცა დავინტერესდი ამ საქმით, აი, რა აღმოვაჩინე:

1960-იან წლებამდე ქართული ენა არაქართულენოვან სკოლებში ყოველდღე ისწავლებოდა, 1 კლასიდან მე-10 კლასამდე, ჰქონდათ შესაბამისი წიგნები და სასკოლო პროგრამა, რომელიც მიახლოებული იყო ქართლი სკოლების ქართული ენის პროგრამასთან, ოღონდ ცოტა გამარტივებული, მაგალითად: „ვეფხისტყაოსანი“ დიდი ნაწილი გადმოცემული იყო შინაარსით, შიგადაშიგ საჭირო საზეპიროებით. გრამატიკული მასალაც თანმიმდევრულად იყო დალაგებული შესაბამისი სავარჯიშოებით. იმ დროისათვის მოსახლეობამ ქართული ენაც კარგად იცოდა და ათას რამეს გვიყვებოდნენ, თუ როგორ ისწავლეს ენა და როგორი კარგი ქართული ენის მასწავლებლები ჰყავდათ.

60-იან წლების შემდეგ ქართული ენის საათებმა თანდათან იკლო და 80-90-იან წლებში კვირაში 1 საათი იყო, ისიც ფაკულტატური, რუსულ სკოლებში, სომხურში – ორი. ქართლი ენის ნიშანი ატესტატში არ შედიოდა, მოსწავლეებს უნდოდათ დაესწრებოდნენ ქართული ენის გაკვეთილს, უნდოდათ - ვარა. პირველი კლასის ნაცვლად, ქართული ენის შესწავლა მე-5 ან მე-6 კლასიდან იწყებოდა. სასწავლო პროგრამაც, რა თქმა უნდა, იცვლებოდა, იცვლებოდა წიგნებიც. ერთი სიტყვით, ქართულმა ენამ, თავის ქვეყანაში, ღირსება დაკარგა. ეს რამდენიმე საათიც შეთავსებით ჰქონდათ სხვა საგნის მასწავლებლებს, რომლებმაც ქართული არ იცოდნენ. როდესაც ზვიად გამსახურდია პრეზიდენტი გახდა, არაქართულ სკოლებში ქართული ენის საათები გაიზარდა, მაგრამ არ იყო სახელმძღვანელოები. წლები დასჭირდა იმას, რომ რაღაც ხელმოსაჭიდი სახელმძღვანელო შექმნილიყო. 2006 წელს დაიბეჭდა „თავთავი“-1,2,3 დონე. ამ წიგნების გამოყენება მე-6 კლასის ზემოთ შეიძლებოდა. მე-6 კლასამდე კი

მასწავლებელზე იყო დამოკიდებული, თუ რას გააკეთებდა გაკვეთილზე. 1 და 2 დონის „თავთავმა“ რამდენიმე წელი იმუშავა სკოლებში, მე-3 დონისა კი-98% არ გამოუყენებიათ და დღესაც ხელუხლებელი დევს სასკოლო ბიბლიოთეკებში.

დღეისათვის ქართული ენის საათები სკოლებში საკმარისია, საკმარისია სახელმძღვანელოები, მაგრამ არ პასუხობს ქართულ სინამდვილეს - იმას, რაც ეკადრება ამ საგანს და მის მასწავლებლებს, რომ ასწავლონ ბავშვებს ქართული.

დღევანდელი სახელმძღვანელო უფრო ცნობარს ჰგავს, რომელშიც მოცემულია იმფორმაციები: გეოგრაფიიდან, ისტორიიდან, ბიოლოგიიდან და უცხო მწერლების ნაწარმოებებიდან, რომლებიც ბავშვმა კარგად რომ გაიგოს, მშობლიურ ენაზე უნდა ისწავლოს და წაიკითხოს. როცა ქართული ენა პირველი კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით, ყოველდღე ისწავლება, აუცილებლად მიახლოებული უნდა იყოს ეროვნულ სასწავლო პროგრამასთან. ისიც უნდა ითქვას, რომ პერიფერიებში თვითგანათლების დონე დაბალია, ბავშვებს წაკითხული არ აქვთ მშობლიურ ენაზე „ჩიპოლინოს თავგადასავალი“ „პეპი“, არ იციან ვინ არის კალსონი, არა აქვთ ნანახი დისნეის მულტფილმები. არა და ეს ყველაფერი ბავშვმა მშობლიურ ენაზე უნდა ნახოს და წაიკითხოს. ჩვენ, ქართული ენის მასწავლებლებს, დაგვიბრუნეთ ჩვენი მწერლებისა და პოეტების მოთხრობები, იგავ-არაკები, ლექსები, ზღაპრები, ხალხური ლექსები.

ჩემი აზრით, სახელმძღვანელოს შექმნაზე 2-3 კაცი კი არა, ჯგუფი უნდა მუშაობდეს, სადაც იქნებიან ფსიქოლოგები, პრაქტიკოსი მასწავლებლები, კარგი ფილოლოგები, რომლებიც გაითვალისწინებენ მოსწავლის ასაკს, მის გარემო-პირობებს მარტივიდან რთულისაკენ. ასეთი გზით შექმნილი სახელმძღვანელო უფრო სასარგებლო და სახალისოც იქნება. ბავშვები შეისწავლიან ქართველ მწერლებს, პოეტებს, მეცნიერებს, შეიძლება შევიტანოთ სომეხი და აზერბაიჯანელი მწერლებისა და პოეტების პატარა მოთხრობები, ლექსები, რომლებიც წლების წინ დაწერეს საქართველოზე და ითარგმნა ქართულ ენაზე, ამ ბავშვებისათვის ეს ყველაფერი ახლობელია და ადვილად გასაგები. ამ გზით უფრო

კარგად გაითავისებენ და შეიყვარებენ იმ ქვეყანას, სადაც ცხოვრობენ ისინი.

1992 წელს სოფელ ფოკაში გაიხსნა ფოკის დედათა მონასტერი. იმ დროისათვის მონასტერში ოთხი მონაზონი ცხოვრობდა, ერთი სახლი ჰქონდათ, ცხოვრების პირობები – ცუდზეცუდი, ცუდი დამოკიდებულება მოსახლეობასთან, მათ შევიწროვებაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ახალგაზრდები, ბავშვები. მე ხშირად მივდიოდი მათთან სტუმრად, ვხედავდი, როგორ ცდილობდნენ თავის დამკვიდრებას. თითქმის მთელ ღამეს ლოცვაში ათენებდნენ, დღეს კი შრომაში, ისინი ჩემთვის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდნენ. ჩემ თვალწინ ათასი სასწაული ხდებოდა და მე ვინ ვიყავი? არავინ! უფლება არ მქონდა, მეც რაც შემეძლო, ის არ გამეკეთებინა.

1998 წელს ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკის საჯარო სკოლაში დავინწყე მუშაობა. ეს სოფელი ზღვის დონიდან 2085 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, ძალიან მკაცრი ზამთარი იცის. ზამთარში 6-7 თვე გზა დაკეტილი იყო. ცხოვრება დავინწყე დედათა მონასტერში. საცხოვრებელი პირობები მინუსებში გადადიოდა. სკოლაში 500-მდე მოსწავლე სწავლობდა. იმ დროისათვის, ქართულის საათების კვირეული დატვირთვა 2-3 საათ იყო. ჩემს გარდა ქართულს კიდევ სამი მასწავლებელი ასწავლიდა, რა თქმა უნდა, „ბაზარში ნასწავლი ქართულით“. ყველას დაწყებით კლასში უნდოდა მუშაობა. მაღალ კლასებში არც წიგნი და არც რვეული არ ჰქონდათ ბავშვებს, არც სწავლის დიდი სურვილი. ქართული ენის გაკვეთილები, ძირითადად, გასართობ ან რომელიმე საგნის „დამხმარე“ გაკვეთილად ითვლებოდა. კლასში 20-25 მოსწავლე იჯდა. ძნელი იყო, ძალიან ძნელი. ამას საქართველოში არსებული სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობაც ემატებოდა და წარმოიდგინეთ, რაც იქნებოდა. სკოლას არ ჰქონდა გათბობა, ცივ საკლასო ოთახებში გვინევდა გაკვეთილების ჩატარება. შეუძლებელი იყო სკოლის შემდეგ ბავშვებთან მუშაობა, ამიტომ დედა ელისაბედის კურთხევით 2003წელს ფოკაში გაიხსნა საკვირაო სკოლა, რომლისათვის შენობა [სახლი] შეისყიდეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორმა როინ მეტრეველმა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა სართანიამ. რადგან უკვე შენობა იყო საჭირო გახდა მისი „შელამაზება“, პირობების გაუმჯობესება, რომელიც ბავშვებს დააინტერესებდათ. სკოლას სახურავი ბრიტანეთის საელჩომ გამოუცვალა. ანგარდაცვლილმა ზურაბ ჟვანიამ მერხები, სკამები და დაფა მოგვიტანა, ბიბლიოთეკა და პიანინო მონასტრის ახლობლებმა შემოსწირეს უნდა ითქვას, რომ სოფელში პირველი პიანინო იყო ეს, მის სანახავად მთელი სოფელი მოდიოდა, ეხებოდნენ და უხაროდან. საბერძნეთის საელჩომ ტექნიკა: კომპიუტერები, ფოტოაპარატები, კინოაპარატი. ახალციხის უნივერსიტეტის რექტორმა მერაბ ბერიძემ სასწავლო ნივთები, ასე ნელა-ნელა მივიწვევით წინ.

დავინყე ბავშვებზე დაკვირვება, ვის რა უყვარდა, რა აინტერესებდა. ყოველდღე ჩემი ხელით ვუნერდი ბავშვებს ლექსებს, სიმღერებს, პატარა მოთხრობებს, ვცდილობდი მათში ინტერესი აღმეძრა ქართულის მიმართ. პატარა მოთხრობებს როლებად ვანანილებდი და ყველას ვაკითხებდი, ვიშველიებდი თამაშებს, რაც ძალიან მეხმარებოდა. დღის ბოლოს მეორე დღის სამუშაოზე ვფიქრობდი. ნელა-ნელა გალღვა ყინული. შევქმენი დრამატული წრე, ლიტერატურული წრე, სმერის წრე. შეხვედრა მოვუნყვეთ ბებიებს, ომისა და შრომის ვეტერანებს, დედებს, მათ ჩვენ მიერ დადგმულ სპექტაკლებს ვაჩვენებდით. ვქმნიდით დეკორაციებს, ვარჩევდით სპექტაკლისათვის შესაფერის სამოსს, ვანყობდით ნახატებისა და სურათების გამოფენას, ვეპატიჟებოდით მშობლებს, ვირჩევდით ჟიურის. ხშირად გვსტუმრობდნენ მაღალი თანამდებობის პირები, ზურაბ ჟვანია, მეუფე დანიელი, ნინო ბურჯანაძე, დეპუტატები. ახალ ნელს დავდგით ნაძვის ხე, რომელიც განსხვავდებოდა სკოლაში დადგმულ ნაძვისხისაგან. ბავშვებს ნანახი არ ჰქონდათ ნაძვის ხის სათამაშოები, ისინი ნაძვის ხეზე ჰკიდებდნენ კოკა-კოლის ბოთლებს, კონსერვის თუნუქის ყუთებს, გაზეთის ქალღმერთებისგან გაკეთებულ ჯაჭვებს. ნაძვის ხე მათ მოვართვევინეთ, ვასწავლე საახალწლო სიმღერები, ლექსები, დავურიგეთ საახალწლო საჩუქრები. ამ თამამ-თამამით გავედით ფოკიდან გარეთ - საქართველოს სხვადასხვა კუთხეში,

გაქვეყნდა სპექტაკლები და ვაჩვენებდით ქართული სკოლის მოსწავლეებს, საიდანაც დიდი სითბო და სიყვარული მოდიოდა. ვიყავით თბილისში, სიღნაღში, ბორჯომში, ბათუმში, ხაშურში, გონიოს საჯარო სკოლაში, რომელთანაც დღესაც მეგობრობა გვაკავშირებს. ამას მოჰყვა პირველი ლიტერატურული კონკურსი „ალუბლობა“ [წლების განმავლობაში ემონაწილებდით], საბავშვო სპექტაკლები, საბავშვო სიმღერებისა და ლიტერატურული კონკურსები, - „ჩემი საყვარელი სომხური სიტყვა“ და „ჩემი განზომილება“. მონაწილე ბავშვები პრემიებით და დიპლომებით ბრუნდებოდნენ უკან. მათ მიერ შექმნილი პატარა მოთხრობები შეტანილია წიგნებში, რომლებიც კონკურსის შემდეგ გამოიცა. მონაწილე ბავშვები დამეგობრდნენ. ამ და ბევრი სხვა ღონისძიების საბოლოო შედეგი კი ის პირველი ხუთი ახალგაზრდაა, რომლებმაც ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარეს და წარჩინებით დაამთავრეს უნივერსიტეტი და დასაქმებასთან ერთად სწავლას განაგრძობენ მაგისტრატურაში. ამჟამად საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში ოთხმოცამდე ფოკელი სტუდენტი სწავლობს.

ორი წლის წინ კიდევ ერთი სასიამოვნო ფაქტი აღმოვაჩინე- მომცეს პირველი კლასი, სადაც უმრავლესობა ჩემი ყოფილი მოსწავლეების შვილები სწავლობდნენ. მეგონა, მათთან განეული შრომა წყალს გატანებული შრომა იყო, მაგრამ პირიქით აღმოჩნდა - მათი მშბლებისაგან განსხვავებით ისინი თავიანთ შვილებს ყველაფერს უკეთებენ, რათა კარგად ისწავლონ ქართული ენა- ეხმარებიან დავალების დაწერაში, ესწრებიან გაკვეთილებს და ცდილობენ ყველაფერი ჩაიწერონ, რათა სახლში შვილებს დაეხმარნონ. ბოლოს მივხვდი, წლებით გაფუჭებულ საქმეს ისევ წლები სჭირდება, რათა ნელა-ნელა გამოსწორდეს მდგომარეობა.

შუშანა კალანდაძე

შუშანა კალანდაძე არის ქართველი მეზრძოლის დედა,
ამიტომ მის ლექსებში განსაკუთრებით დასაფასებელია
სამხედრო-პატრიოტული პათეტიკა.

ქართულ ჯარს

ყველაზე მეტად რაც მიყვარს,
ვფიცავ, ქართული ჯარია.
დღე და ღამ მასზე ვლოცულობ,
დედა ქართველი ქალია.
სიცოცხლით, სიცოცხლეს იცავს,
ლამაზ მთებსა და ჩანჩქერებს.
სამშობლოს სულ წინ ვაყენებთ,
ჯიშად გვჩვევია ქართველებს,
რიცხვით პატარა, გულდიდი,
ეს ხომ ქართული ჯარია,
მუდამ იბრძვის და ვარჯიშობს
თავისთვის სულ არ სცალია.
ერთი ას კაცთან მეზრძოლი
სამშობლოს უდგას დარაჯად,
ო როგორ შვენის ვაჟკაცებს
სამხედროების ფარაჯა.
ყველაზე მეტად რაც მიყვარს,
ვფიცავ, ქართული ჯარია,
ვისაც სამშობლო არ უყვარს,
იგი ცოცხალიც მკვდარია.
ღმერთი მის წილხვერდ ქვეყანას
მუდამ დაქსაქსულს ამთელეებს,
უნდა ვიპრომოთ, ვიომოთ,
ეს დაგვებედა ქართველებს.

კაცთა გრძნობებს შორის

ისევ დაიფლითა ვაჟკაცის სხეული,
სისხლი შეინოვა მინამ,
არა, არა ყავსო დედას პატრონი,
გმირი საქართველოს ვინ თქვა?
მტერი ურიცხვი და მტერი მუხანათი
ისევ ჩვენკენ მოდის ნენა.
ურჩხული დავამარცხეთ, ურჩხული გავაქციეთ,
მანც ვერიდებით წყენას
და ის პოზიცია, გუშინ რომ ავიღეთ
ისევ მტრების ხელში ჩანა,
ვაი, ვაი, ვაი, ვაი, ვაი დედა,
უი უი, უი ნანა.
ისევ სისხლის გუბე ბავშვისა და ქალის,
ბავშვებიც დაგვიხოცენ განა.
პატარა ბავშვები დაჭრილნი, დაფლეთილნი,
მკვდრები და ტიტვლები ჩანა.
ვაი, ვაი, ვაი, ვაი, ვაი, დედა
კაციც ამატირენ ხედავ?
როგორ გაგიმეტენ, შენ ჩემო კუდრაჭავ,
ჩემო პანანინა ნეტავ.
კაცთა გრძნობებს შორის
პატიების გრძნობა
რალაც ღვთაებრივი არის.

ანა არუთუნიანი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი



ჩემი პირველი ქართული ტექსტი

მართლაც, რომელი იყო ნეტავ პირველი ქართული ტექსტი, რომელიც წავიკითხე ან დავწერე, ძნელი გასახსენებელია. იქნებ ის ლექსები ან ზღაპრები, ბებო რომ მიყვებოდა, ან ტელევიზიიდან მესმოდა და თანდათან შეეყავი ქართული ენის ჯადოსნურ სამყაროში, ენის, ხალხისა და საერთოდ ყველაფრის სიყვარულს, რომ უყრის საფუძველს. ეს სიყვარული ამომიდგა გვერდში და დღეს ასე მივუყვები განათლების გზას მასთან და ჩემს მშობლიურ ენასთან ერთად.

ის კი მახსოვს, რომ, როცა ენას საკმაოდ ვფლობდი, არც ვაცეი და არც ვაცხელე და პირდაპირ ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ წავიკითხე (გამოვტყდები-დედის რჩევით, და იმასაც გეტყვით, რომ ცოტა გამიჭირდა...)

სამაგიეროდ, კარგად მახსოვს ქართულ ენაზე დაწერილი პირველი ტექსტი, რომელმაც პირველი წარმატება მომიტანა. ის ეხებოდა ქართულ ენას და ქართულ ენასთან დაკავშირებულ პრობლემებს, კერძოდ კი, ეთნიკური უმცირესობების თვალთ

დანახულ ბარიერებს სახელმწიფო ენასთან მიმართებაში, სწავლის პროცესში წამოჭრილ სირთულეებს და ზოგადად სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობასა და მნიშვნელობას. ეს იყო პირველი ესე, რომელიც ქართულ ენაზე დავწერე. სკოლის მოსწავლე ვიყავი, როდესაც აღნიშნული ესეების კონკურსი გამოცხადდა, მხოლოდ, არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის და პირველი სიგელი სწორედ ამ კონკურსში მივიღე. ამ თემამ უფრო ჩამაფიქრა, თუ როდენ მნიშვნელოვანია სხვათა ისტორიის, ენის, კულტურის შესწავლა, მით უმეტეს, იმ ერის კულტურის, ისტორიისა და, რა თქმა უნდა, ენის შესწავლა, სადაც თავად ცხოვრობ.

ესეში ძრითადი აქცენტი გადავიტანე და ყურადღება გავამახვილე, იმაზე, თუ რატომ უნდა ვისწავლოთ ქართული ენა და ვამბობდი, რომ: სახელმწიფო ენის ცოდნა უპირობოდ აუცილებელი და უაღრესად მნიშვნელოვანია ნებისმიერი პირისათვის, რომელიც ცხოვრობს კონკრეტულ სახელმწიფოში და სულაც არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვინ არის ის – ეთნიკური უმრავლესობისა თუ უმცირესობის წარმომადგენელი. შესაბამისად, საქართველოში მცხოვრები პირებიც უნდა ფლობდნენ სახელმწიფო ენას. ვფიქრობ სახელმწიფო ენის ცოდნა აუცილებელია ახალ სოციუმში ადაპტირებისათვის და ძირითად ელემენტს წარმოადგენს საზოგადოებაში ინტეგრირების პროცესის დროს.

ბებია რომ ვახსენე, ჩემი დედის დედა, ნახევრად ქართველი გახლდათ და დიდი წვლილი შეიტანა ჩემს აღზრდაში. სწორედ მისგან ვიცი, თუ რა საჭიროა ენის ცოდნა თუნდაც ელემენტარული კომუნიკაციისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ ინფორმაციის მიღებასა და სახელმწიფო, ან საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობაზე. მე მსურს, რომ ჩემი ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქე ვიყო, ეს კი სახელმწიფო ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელია.

ასაკის მომატებასთან ერთად თანდათან უფრო ბევრს ვსწავლობდი და ვეცნობოდი, თუ რა სირთულეების გადალახვა მოუწია ქართველ ერს, რათა ქართული ენა შენარჩუნებულიყო. ორი უძველესი ენის ისტორიის ქარტეხილები კიდევ უფრო განმანცობდა მეტის შეცნობისათვის. ჩემთვისაც მტკივნეული გახდა 14

აპრილი, რომლის შესახებ აქამდე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ 1990 წლიდან ენის დღედ აღინიშნება. მოგეხსენებათ სსრ უზენაესმა საბჭომ შეიმუშავა კონსტიტუციის გეგმა, რომელშიც 1936 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით ქართული ენა სახელმწიფო ენად აღარ ითვლებოდა. მგრძნობიარე იყო იმ მასალების წაკითხვა, სადაც მოთხრობილი იყო ენის დასაცავად გამოსული ხალხის სულისკვეთებისა და თავგანწირვის შესახებ. ქართველი ახალგაზრდობა წინ აღუდგა სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევას და ამ ბრძოლაში გამარჯვებით დაამტკიცეს, თუ რაოდენ ძვირფასია მშობლიური, სახელმწიფო ენა მათთვის.

არც ადრე აკლდა ქართულ ენას დევნა და აკრძალვა. იტალიელი ისტორიკოსი არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოს აღწერაში ხომ წერს, რომ: „ქართველები ყველაფერს აკეთებდნენ საკუთარი ენის შენარჩუნებისათვის, ქართველმა ქალებმა თხოვნაც კი გაუგზავნეს ეპისკოპოსს, რათა ქართულ ენაზე აღდგენილიყო წირვა-ლოცვა.“

ენის შენარჩუნებისათვის მსგავსი სირთულეების გადალახვის შემდეგ უფრო მეტად უნდა იყოს დაფასებული და „ხელიხელ საგომანო ენა“. ისევ გავიმეორებ, რომ სახელმწიფო ენა უნდა იცოდეს ყველა იმ პირმა, ვინც ამ სახელმწიფოს ნაწილად თვლის თავს რა მნიშვნელობა აქვს ეროვნებას, ყველამ ერთპიროვნულად უნდა სცეს პატივი იმ სახელმწიფო ენას რა ენაზეც საუბრობენ სახელმწიფოში.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა „მტრობა ენისა არს მტრობა ქვეყნისა“, ანუ თუ ენას არ ვცემთ პატივს, მაშასადამე, იმ ერსაც არ ვცემთ პატივს. სამწუხაროდ, ზოგი ფიქრობს, რომ სხვა ენის შესწავლა მშობლიური ენის დეგრადირებას და სხვა ენებში ასიმილირებას გამოიწვევს. ეს მცდარი აზრია და აბსურდულიც. ჩემი აზრით, არ არის საჭირო კატეგორიული ხედვა ამ საკითხის მიმართ. მარტივადაა შესაძლებელი ბალანსის დაცვა, რათა არ დაივიწყო შენი ისტორია, კულტურა და ენა, რაც შენს მეობასა და ეროვნულობას უსვამს ხაზს და ეს ასეც უნდა იყოს. როგორ შეიძლება ამის დავიწყება. იცავდე შენი ენის სინმიდეს, ეს ნიშნავს იცავდე შენს ვინაობას, შენს მეობას, ღირსებას, შენი ერის

კულტურასა და ისტორიას და ნებისმიერი ერი ვალდებულია იცავდეს საკუთარ ენას. მე ვიტყვოდი, რომ სწორედ ამიტომ გჭირდება სხვა ენის ცოდნა, რომ მოუყვე სხვას შენი სამშობლოს, შენი კულტურისა და ისტორიის შესახებ, გააცნო მას ის, რაც ასე გიყვარს. სხვათა ისტორიის, კულტურის, ენის პატივისცემა და შესწავლაც სწორედ ასევე მნიშვნელოვანია. და თუ ამ ყველაფრის ნაწილი შენც ხარ, მაშინ პირდაპირ ვალდებული ხარ ფლობდე სახელმწიფო ენას და პატივი სცე ხალხს, რომელმაც მოგცა საშუალება, ისწავლო და იცხოვრო მის ქვეყანაში... მე პირადად, ძალიან ვამაყობ, რომ ეროვნებით სომეხი ვარ და გამაჩნია უძველესი ისტორია და ენა, რომელსაც საკუთარი ანბანი გააჩნია და 14 ანბანს შორის არის. თუმცა მე ორმაგად ამაყი ვარ, რომ იმ სახელმწიფოს მოქალაქე ვარ, რომელსაც ასევე გააჩნია დიდი ისტორია, ენა, რომელსაც საკუთარი ანბანი აქვს და იმავე 14 ანბანს შორის დგას. როგორც დიდი ილია ამობდა „ენა, მამული, სარწმუნოება“ ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი ორიენტირი ჩვენი არსებობისა და, ჩემი აზრით, საფუძველია ჩვენი სიამაყისა.

ენის შენარჩუნებაში ენის დახვეწილ მეტყველებასა და მართლწერის კულტურის დონის ამაღლებასაც ვგულისხმობ. მინდა შევეხო ენაში შემოსულ უცხოურ ტერმინოლოგიას, ანუ ბარბარიზმების, ნეოლოგიზმების, სლენგების და სხვა ტერმინების სახით, რაც ხშირად აკნინებს ენას, ვფიქრობ ეს ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ენის შენარჩუნების პროცესში. ერმა, რომელმაც საუკუნეების მანძილზე შეინახა და დღემდე მოიტანა საკუთარი ენა, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსი შეენარჩუნებინა, ყოველდღიურადაც უნდა ზრუნავდეს მასზე, უნდა ეფერებოდეს მას, რათა შეიღებოს და შეილშვილებს სუფთა, ანკარა წყაროსავით მორაკრაკე მეტყველება ასწავლოს და დაუტოვოს შემდეგში მოსაფერებლად.

მინდა დავასრულო კონსტანტინე გამსახურდიას გენიალური სიტყვებით, იგი ამბობდა, რომ „ენის სინმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა სამშობლოსი“. სრულად ვეთანხმები ამ აზრს, დავამატებ მხოლოდ, იმას, რომ საპატიოა ეს ბრძოლა, როგორც მშობლიური ენის, ასევე

არამშობლიურის, მაგრამ სახელმწიფო ენისათვის. ქართული ენის სახით საგანძური აქვთ როგორც უშუალოდ ქართველებს, ასევე საქართველოში მცხოვრებ სხვა ერის წარმომადგენლებსაც. თითოეული ჩვენთაგანი, როგორც უკვდავების წყაროს, ისე უნდა ვენაფებოდეთ მას, რადგან „ენა ბურჯია ჩვენი ქვეყნისა, ენა დედაბოძია ჩვენი ქვეყნისა“. და მე დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ქართული ენის ცოდნა მომიტანს წარმატებას.

ვლადიმერ ნათენაძე

დაიბადა 1982 წელს. ცხოვრობს ქ. რუსთავში. 1997-1999 წლებში სწავლობდა თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსში. 2002—2003 წელს - დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში, ოცუელის მეთაურის კურსებზე. შემდეგ სწავლა გააგრძელა დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში. უმაღლეს სამეთაურო სამტაბო კოლეჯში.

2003 წლიდან დღემდე მსახურობს სამინისტროს თავდაცვის ძალებში სხვადასხვა თანამდებობებზე.



საქართველოს თავდაცვის ძალების საერთაშორისო მისიები მონაწილეობის როლი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში

საქართველოსათვის, როგორც პატარა და რთული გეოპოლიტიკის მქონე სახელმწიფოსთვის, საგარეო პოლიტიკა გადამწყვეტია უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად. ქვეყანას, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან კონტრიბუტორს, დიდი წვლილი შეაქვს საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში და აქტიურად იღებს მონაწილეობას ნატო-ს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში. საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო) განევრიანება წარმოადგენს, შეირაღებული ძალებისთვის მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წვრთნები და გამოცდილების მიღება საერთაშორისო მისიებში, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და განმტკიცებისთვის, გარდა ამისა, ჩამოყალიბდა ნატო-ს ინსტიტუტები, განვითარდა

ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ემსახურებიან ქვეყნის გაძლიერებას, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირებას, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და სტაბილურობის განმტკიცების მხარდაჭერას. მეორე მხრივ, საქართველო, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა, იქნება სტაბილურობის წყარო კავკასიასა და შავ ზღვაზე, რომელიც შექმნის უსაფრთხოების გარანტს რეგიონში.

ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს აუცილებელ და მნიშვნელოვან ატრიბუტს წარმოადგენს. საქართველოს დღევანდელი საგარეო პოლიტიკა ქვეყნის ისტორიული განვითარების შედეგი და ღირსეული მომავლის წინაპირობაა. ქვეყნის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს საქართველოს ეროვნული ინტერესები, რომლებიც სახელმწიფო სუვერენიტეტს, დასავლეთის სამყაროსთან ინტეგრაციასა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებს ემყარება. ნატოში გაწევრიანება მოითხოვს ვალდებულებების შესრულებას სხვა ვალდებულებებთან ერთად, მათ შორისაა საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა. ამით ქვეყანამ მიიღო მაღალი მზადყოფნის მქონე შეიარაღებული ძალები, ენერგეტიკული და განვითარებული ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც ასევე უწყობს ხელს ნატოს ინსტიტუტების გაძლიერებას, ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირებას, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და სტაბილურობის განმტკიცების მხარდაჭერას, როგორც ქვეყანაში, ისე კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში.

1991 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყანამ თავისი ისტორიული არჩევანი გააკეთა და პროდასავლური კურსი აიღო. გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, უსაფრთხოება და დემოკრატიული განვითარება ყოველთვის საფრთხის წინაშე იდგა. სწორედ ამიტომ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიების ძიება ევროატლანტიკურ სივრცეში დაიწყო. ნატო-საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება, როდესაც საქართველო შეუერთდა ჩრდილოატლანტიკურ თანამშრომლობის

საბჭოს. აღნიშნულ ფორმატში, რომელშიც პარტნიორი და წევრი ქვეყნები სხვადასხვა მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს განიხილავენ, საქართველო, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი სახელმწიფო, სხვა პროექტებთან ერთად აქტიურად არის ჩართული ნატოს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში.

საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნატოს როლს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, რომლებიც სრულ თანხვედრაშია ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებთან და ალიანსის რეკომენდაციებთან, მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შემდგომ განვითარებას. თავის მხრივ, საქართველო, როგორც ალიანსის ასპირანტი ქვეყანა და მომავალი წევრი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში. საქართველოსთვის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება ქართველი ხალხის ისტორიულ, საუკუნეობრივ მისწრაფებას წარმოადგენს და შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ასე ახლოს არასოდეს ყოფილა დასავლეთთან ინტეგრაციის ამოცანის შესრულებასთან, როგორც დღეს.

საქართველოს საგარეო პოლიტიკა ყოველთვის იყო განპირობებული დასავლური სამყაროსკენ მისწრაფებით. საქართველო ყოველთვის ცდილობდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში ჩართული ყოფილიყო და პრობლემების მოგვარებაშიც აქტიურად მიეღო მონაწილეობა. ამის მიზეზი კი საკუთარი სამხედრო ძლიერებისა და საერთაშორისო ასპარეზზე ავტორიტეტის ამაღლების სურვილი იყო.

საქართველოს ურთულესი გეოპოლიტიკური მდებარეობის, მუდმივი საგარეო დაპირისპირებების, კონფლიქტებისა და ომების მიუხედავად, ქვეყანამ შეინარჩუნა სახელმწიფოებრიობა, აღიდგინა დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, მაგრამ საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა-ტერიტორიული მთლიანობის

საკითხი, ჯერაც გადაუჭრელი რჩება. ამის ფონზე უმნიშვნელოვანესია, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა საჭიროდ უნდა მიიჩნევდეს, რომ ნატოში განწევრიანების ერთ-ერთი მთავარი მოტივი საქართველოს მოსახლეობისთვის სწორედ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დეოკუპაცია და მათი რეინტეგრაციაა. 2006 წლის „ქართული საზოგადოების ღირებულებანი“-ის გამოკითხვის შედეგებიდან, რომელშიც აქტუალურ პრობლემებში უსაფრთხოებას პირველი ადგილი უკავია (ტერიტორიულ მთლიანობაზე წინ დგას), მიუთითებს იმაზე, რომ კოლექტიური უსაფრთხოების ქოლგა საქართველოს მოსახლეობისათვის მიმზიდველი კონცეფციაა. არსებობს გარკვეული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთს ძალუძს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის საშუალებით ქვეყნის ნატოში განწევრიანების დაბლოკვა და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრირება ძალზედ შორეულ პერსპექტივას წარმოადგენს.

ქვეყნის ტერიტორიების დროებითი ოკუპაციისა და ყოველდღიური „მცოცავი ოკუპაციის“ მიუხედავად, საქართველომ არ დათმო დასავლური ორიენტაცია და მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ნატოსთან დაახლოების კუთხით. საქართველომ შეძლო მოეპოვებინა ყოველწლიური მოქმედების პროგრამა, რომელიც პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ნატოს სტანდარტებს უახლოვდება. ნატო დიდ დახმარებას უწევს საქართველოს როგორც უსაფრთხოების, ასევე პოლიტიკური ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. ნატოსთან პარტნიორობა საქართველოსთვის წარმოადგენს არა მარტო პრაქტიკული მიზნების მიღწევის საშუალებას, არამედ სტრატეგიულ პარტნიორობას, რომელიც საქართველოს დასავლეთთან სრულფასოვან ინტეგრაციას ემსახურება.

უკვე წლებია, ნატოსთან ურთიერთობა საქართველოსათვის არ წარმოადგენს მხოლოდ ცალმხრივი დახმარების მიღების საშუალებას. დღეს საქართველო საერთაშორისო არენაზე გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თანამონაწილეა. საქართველოს უსაფრთხოება გლობალური უსაფრთხოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად,

ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში შეტანილი წვლილი პირდაპირ აისახება ჩვენი ქვეყნის სტაბილურ განვითარებაზე. საქრთველოს შეიარაღებული ძალების დანაყოფები დაკისრებულ მისიას სამაგალითოდ ასრულებენ ყველგან, სადაც ამის აუცილებლობა დგება. საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა არ არის ნატოში განწვერიანების ერთადერთი გზა, მაგრამ სხვა ვალდებულებებთან ერთად დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და მნიშვნელოვანი ფაქტორია. საქრთველოს მონაწილეობა სამშვიდობო მისიებში 1999 წელს იღებს სათავეს. კოსოვო, ერაყი, ავღანეთი, მალი და აფრიკის ცენტრალური რესპუბლიკა, ამ მისიებში საქრთველოს რამდენიმე ათასმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა. 1999 წლის ივნისიდან ნატო ახორციელებს სამშვიდობო მისიას კოსოვოში. მშვიდობის დასამყარებლად. სამშვიდობო მისიის დასაწყისში ერთიანი სარდლობისა და კონტროლის ქვეშ მყოფი კოსოვოს ძალების შემადგენლობაში 50000 სამხედრო მოსამსახურე გაერთიანდა. მისია მოიცავდა. როგორც ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის წევრი-სახელმწიფოების, ასევე პარტნიორი ქვეყნების მშვიდობის-მყოფელებს. სწორედ ნატოს ამ საერთაშორისო სამშვიდობო (KFOR) მისიაში ქართველი ჯარისკაცებიც იღებდნენ მონაწილეობას. ეს იყო პირველი საერთაშორისო მისია, სადაც ქართველებმა დაიწყეს მონაწილეობა. მისიის ხანგრძლივობა იყო 1999 წლის 31 აგვისტოდან 2008 წლის მარტამდე. კოსოვოს სამშვიდობო მისიაში სულ მონაწილეობა მიიღო 1076 სამხედრო მოსამსახურემ.

კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციაში ჩართვა იყო ერთ-ერთი პირველი წინგადადგმული ნაბიჯი საქრთველოს ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ. იმ პერიოდისათვის მოუმზადებელმა და გაუნწვრთნელმა ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა, რომელიც საგრძნობლად ჩამორჩებოდა მაშინდელ საერთაშორისო სამხედრო სტანდარტებს, გერმანელ და თურქ პარტნიორებთან ერთობლივად განხორციელებულ ამოცანებს წარმატებით გაართვა თავი და დიდი გამოცდილება შესძინა. წლების წინ დამკვიდრებულმა საბჭოთა სამხედრო სისტემამ ნელ-ნელა დაიწყო შეცვლა ნატოს სტანდარტებზე გადასასვლელად.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკისათვის, როგორც მთელი დასავლური სამყაროსათვის, მოიხსნა ის საფრთხე, რომელსაც შეიძლება გამოეწვია საბჭოთა კავშირის ექსპანსიური პოლიტიკა დასავლეთში. ამ პროცესს თან დაერთო ტერორიზმის ზრდის ტემპები, რამაც იგი მსოფლიოში მშვიდობის და სტაბილურობის უპირველეს მტრად გადააქცია. შესაბამისად, დასავლურმა უსაფრთხოების სისტემამ, რომელსაც ძირითადად ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია - ნატო წარმოადგენს, ტრანსფორმაცია განიცადა და ძირითად პრიორიტეტად მსოფლიოში ტერორიზმის გაუვნებლყოფა დაისახა. თუ მანამდე ალიანსი ორიენტირებული იყო თავდაცვით პოლიტიკაზე, ამ პერიოდიდან მან თავს უფლება მისცა, გადასულიყო სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე არსებული საფრთხის აღმოსაფხვრელად, რომელსაც შემდეგში პრობლემები შეეძლო შეექმნა ალიანსის წევრი და მოკავშირე ქვეყნებისათვის. მაგრამ მიუხედავად ამისა, თავიდან ვერ იქნა აცილებული 2001 წლის 11 სექტემბერის უდიდესი მასშტაბის ტერორისტული აქტი ნიუ-იორკში.

ნატომ 11 სექტემბრის შემდეგ მყისიერად გამოხატა ამერიკის მხარდაჭერა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და პირველად აამოქმედა მე-5 მუხლი, რომელიც მოიცავს წევრი ქვეყნების საერთო დაცვას საფრთხის დროს, რამაც გამოიწვია ნატოს საბრძოლო ოპერაციის დაწყება ავღანეთში თალიბანის რეჟიმის წინააღმდეგ. ტერორიზმი უსაფრთხოებისთვის მთავარ საშიშროებას წარმოადგენს, ამიტომ მან ფოკუსირება უნდა მოახდინოს ტერორისტული დაჯგუფებების საქმიანობაზე. ნატო თანახმა იყო გაეზარდა სამხედრო შენაერთების ჩართულობა, რათა მომხდარიყო პრობლემის სწრაფად მოგვარება. ამის პარალელურად, ერაყში არსებობდა რეჟიმი, რომლის დამოკიდებულება ტერორიზმისადმი ამ რეგიონში და არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, უსაფრთხოების გარანტიას ვერ იძლეოდა. შეიქმნა ანტიერაყული კოალიცია აშშ-სა და ინგლისის მონაწილეობით, მათ მხარს უჭერდნენ: პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი და მათ შორის საქართველოც.

ერაყში არსებული რეჟიმის დამარცხების შემდეგ, დაიწყო სამშვიდობო ოპერაცია სახელწოდებით „თავისუფლება ერაყს“, რომლის ფარგლებში უნდა მოხდეს ქვეყნის სახელმწიფოებრივინსტიტუტების გაძლიერება, ერაყის შეიარაღებული და უსაფრთხოების ძალების განვრთვნა, ყოველივე ეს მიმდინარეობდა პარტიზანული ომის წარმოების პარალელურად, რომელმაც მთელი ერაყი მოიცვა. მოკავშირეებმა ამ ომში გაცილებით მეტი მებრძოლი დაკარგეს, ვიდრე სამხედრო ოპერაციის მსვლელობისას 2003 წლის გაზაფხულზე. გამონვევის საპასუხოდ გაიზარდა ერაყში არსებული სამხედრო კონტიგენტის დაფინანსება, რასაც დაემატა მრავალეროვნული ძალების გაზრდა კონფლიქტის ზონაში.

საქართველო, როგორც ერაყის სამხედრო კამპანიის ერთ-ერთი მოკავშირე ქვეყანა, აქტიურად ჩაერთო უსაფრთხოების შენარჩუნების და აღდგენის ოპერაციაში „თავისუფლება ერაყს“. ეს იყო მეორე ამოცანა კოსოვოს მისიის შემდგომ. მისია მიმდინარეობდა 2003 წლის 3 აგვისტოდან, 2008 წლის 10 აგვისტომდე ერაყის ქალაქებში: ბაღდადი, ბეიჯი, ბალადი, ბაქუბა, ალ-კუტი. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს, მისია ვადაზე ადრე დასრულდა და ქართული ქვედანაყოფი ერაყიდან დაბრუნდა. მისიაში სულ მონაწილეობდა 7437 სამხედრო მოსამსახურე, რომლის დროსაც 5 (ხუთი) სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. ერაყის სამშვიდობო ოპერაცია, უშუალოდ ნატოს ფარგლებში არ მიმდინარეობდა, მაგრამ მასში მონაწილეობდნენ ნატოს წევრი ქვეყნები: აშშ, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი და სხვები, ბუნებრივია, მათთან ერთობლივმა მოქმედებამ სხვადასხვა სახის ოპერაციების დროს, აამალლა ქართველი ჯარისკაცების პროფესიონალიზმი და ნატოს ძალებთან თავსებადობა. ქართველი ჯარისკაცები ღირსეულად ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას, რის გამოც მათ დაიმსახურეს სპეციალური მედლები, რომლებსაც მხოლოდ ამერიკელ ჯარისკაცებს ანიჭებენ განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

ერაყის ოპერაციაში აქტიურმა მონაწილეობამ, დიდი როლი ითამაშა საქართველოში „ნრთენისა და აღჭურვის“ (GTEP) ამერიკული პროგრამის დასრულების შემდეგ, რიგით მეორე „სტაბილურობის შენარჩუნებისა და უსაფრთხოების ოპერაციების“ პროგრამის, (GSSOP) ამოქმედებაში, რომლის ფარგლებშიც ამერიკული მხარის მიერ გაიწვრთნა და აღიჭურვა 4000 ქართველი სამხედრო მოსამსახურე. ანტიერაყულ კოალიციაში შესვლით საქართველომ ვაშინგტონს დაუმტკიცა, რომ სამხრეთ კავკასიაში, მსოფლიოს ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ რეგიონში, ის საიმედო პარტნიორს წარმოადგენს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს წვლილი ავღანეთის უკვე დასრულებულ მისიაში. საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალები ავღანეთში (ISAF–International Security Assistance Force), 2001 წლის 20 დეკემბერს, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ავღანეთის ტერიტორიაზე NATO-ს ეგიდითა და მეთაურობით მოქმედი საერთაშორისო სამხედრო კონტინგენტის მიზანს წარმოადგენდა ავღანეთში ადგილობრივი მთავრობის დახმარება, სტაბილურობისა და უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება, სადაც 51 ქვეყანა მონაწილეობდა. საქართველო ავღანეთის მისიაში 2004 წლის აგვისტოდან ჩაერთო და დღემდე იღებს მონაწილეობას. ხოლო 2014 წელს შეცვლილი ამოცანით, მტკიცე მხარდაჭერის მისიის დასახელებით ჩაერთო. ავღანეთში ნატოს ეგიდით მიმდინარე სამხედრო ამოცანებში საქართველო ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრიბუტორია ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ.

მისია მიმდინარეობდა ქალაქებში: ქაბული, ჩაგჩარანი, ყანდალარი, ჯალალაბადი და ჰელმანდის პროვინციაში. ავღანეთის მისია სხვა მისიებისაგან განსხვავებით გამორჩეულია თავისი სპეციფიკით და ამბოხებულთა აქტიურობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰელმანდის პროვინცია, რომელიც ყველაზე ცხელი წერტილია ავღანეთში. ამბოხებულები მოქმედებენ პარტიზანული ტაქტიკით „დაარტყი და მიიმაღეს“ პრინციპით, რომელსაც ასრულებენ მცირე ჯგუფებით და მოსახლეობაში შერევის ტაქტიკით. ისინი ადგილობრივი მოსახლეობის მსგავსად ატარებენ

ავლანურ ტრადიციულ სამოსს. ამბოხებულები ცდილობენ კოალიციური ჯარების ქმედებების შეზღუდვას მათ წინააღმდეგ, მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინებას, კოალიციურ ძალებთან ურთიერთობის განწყვეტის მიზნით და მათი ქმედებების შესამცირებლად იყენებენ ყველა ხელთარსებულ სამუალებებს, როგორცაა: თვითმკვლელი ამფეთქებლები, ნალმ-ხაფანგები, ხელნაკეთი იმპროვიზირებული ასაფეთქებელი მოწყობილობები და სხვ. ქართველი სამხედროების ამოცანას ტერორიზმთან ბრძოლა, პროვინციის სამოქმედო არეალში მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

ნატოს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი მისია ავღანეთში, რომელიც 13 ნელი გრძელდებოდა, 2014 წლის 28 დეკემბერს ოფიციალურად დასრულდა. ავღანეთის ეროვნულმა არმიამ და პოლიციამ დროთა განმავლობაში აჩვენა, რომ სამხედრო ოპერაციები საკუთარი თავდაცვითი ძალებით შეუძლია. ნატოს ახალი პროგრამა მტკიცე მხარდამჭერის მისია ავღანეთში 2015 წლის 1-ლი იანვრიდან გააგრძელა (**RSM- Resolute Support Mission in Afghanistan**). ქართველი სამხედროების ამოცანა უცვლელი დარჩა - ტერორიზმთან ბრძოლა, პროვინციის სამოქმედო არეალში მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომლის მიზნითაც ხორციელდებოდა პატრულირება, მოძრავი საკონტროლო საფუშაგოების მონყობა, ბაგრამის საავიაციო ბაზის დაცვა, ავღანეთის უსაფრთხოების ძალების განვრთნა და მხარდაჭერა.

საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერ მისიებში მონაწილეობის დროს საქართველომ საკმაოდ დიდი მსხვერპლი გაიღო, კერძოდ: ავღანეთში ISAF/RSM მისიაში მონაწილეობა მიიღო 12 000 სამხედრო მოსამსახურემ, აქედან დაიღუპა 32 ქართველი სამხედრო მოსამსახურე, დაიჭრა და ტრავმირებულია 274, რაც არც თუ ისე უმნიშვნელო მაჩვენებელია.

ჩამოთვლილი მისიებისგან განსხვავებით, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაცია, რომელშიც ქართველები მონაწილეობენ, უკვე ევროკავშირის ეგიდის ქვეშ მყოფი მისიაა. რომელიც ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში

ევროკავშირის ოპერაციაა (EUFOR RCA). მისია მიმდინარეობდა ქალაქ ბანგუიში. რომელიც დაიწყო 2014 წლის 8 ივნისიდან და გრძელდება დღემდე, მასში მონაწილეობას იღებდა 156 სამხედრო მოსამსახურე. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი განაცხადი იყო. ყველაფერთან ერთად, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება, მიზნად ისახავდა საქართველო-ევროკავშირის შემდგომ დაახლოებას. აღსანიშნავია, რომ სამშვიდობო კონტინგენტის მონაწილეობას საქართველოს მთავრობამ ერთობლივად დაუჭირა მხარი, რაზედაც პარიზმა და ბრიუსელმა კმაყოფილება გამოთქვეს. საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი, პირადად მიესალმა საქართველოს გადამწყვეტილებას და აღნიშნა: „ჩემთვის ემოციურად ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმის გაგება, რომ ცენტრალურ აფრიკაში გარკვეულ სამხედრო კონტინგენტს აგზავნიოთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს წინგადადგმული ნაბიჯია იმისა, თუ რისი გაკეთება ძალუძს საქართველოს ევროკავშირის ფარგლებში, ჯერ როგორც პარტნიორს, და შემდგომ, როგორც წევრს“. ეს მისია მშვიდობიანი იყო, სადაც არ გვყავს დაჭრილები და დაღუპულები.

საქართველო ასევე მონაწილეობს ხმელთაშუა ზღვაზე მიმდინარე ანტი-ტერორისტულ ოპერაციაში. აქტიური ძალისხმევა, რომელიც ინიცირებულია 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი ტერორისტული აქტების შემდეგ, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მეხუთე მუხლის საფუძველზე.

2015 წლიდან საქართველო ჩართულია ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF – NATO Response Force) ერთი ბატალიონით. 2002 წელს პრალის სამიტზე სათავე დაედო გადამწყვეტი მნიშვნელობის რამდენიმე ინიციატივას, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ნატოს სამხედრო შესაძლებლობების განვითარებაში. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების შექმნაა. 2006 წლიდან ნატოს სრულ ოპერატიულ მზადყოფნაში ჰყავს ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული, კარგად განვრთნილი სწრაფი რეაგირების ძალები. (NATO Response Force), რომლებიც მოიცავს სახმელეთო, საჰაერო,

საზღვაო და სპეციალური დანიშნულების ძალების კომპონენტებს. აღნიშნული ძალების რაოდენობა დაახლოებით 25 000 კაცს შეადგენს. ისინი მუდმივ მზადყოფნაში არიან, ბრძანების შესაბამისად, დედამიწის ნებისმიერ წერტილში განთავსდნენ 5 დღის ვადაში და ერთი თვის განმავლობაში თავიანთი რესურსებით უზრუნველყონ შესაბამისი ოპერაციებისა და დავალებების შესრულებას.

საერთაშორისო მისიებში მონაწილეობით სამხედრო მოსამსახურეები საუკეთესო წვრთნებს გადიან და მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილებში უნიკალურ საბრძოლო გამოცდილებას იღებენ. მისიებში მონაწილეობა ნატოს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან ერთად მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოს სამხედრო შესაძლებლობების განვითარებას და ნატოსთან სრული თავსებადობის მიღწევას. საერთაშორისო მისიებში მონაწილეობით საქართველომ თავი დაიმკვიდრა, როგორც ნატო-ს საიმედო მოკავშირემ, კომპეტენტურმა პარტნიორმა და სათაშორისო უსაფრთხოების სრულფასოვანმა წევრმა.

საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური იტეგრაციის მიზნის მისაღწევად საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება და კონსოლიდირება უმნიშვნელოვანესია. ამ გზაზე ჩვენი სამხედრო მოსამსახურეების წვლილი ფასდაუდებელია. სამშვიდობო მისიებში ჩვენი თანამშრომლობა დიდწილად განაპირობებს საერთაშორისო ფორუმებზე საქართველოს საკითხის აქტუალობას, რაც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობით საქართველომ დაამტკიცა, რომ არის ნატოს სანდო პარტნიორი, რაც არაერთხელ იქნა აღიანისისა და წევრი ქვეყნების მიერ ხაზგასმული.

საერთაშორისო მისიებში მონაწილეობამ ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორთან, კიდევ უფრო დაახლოებას და იმ ვალდებულებების შეასრულებს, რომელიც ჩვენ ნაკისრი გვაქვს აშშ-სა და საქართველოს სტრატეგიული თამანშრომლობის დოკუმენტის თანახმად. ჩვენი მონაწილეობა ამ ოპერაციებში არის

ერთი პატარა რგოლი იმ დიდ ჯაჭვში, რომელსაც ჰქვია საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია. ნატოს წარმომადგენლებსაც არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობით საქართველო ღიად გამოთქვამს სურვილს იყოს ჩრდილოატლანტიკური გაერთიანების წევრი და ამტკიცებს, რომ თავადაც შეუძლია პრობლემის მოგვარების თანამონაწილე გახდეს.

ქვეყნის მთავარი მოკავშირე, სტრატეგიული პარტნიორის მხარდაჭერამ წლების განმავლობაში თანამშრომლობამ და ინსტიტუციურმა წინსვლამ საქართველოს და შეიარაღებულ ძალებს მოუტანა შედეგი, რომლის მონაწილე და შემოქმედიც არიან ჯარისკაცები, რომლებიც ემსახურებიან ქვეყანას. სწორედ ჯარისკაცების ღირსეული სამსახურით დავიმსახურეთ ამერიკის მხარდაჭერა და სტრატეგიული პარტნიორობა. შეძენილმა გამოცდილებამ მოგვცა ის, რომ დღეს შეიარაღებულ ძალებში განხორციელდა რეორგანიზაცია და სტანდარტიზაცია, ჩამოყალიბდა მობილური და ტაქტიკური ქვედანაყოფები, რათა ქვეყანაში და მსოფლიოში მდგარი ჰიბრიდულ საფრთხეებს ვებრძოლოთ მოქნილი საცეცხლე მხარდაჭერის უზრუნველყოფით ცენტრალიზებული მართვისა და დეცენტრალიზებული აღსრულებით. ამ ყველაფრით შევქმნით გრძელვადიანი განვითარების მყარ საფუძველს და თითოეულ მოქალაქეს მოვუტანთ მეტი დაცულობისა და საფრთხეების შეკავების მექანიზმებს. მივალწევთ ჩვენ სტრატეგიულ მიზანს, ქვეყნის მეტი უსაფრთხოებას. დემოკრატიულ განვითარებასა და რეგიონის სტაბილურობას.

საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობა მნიშვნელოვანია ქართული სახელმწიფოსთვის, რომელსაც აქვს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და რომლის ტერიტორიების 20 პროცენტიც ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ეს მონაწილეობა ხელს უწყობს ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირებას, ნატო კი დღესდღეობით ყველაზე ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ სამშვიდობო მისიებში მონაწილეობას თან ახლავს მნიშვნელოვანი დანაკარგი, საბოლოო ჯამში მომავალში

აუცილებლად მოიტანს სარგებელს და წაადგება სახელმწიფოს ნატოსა და ევროპის იტეგრაციის დაჩქარებაში, რომელიც ქვეყნის წარმატებული და უსაფრთხო განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. საბჭოთა კავშირიდან მიღებული უმძიმესი მემკვიდრეობის მიუხედავად, საქართველომ დაიმკვიდრა ადგილი, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის სრულფასოვანმა წევრმა და დემოკრატიული თანამეგობრობის მონაწილემ.

დღეს საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ევროპული და ევროატლანტიკური იტეგრაცია, საერთაშორისო მშვიდობის ხელშეწყობა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რეგიონული სტაბილურობის მიღწევა, მეზობელ ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს რეგიონული ეკონომიკურ ცენტრად ჩამოყალიბებასა და ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებას. საქართველოსთვის დღეს პრიორიტეტულია ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცება, ქვეყანა ხდება ელექტროენერჯის მსხვილი რეგიონული ექსპორტიორი; მნიშვნელოვანია საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაც, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი ხელს შეუწყობს აღმოსავლეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების გაფართოებასა და ევროპის ეკონომიკურ სივრცესთან საქართველოს კიდევ უფრო დაახლოებას; ანაკლიის ყურეში საზღვაო პორტის აშენება საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას ახალ სიმაღლეზე აიყვანს.

საქართველოში სტაბილური გარემო, ეკონომიკური სიძლიერე კიდევ უფრო გაზრდის კეთილმეზობლურ ურთიერთობებს მეზობელ ქვეყნებთან: აზერბაიჯანთან, თურქეთთან, სომხეთთან, უკრაინასთან და ხელს შეუწყობს კავკასიას ეკონომიკურად მიზიდველ, მშვიდობიან და უსაფრთხო რეგიონად გადაქცევას. აუცილებელია, გაღრმავდეს ევროპულ სახელმწიფოებთან არსებული ორმხრივი ურთიერთობები, რომელიც დაეხმარება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის

პროცესში. ასევე, საქსპორტო ბაზრების გაფართოებაში, რაც მეტ კეთილდღეობას მოუტანს საქართველოს მოქალაქეებს. უნდა გაგრძელდეს თანამშრომლობა აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ოკეანის სახელმწიფოებთან არალიარების პოლიტიკის გაგრძელებისა და ოკუპირებული რეგიონების აღიარების საფრთხის თავიდან აცილების მიზნით.

თუ აღნიშნულ საკითხს უფრო გლობალურად განვიხილავთ, აუცილებლად უნდა შევხვით საერთაშორისო უსაფრთხოების თემასაც. ნებისმიერ სახელმწიფოს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი, როგორც თავისუფალი ქვეყნის არსებობა, დიდწილად არის დამოკიდებული საერთაშორისო უსაფრთხოებაზე, ამიტომ მასზე ზრუნვა და აგრესიის, ძალადობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ნებისმიერი ქვეყნის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. მეორე მხრივ, ამგვარ ურთიერთობას საჭიროების შემთხვევაში საპასუხო ქმედებებიც მოჰყვება და ქვეყანას ექნება საერთაშორისო მხარდაჭერა. დღესდღეობით ტერორისტული დაჯგუფებები მსოფლიოსათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენენ. „თალიბანის, ალ-ქაიდასა და მსგავსი დაჯგუფებების განადგურება დღეს თავისუფალი სამყაროსათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თავის დროზე ნაციზმისა და კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იყო“. მოცემულ სიტუაციაში მთავარი სარგებელი არის არა ის, რომ ჩვენ მხარდაჭერას გამოვხატავთ მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ ის, რომ ამით ჩვენი ქვეყანა იმალლებს პოზიციებს საერთაშორისო არენაზე და იზრდება ჩვენი სამხედრო შესაძლებლობები, „საქართველოს, პირველ ყოვლისა, სჭირდება განვრთნილი ბრძოლისუნარიანი და შესაბამისად აღჭურვილი ძლიერი ჯარი, რომელიც შეძლებს საქართველოს ინტერესების დაცვას; მეორე - ჩვენ გვჭირდება საერთაშორისო მხარდაჭერა იმისათვის, რომ საქართველომ თავისი პოზიციები განიმტკიცოს და საქართველო გახდეს ერთიანი, ყოველგვარი საოკუპაციო ჯარებისგან თავისუფალი ნატოს წევრი.

ნატოსთან თანამშრომლობის ფორმატებისა და ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებით, საქართველოს ძალუძს გაძლიერდეს ინსტიტუციონალურად და განვითარდეს დემოკრატიულად, რათა დააკმაყოფილოს ნატო-ში განწევრიანების კრიტერიუმები და ნათლად დაანახოს მოსახლეობას ამ თანამშრომლობიდან გამომდინარე კონკრეტული სარგებელი. ნატო-ს ოპერაციებში აქტიურ მონაწილეობასთან ერთად, ვფიქრობ, რომ ეს დააჩქარებს ნატოელ მოკავშირეებში საქართველოს განწევრიანებასთან დაკავშირებით პოლიტიკური კონსენსუსის მომწიფებას. ევროატლანტიკურ სივრცეში ფეხის შედგმის კიდევ ერთი სარგებელი გამოიხატება ქვეყნის დემოკრატიული და ინსტიტუციონალური განვითარების ხელშეწყობაში. ჯერ კიდევ წევრობამდე, ალიანსთან თანამშრომლობით საქართველოს ეძლევა საშუალება სწრაფად განავითაროს სამართლებრივი სახელმწიფო და ერთხელ და სამუდამოდ გამოვიდეს პოსტ-საბჭოთა მენტალური სივრციდან.

ნატოს ღია კარის პოლიტიკაში ხაზგასმითაა ნათქვამი: „გაფართოების შესახებ გადაწყვეტილებები საკუთრივ ალიანსისთვისაა“. საქართველო დასავლეთისთვის მნიშვნელოვანი ქვეყანაა. საქართველო წარმოადგენს ევროპასა და აზიას შორის უმოკლეს დამაკავშირებელ სატრანსპორტო კორიდორს, რომლის საშუალებითაც გაზი და ნავთობი მიეწოდება დასავლეთს აღმოსავლეთიდან; სულ რამდენიმე საათია საჭირო, რომ საქართველოდან ახლო აღმოსავლეთის ნებისმიერ წერტილში გაფრინდე და იმოგზაურო; რეგიონის ქვეყნებიდან საქართველო ყველაზე წარმატებულია სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში და ამ მხრივ დასავლეთიდან მიღებულმა ინვესტიციებმა და მხარდაჭერამ დიდწილად გაამართლა. დასავლეთისთვის საქართველოს მნიშვნელობა წლების განმავლობაში იზრდებოდა და ასე გაგრძელდება მომავალშიც. NATO-ს სჭირდება საქართველო და შავი ზღვის რეგიონი, ასევე აბრეშუმის გზის კონტროლი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რუსეთისთვისაც, რომელიც ხელს გვიძლის ქვეყნის ნატო-ში განწევრიანებაში და ცდილობს შავი ზღვის აუზის საბოლოოდ გაკონტროლებას, რათა ნატომ ვერ

შედლოს შავი ზღვის რეგიონში გაფართოება და კონტროლი. ჩვენ სწორად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური განლაგება მსოფლიოს რუკაზე და შესაბამისად წარვმართოთ ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, გავაგრძელოთ რეფორმების განხორციელება, გავაძლიეროთ დემოკრატიული ინსტიტუტები და გავაუმჯობესოთ ქვეყნის ეკონომიკა, რომელიც საუკეთესო გზაა საქართველოს მოქალაქეებში ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის გასაძლიერებლად.

ნატოსთან თანამშრომლობის ფორმატებისა და ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებით, საქართველოს ძალუძს გაძლიერდეს ინსტიტუციონალურად და განვითარდეს დემოკრატიულად, რათა დააკმაყოფილოს ნატოში განწევრიანების კრიტერიუმები და ნათლად დაანახოს მოსახლეობას ამ თანამშრომლობიდან გამომდინარე კონკრეტული სარგებელი. ნატოს ოპერაციებში აქტიურ მონაწილეობასთან ერთად, ვფიქრობ, რომ ეს დააჩქარებს ნატოელ მოკავშირეებში საქართველოს განწევრიანებასთან დაკავშირებით პოლიტიკური კონსენსუსის მომწიფებას. საქართველო არის პატარა სახელმწიფო, რომელიც სხვისი დახმარების გარეშე ვერ დაიმკვიდრებს სახელს, ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებასა და დაცულობას საერთაშორისო არენაზე. ახლო მომავალში ნატოს გარდა სხვა ალტერნატივა არ ჩანს. ამიტომ საქართველოს ისლა დარჩენია, ყველაფერი გააკეთოს დასავლეთთან დაახლოებისა და მისი ნდობის მოსაპოვებლად. ამის საუკეთესო საშუალება კი საერთაშორისო სამხედრო მისიებში მონაწილეობაა.

ნატო, როგორც ალიანსი და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა, დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე სრულიად უპრეცედენტო მოვლენას წარმოადგენს. არსებობს იმის საკმარისი არგუმენტები, რომ თამამად განვაცხადოთ იმის შესახებ, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი წარმოადგენს წარმატებულ ორგანიზაციას, კერძოდ: დაარსების დღიდან დღევანდელ პერიოდამდე ნატომ რეალურად მოახერხა თავისი წევრი სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, რაც ნატოს მთავარ მიზანს წარმოადგენდა.

ასევე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ნატომ თავისი დაარსების დღიდან მნიშვნელოვანი გაფართოება განახორციელა - თუ ალიანსის შექმნის პერიოდში ნატოში 12 სახელმწიფო გაწევრიანდა, დღევანდელ ეტაპზე მის რიგებში 29 სახელმწიფოა გაერთიანებული და დღის წესრიგში დგას ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხიც. ალიანსის გაფართოების პროცესს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღევანდელ ეტაპზე, როდესაც ცივილიზებული სამყარო დადგა სრულიად ახალი ჰიბრიდული საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე. აბსოლუტურად განსხვავებული მდგომარეობაა თანამედროვე ეტაპზე, რადგანაც დღევანდელ პერიოდში ახალი მოწინააღმდეგე ყველგან შეიძლება იყოს, ძნელია მათი გამოვლენა და გარჩევა მშვიდობიანი მოსახლეობისაგან, მას არ გააჩნია კონკრეტული სივრცე და აუცილებელია მასთან ბრძოლა ყველგან, გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად.

ცივი ომის შემდგომ ალიანსი ტრანსფორმაციას განიცდის. დღეს ნატო აღარ არის მხოლოდ ის ორგანიზაცია, რომლის მთავარ მიზანს მხოლოდ თავისი წევრი ქვეყნების სამხედრო თავდასხმისაგან მათსავე ტერიტორიაზე დაცვას წარმოადგენდა. დღეს ალიანსს მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია. იგი დაკავებულია ახალ საფრთხეებთან ბრძოლის, ჰუმანიტარული აქციების, სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებით, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებით და სხვა უახლესი ტექნიკური მიღწევების წყალობით, რადარებით აღჭურვილი და ნატოს დაფინანსებით მოქმედი AWACS-ის ტიპის თვითმფრინავები დიდ საჰაერო სივრცეს ფარავენ და უსაფრთხოებას სრულიად ახალ დონეზე უზრუნველყოფენ. რაც იმას მონმოებს, რომ ნატო მეტად წარმატებული, შეიძლება ითქვას უნიკალური ალიანსია. მისი სიძლიერე მდგომარეობს მის უნარში შეიცვალოს, გარდაქმნას საკუთარი თავი ახალი ასიმეტრიული საფრთხეების, საერთაშორისო ტერორიზმისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საპასუხოდ, იმ პრობლემების საპასუხოდ, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან მსოფლიო მშვიდობას. თავისი შემაკავებელი და დამცავი როლით ნატო არის მისი

წევრების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეროვნული უსაფრთხოების გარანტი.

საქართველოს, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან კონტრიბუტორ ქვეყანას, 1999 წლიდან დღემდე დიდი წვლილი შეაქვს საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში და აქტიურად იღებს მონაწილეობას ნატოს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნიკა ჩიტაძე, ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი (აშშ საელჩო, თბილისი 2002).

2. ედუარდ შევარდნაძე, ფიქრები წარსულსა და მომავალზე (თბილისი, პალიტრა, 2006) 37, 162-163, 303.

3. ზბიგნევ ბჟეზინსკი, დიდი საჭადრაკო დაფა (თბილისი, არტანუჯი, 2014), 195.

4. ნიკა ჩიტაძე, გეოპოლიტიკა (თბილისი, უნივერსალი, 2011), 546-556.

5. საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია (თბილისი, 2014), 2,10-11.

6. ხათუნა ბურკაძე და ანატოლი კორეპანოვი, ეს ნატოა (თბილისი, საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ, 2008), 52-81.

7. NATO HANDBOOK HB-ENG-0406 NATO (2006) Brussels, Belgium.

8. <https://mod.gov.ge/p/ISAF>.

ქარგვით შექმნილი სილამაზა

ნანა ინასარიძე თვითნასწავლი ხელოვანია. ხელსაქმისადმი ინტერესი ბავშვობიდან ჰქონდა. ქალბატონი ნანას სახლში მისი 50-მდე ნამუშევარი იყრის თავს. თავად შეისწავლა ჯვარედინი სტილის ქარგვა, ატლასითა და ლენტებითაც ქმნის ნატურმონტებს და პეიზაჟებს. მის ნამუშევრებში ფერთა საოცარი გამა იგრძნობა. ქარგავს გობელენზეც, სცადა ბისერებით ქარგვაც. იღებს სასურველი სურათის ორიგინალს, აფიქსირებს ზომას, შემდეგ ასლი გადააქვს ტილოს ნაჭერზე, არჩევს ძაფებს, იღებს ნემსსა და ძაფს და იწყებს მუშაობას. ამბობს, რომ ყველაფერს ნახაზით ვერ მიჰყვები, ამ პროცესს უნდა გრძნობდე, იმისათვის, რომ ნაქარგს ბუნებრივი სახე ჰქონდეს, სული უნდა შთაბერო. საკუთარი ხელით შექმნილი ყოველი ნამუშევარი მის ინდივიდუალიზმს ასახავს. ზოგადად ასეთი ნამუშევრები აქტუალობას არასოდეს დაკარგავს.



ნანა ინასარიძე 1983 წელს ყაზახეთში დაიბადა. სკოლაში სწავლა ყაზახეთში დაიწყო. რამდენიმე წლის შემდეგ, ოჯახი საცხოვრებლად იმჟამინდელ ბოგდანოვკაში (ნინოწმინდა) გადავიდა. ნანას დედას იქ მცხოვრები დუხობურები ქარგვას ასწავლიდნენ. პატარა ნანა ამ სიტუაციას ყურადღებით ადევნებდა თვალს და ცდილობდა, თავადაც შეექმნა რაიმე. მას შემდეგ, რაც ოჯახი საცხოვრებლად ახალციხეში დამკვიდრდა, ნანამ დამოუკიდებლად რამდენიმე ნამუშევარი შექმნა. ნანა სკოლაში სწავლობდა ჯვარედინ ქარგვას და იქ მოწყობილ გამოფენაზე რამდენიმე ნამუშევარი წარადგინა. დედისაგან გამოყოლილი ნიჭით, მალევე მიიქცია მეგობრების ყურადღება. ხატავდა, მაგრამ ქალაქის ნაცვლად - ნაჭერზე, ფუნჯის ნაცვლად - ნემსითა და

დაფით. სტუდენტობის დროს ქარგავდა სუფრებს, ხელსახოცებს, გადასაფარებლებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალში ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლის ბოლო წლებში ეკლესიის ქარგვა დაიწყო. მერე ოჯახი შექმნა, შეეძინა პირველი შვილი. ეკლესიის მოქარგვა კი ვერ დაასრულა. ერთ დღეს, როდესაც ბავშვს ეძინა, მოჰკიდა დაწყებულ საქმეს ხელი და მას შემდეგ ქარგვა მის ყოველდღიურ მეგზურად იქცა. მისი ნამუშევრების თემატიკა მრავალფეროვანია. ბუნების პეიზაჟები, ნატურმონტები, სხვადასხვა ადგილის ამსახველი სუჟეტები, მულტფილმის გმირები, სადღესასწაულო განწყობის ამსახველი ნამუშევრები ქალბატონი ნანას სახლის მუდმივი ბინადრები არიან. ამბობს, რომ გაყიდვაზე არასოდეს უფიქრია, რადგან ნანას ნამუშევრები არა ხოლოდ მისი, არამედ მთელი ოჯახის ზრუნვის საგანს წარმოადგენს. შვილები - დავითი და ვიქტორია მისი ყველაზე დიდი გულშემატკივრები არიან. მოსწონს შავ-თეთრი ნაქარგები - მონოქრომები. ამბობს, რომ მონოქრომი იქნება თუ ფერებში შესრულებული ნამუშევარი, კომპოზიციურად დალაგებული და ჰარმონიული უნდა იყოს.

ყველაზე მეტად გახამებულ მეჩხერ ბადისებრ ქსოვილზე - კანვაზე ქარგვა მოსწონს. „ახლა ქარგვისთვის ბევრი საშუალებაა. იყიდება ნიმუშები, მოჰყვება თავისი ძაფი და ნახატი. მე უფრო მიყვარს სუფთა ნაჭერზე ქარგვა. არის სპეციალური სქემები. მას სპეციალური ძაფები უნდა. საქართველოში ეს ძაფები თბილისში იყიდება. თან ძვირი სიამოვნებაა“. - გვეუბნება ნანა.


ნანას მეუღლეს - ლერი ხითარიშვილს, ხშირად უწევს ევროპის ქვეყნებში წასვლა. მას ნანასთვის ხარისხიანი საქარგავი მულინეს ძაფები და ტილოები ყოველთვის მოაქვს. სამი წელი, ოჯახთან ერთად, თავად ნანამაც იცხოვრა გერმანიაში, ქალაქ ლენგორში. ამ წლებმა ნანას შემოქმედებას თავისი კვალი დაამჩნია. ლენგორის გარშემო პატარ-პატარა სოფლები იყო მიმოფანტული. იქ ბევრი რამ ნანას საქართველოს აგონებდა. ამ ადგილების ამსახველი ნაქარგები დღეს ნანას სახლში საპატიო ადგილს იკავებს. გერმანიაში შექმნა წმინდა გიორგისა და წმინდა მარიამის

ნამუშევრებიც. „მეუღლეს მეგობარი ჰყავდა, რომელიც აფთიაქების ქსელს ფლობდა. ბატონი ვილჰემი ხშირად გვსტუმრობდა და ამბობდა, რომ ჩემი ნაქარგები მოსწონდა. დაბადების დღეზე ჩემი ნამუშევარი ვაჩუქეთ. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ბატონმა ვილჰელმმა სტუმრად დაგვპატიჟა. მესიამოვნა, რომ ჩემი ნაქარგი მის სახლში საპატიო ადგილს იკავებდა“.

საინტერესოა ნანას მიერ შესრულებული ნამუშევრები ლენტეხითა და გობელენით. ლენტეხით, ძირითადად, ბუნების ამსახველ ნამუშევრებს ქმნის. ქარგავს ბისერებით. როდესაც ქარგვას იწყებს, იცის, როგორი უნდა გამოვიდეს, როგორი ჩარჩო უნდა გაუკეთოს და სად დაიკავებს ეს ნამუშევარი ადგილს.

აღსანიშნავია, რომ ნანას ქარგვის თავისი სტილი აქვს. არასოდეს მიჰყვება სქემაში მოცემულ ფერებს, „თავისი ფერებით“ ქარგავს. სწორედ ამიტომაც, რომ მის ნამუშევრებში განსხვავებული ფერები იკვეთება და ყოველ ნამუშევარს „ნანასეული“ ხელწერა აქვს. „ვინც ქარგავს, ერთი ასეთი შეხედულება აქვს. თუ გინდა რაიმე სურვილი აგისრულდეს, საქარგავი ტილოს უკან უნდა დაწერო სურვილი. როდესაც დაასრულებ ნამუშევარს, ამბობენ, რომ სურვილი აგისრულდება“. თავად დაუწერია და ასრულებია სურვილები. უახლოეს მომავალში სურს, ორი რამ გააკეთოს - თამარ მეფის პორტრეტი მოქარგოს, რისთვისაც საჭირო 100-ზე მეტი ფერის საქარგავ ძაფს უკვე აგროვებს. მეორე – გამოფენის მოწყობაზე ოცნებობს. მისი ნამუშევრები ნამდვილად იმსახურებს, რომ ფართო საზოგადოებამ ნახოს და შეაფასოს.





სარჩევი

| | |
|--|----|
| <i>ქართვლუობისთვის თახფაფებულნი</i> ციური ლაფაჩი „ცსოვრეპის გზაჯვარეღინეა“ | 3 |
| <i>ემიგრანტული შრომა</i> ირინა იოსებაშვილი — ათენი ემიგრანტი ქალის წერილი | 11 |
| <i>შოთბია</i> ივდო ოტობარი | 23 |
| <i>შრომა</i> ვასილ ბერიძე ჩემი ოქროს საათი | 27 |
| <i>ნატო ყრუაშვილი</i> მადლიერ შვილთა თვალით დანახული საქართველო ... | 33 |
| <i>თამარ მამუკაშვილი</i> 45 წელი ტელევიზიის სამსახურში | 41 |
| <i>თარბმანი</i> იონის ბულიასი მცხეთა, 41°50'38" ჩრდილოეთით — 44°42'59" აღმოსავლეთით | 47 |
| <i>თარბმანი</i> საადი შირაზელი (მე-13 საუკუნე) იგავეტი „ბუსთანიდან“ | 54 |
| <i>სკოლის პრობლემები</i> თამარ ლობჯანიძე გამოცდილების გაზიარება გარემოდაკვირვებისათვის | 59 |
| ენოგრივი პრაქტიკის მეთოდის მნიშვნელობა პირველ კლასში | |

| | |
|--|-----|
| <i>მზევინარ მყავანაძე</i> | 65 |
| ბამონწვევები პრობლემაზე ორიენტირებული ბაკვეთილის დაგეგმვისას დანყებით საფუძვურზე | |
| <i>ნანა ლომინაშვილი</i> | 70 |
| კონფლიქტების მოგვარება მოზარდებში | |
| <i>კლარა ფოცხვერაშვილი</i> | 74 |
| ქართული ენის სწავლების პრობლემები ჯავახეთში | |
| <i>ჰოიჯია</i> | |
| <i>შუშანა კალანდაძე</i> | 80 |
| <i>ესე</i> | |
| <i>ანა არუთუნია</i> | 82 |
| ჩემი პირველი ქართული ტექსტი | |
| <i>ვლადიმერ ნათენაძე</i> | 87 |
| საქართველოს თავდაცვის ძალების საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის როლი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში | |
| <i>ლიკა ზაზაშვილი</i> | 105 |
| ქარბვით შექმნილი სილაგაზე | |

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113,
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88
ელ. ფოსტა: jumaliaravi@gmail.com